ნინო შარაშენიძე

ჩვენ ვსწავლობთ ქართულს

We study Georgian

მიდამო 1

ქართული ენა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის

Georgian language for non-Georgian speaking students

- ქართული ანბანი – Georgian Alphabet
- 20 თემა – 20 Topics
- ლექსიკონი – Vocabulary
- ტესტები – Tests
- საჭირო ფრაზები – Useful Phrases
- გრამატიკის მოკლე კურსი – A Brief Course of the Grammar
- საკითხავი მასალა – Reading Material

+CD

ნინო შარაშენიძე

ჩვენ ვსწავლობთ ქართულს

We study Georgian

მიდამო 1

ქართული ენა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის

Georgian language for non-Georgian speaking students

- ქართული ანბანი
- 20 თემა
- ლექსიკონი
- ტესტები
- საჭირო ფრაზები
- გრამატიკის მოკლე კურსი
- საკითხავი
- აუდიო

Georgian Alphabet •

20 Topics •

Vocabulary •

Tests •

Useful Phrases •

A Brief Course of the Grammar •

Reading Material •

Audio •

+CD

გამომცემლობა „გრაფემა“

თბილისი 2015

მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც დახმარება გამიწია

წიგნის შექმნისა და გამოცემის პროცესში.

რედაქტორი: კახა გაბუნია

გარეკანის დიზაინი: დავით მიქაბერიძე

© ნინო შარაშენიძე, 2015

ISBN 978-9941-0-8069-2 (მიდამო)

ISBN 978-9941-0-8070-8 (მიდამო 1)

შინაარსი

შესავალი. წიგნის სტრუქტურა - Preface. The Structure of the Book 5

1. ქართული ანბანი და კომპიუტერის კლავიატურა - Georgian alphabet and keyboard 11
2. ქართული ფონტები - Different fonts of Georgian alphabet 14
3. ფოტოლექსიკონი - საერთაშორისო სიტყვები ქართულში - International words in Georgian 15
4. ქართული ასოების მოხაზულობა და წერის მიმართულება - The stroke order and direction of Georgian letters . 17
5. თემები – Topics 30

სავარჯიშოების ინსტრუქციები - Instructions used in exercises 31

1 **ანბანი. აი, ეს-ის;** კითხვითი წინადადება. 32
2 **ანბანი არის - არ არის; კი - არა; პირის ნაცვალსახელი;** შეკითხვა კითხვითი სიტყვის გარეშე; არის > ა; დედაჩემი, მამაჩემი. 36
3 **ანბანი. კითხვითი სიტყვები:** ვარ/ხარ/არის. ვინ, რა, ვისი, რამდენი, როგორი; ოთახში, მაგიდაზე. 40
3+ **ანბანის შემდეგ საკითხავი** 44
4 **მისალმება, დამშვიდობება, მადლიერება, მობოდიშება;** ქალბატონი - ქალბატონო, ბატონი - ბატონო. 48
5 **რიცხვითი სახელი და თვლა.** 52
6 **მხოლობით და მრავლობითი. წელიწადის დროები.** წამი, წუთი, საათი, დღე, კვირა, თვე, წელი/წელიწადი, საუკუნე. -ებ; კუთვნილებითი ნაცვალსახელი; ვარ ზმნის უღლება; დიახ, კი, ჰო, არა; წელიწადის დროები; კვირის დღეები; თვეები; ზამთარში, ზაფულში, გაზაფხულზე, შემოდგომაზე. 56
7 **ცხოვრობს, სწავლობს, მუშაობს. პროფესიები.** ლექსიკა - პროფესია, ადგილი; ქუჩაზე, უნივერსიტეტში, ფაკულტეტზე, პედაგოგად; მისამართი; რიგობითი რიცხვითი სახლი; დიდ სახლს, დიდ სახლში, დიდ სახლზე. 60
8 **მაქვს ზმნა. უსულო ობიექტი. ჩემი სახლი.** ლექსიკა - სახლი, ავეჯი; -იან-ი, კუმშვა; რიცხვში შეთანხმება; -ც; მართლა? რა კარგია! 64
9 **მქვია, მყავს ზმნები. სულიერი ობიექტი. ჩემი ოჯახი.** ლექსიკა - ოჯახი, ნათესავები; უფროსი, უმცროსი; გათხოვილი, ცოლიანი; როგორ ბრძანდებით? ბატონ ზურაბს; ჩემს ბიძაშვილს, შენს მამიდაშვილს; კომპოზიტები; ჯერ; კომპოზიტი და ზმნა. 68
10 **ჭამა, სმა ზმნები. ჩემი დღე.** ვჭამ, ვსვამ; რას მიირთმევთ? დილა - დილით, შუადღე - შეადღეზე, საღამო - საღამოს; საუზმე - საუზმეზე, სადილზე, ვახშამზე; რომელი საათია? - რომელ საათზე? პირველი საათია, პირველ საათზე, რვის/ცხრის ნახევარზე; ლექსიკა - ხილი, ბოსტნეული, საჭმელი, სასმელი; იღვიძებს, იძინებს; ადრე, გვიან, ხშირად, იშვიათად, ყოველთვის; ბევრი, ცოტა; ან, ან - ან. 72
11 **იცის ზმნა. წარმომავლობა: -ელ, -ურ. ვლაპარაკობ -ად; მოთხრობითი ბრუნვა.** 76
12 **არის - იყო - იქნება. დაბადების დღე.** გუშინწინისწინ, გუშინწინ, გუშინ, დღეს, ხვალ, ზეგ, მაზეგ. ლექსიკა - დაბადების დღე, სტუმრები; დავიბადე; ჩემთან, მეგობრებთან ერთად; სამი საათის, დღის, კვირის, თვის, წლის, საუკუნის წინ. 80
13 **მინდა ზმნა. თავაზიანი ფორმები. რესტორანში.** ლექსიკა - სასმელი, საჭმელი, თავაზიანი ფრაზები: თუ შეიძლება, მობრძანდით, დაბრძანდით, რას ინებებთ? რას მიირთმევთ?

ინებეთ, მიირთვით, გემრიელად მიირთვით, ყველაფერი გემრიელი იყო; თუ, კიდევ, რა თქმა უნდა, ზოგი / ზოგიერთი მეგობარი, ალბათ. 84

14 **სვლა და მიმართულება: მივდივარ ზმნა. დაკავებული დღე.** ახლანდელი, წარსული, მომავალი დროები; მარტივი ზმნისწინები; დავდივარ; მივდივარ / დავდივარ -ით: ავტობუსით, ტროლეიბუსით, ტრამვაით, მატარებლით, ფეხით, მანქანით... მეტროთი; მოკითხვა გადაეცი. 88

15 **მიყვარს და მომწონს ზმნები. მოგზაურობა.** ახლანდელი, წარსული, მომავალი დროები; პირის ნიშნები, რომ, ვიცი, რომ..., ერთმანეთი უყვართ, მოქმედების სახელები - სიარული, ყოფნა, ნახვა, ყიდვა, წასვლა; ეს თეატრი - ამ თეატრში, ეს სპექტაკლი - ამ სპექტაკლზე; ყველა, თითქმის ყველა, პირველი - პირველად, მეორე - მეორედ. 92

16 **ყიდვა ზმნა. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გზის ჩვენება.** პირის ნიშნები; არაფერი - ბევრი არაფერი; მხოლოდ - მხოლოდ ერთი; ალბათ; იყიდება; აქ იყიდება ტანსაცმელი, იქ იყიდება ფეხსაცმელი; ადვილი - ძნელი; უფრო ადვილი - უფრო ძნელი; თუ შეიძლება, მითხარით; კი, ბატონო; ბანკის წინ, უკან, გვერდით, მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ, ქვემოთ. 96

17 **ზმნები - წერა, კითხვა, ფიქრი. უნდა. წერილი მეგობარს.** სურვილი - მე მინდა წავიკითხო; ვალდებულება - მე უნდა წავიკითხო; ანას უნდა წაიკითხოს წიგნი; ანამ უნდა წაიკითხოს წიგნი; იანვრიდან ივნისამდე; ორშაბათიდან პარასკევამდე; ათი იანვრიდან ოც ივნისამდე; ორი ათას სამი წლიდან ორი ათას ათ წლამდე; თბილისიდან ბათუმამდე; მე ვფიქრობ, ვფიქრობ; მე ვფიქრობ, შენ უნდა დაწერო; ვფიქრობ, აუცილებლად უნდა დაწერო. 100

18 **ინტერესი - მაინტერესებს. ჩემი მომავალი პროფესია.** მინდა / უნდა ვიცხოვრო, წავიდე, ვიყიდო, ვიყო, ვნახო, ვიცოდე, ვილაპარაკო, დავწერო, წავიკითხო... (იცხოვროს, წავიდეს, იყიდოს, იყოს, ნახოს, იცოდეს, ილაპარაკოს, დაწეროს, წაიკითხოს...); ამიტომ; მოგზაურობა - სამოგზაუროდ; ათი დღით, ორი კვირით, სამი თვით; აქ - იქ; ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ასჯერ; ნელა - სწრაფად; კი, ბატონო; -ვე: ორივე, სამივე, ათივე, ასივე. 104

19 **გარეგნობა. ფერები. ფოტოალბომი.** მაღალი, დაბალი; უფრო ... ვიდრე; ყველაზე; ლექსიკა - ადამიანი, გარეგნობა; ფერები; ღია, მუქი ფერი; შავი თმა - შავთმიანი; ცისფერი თვალები - ცისფერთვალება; ახალგაზრდა, მოხუცი; მგავს მე ის, გგავს შენ ის, ჰგავს მას ის; ჩვენ შორის, ჩვემს ბიძაშვილებს შორის. 108

20 **საკომუნიკაციო ფრაზები.** სწავლის პროცესში; სურვილი; მილოცვა; თავაზიანო ფორმები; წერილის ფრაზები; სუფრასთან; ჩამოვდივარ, ჩამოვედი, ჩამოვალ. 112

6. ლექსიკონი თემებისთის - Glossary for topics 116
7. ტესტები შემოწმებისათვის - Tests for checking 133
8. საჭირო სიტყვები და ფრაზები - Useful words and phrases 151
9. ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსი - A Brief Course of the Grammar of the Georgian Language 180
10. ზმნების მოზაიკა - Verb Mosaics 248
11. დამატებით საკითხავი მასალა - Additional reading texts 266
12. სასარგებლო ინტერნეტბმულები - useful internet links 316

წინასიტყვაობა

ქართული ენის შესასწავლი სახელმძღვანელო **„მიდამო 1“** შეიქმნა 2014-2015 სასწავლო წელს ქართული ენის კურსისათვის ვილნიუსის უნივერსიტეტში და აპრობირებულია ერთი წლის განმავლობაში. კურსის მსვლელობის პროცესში მუდმივად ვითვალისწინებდით ენის შემსწავლელთა საჭიროებებს, სურვილებსა და მოთხოვნებს. დიდ მადლობას ვუხდით კურსის მონაწილეებს წიგნის დახვეწის პროცესში მიღებული აქტიური მონაწილეობისათვის. ასევე დიდ მადლობას ვუხდი იმ ადამიანებს, რომლებმაც სხვადასხვა სახის დახმარება გამიწიეს წიგნის შექმნისა და გამოცემის პროცესში.

წიგნის სტრუქტურა. „მიდამო 1“კომუნიკაციური გრამატიკის პრინციპებზეა აგებული და წარმოადგენს ენის ფლობის **A 1 – A 2** დონეს. სახელმძღვანელოს მთავარი ხაზი ქართულ ენაზე კომუნიკაციის აგების მიზანია. ამდენად, წიგნში გათვალისწინებულია ყველა ის საკითხი და თემა, რომლებზეც ენის შემსწავლელი სახელმძღვანელოს დასრულების შემდეგ შეძლებს საუბარს. შეძლებისდაგვარად მოწოდებულია მასალა იმ სირთულეების დასაძლევად, რომლებიც განსაკუთრებულად იგრძნობა ქართული ენის შესწავლისას. **უნიკალური ქართული ანბანი, ქართული ენის თავისებური მექანიზმი, ქართული ზმნა** - მხოლოდ ამ სირთულეთა დასახელებაც კი საკმარისია, რომ ნათლად გამოჩნდეს ენის შემსწავლელის წინაშე დასმული ამოცანები. წიგნში ყველაფერი ისეა მოწოდებული, რომ ქართული ენით დაინტერესებულ ადამიანებს ამ სირთულეების დაძლევა გაუადვილდეთ და **ძალიან მალე** მიეცეთ იმის შესაძლებლობა, რომ ქართულად ამეტყველდნენ და გარკვეული მოცულობის ტექსტები დამოუკიდებლად შექმნან. ეს მოტივაცია ენის სწავლის პროცესში მნიშვნელოვანი საკითხია მომდევნო რთული ეტაპების გავლისათვის და მეტ სტიმულს აძლევს ენის შემსწავლელს.

თანამედროვე ყოფა წარმოუდგენელია კომპიუტერის გარეშე, ამდენად, ენის შემსწავლელმა ქართული ტექსტების ბეჭდვაც უნდა შეძლოს. წიგნშის დასაწყისში მოცემული სქემები სწორედ ამისთვისაა გამიზნული.

ხშირად აღუნიშნავთ, რომ ქართული ანბანი თავის უნიკალურობასთან ერთად, ძალიან ლამაზია. რა თქმა უნდა, კალიგრაფია ცალკე სფეროა და ის თავისებურ ტალანტს გულისხმობს. ლამაზად წერის სწავლება სრულიადაც არაა ამ წიგნის მიზანი, მაგრამ ქართული ასოების მოხაზულობ ენის შემსწავლელისათვის იმ აღფრთოვანებას იწვევს, რაც კიდევ ერთი სტიმული ხდება და სწორედ ამ მიზნით ეს ხაზიც მოწოდებულია სახლმძღვანელოში. **სწორი მიმართულებით წერა, ოთხხაზოვანი სისტემის დაცვა, თითოეული ასოს მოხაზულობა** საფეხურეობრივად მიეწოდება ენის შემსწავლელს, ხოლო ცარიელი ფურცლების გადამრავლებისა და მასზე ვარჯიშის შესაძლებლობა ხალისს ჰმატებს მას. ყოველივე ამის ათვისება ენის შემსწავლელის სურვილზეა დამოკიდებული და, ცხადია, ენის შესწავლის მთავარი მიმართულება არაა, მაგრამ მასზე ყურადღების გამახვილება, შემსწავლელის სურვილის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. ასევე სასურველია ენის შემსწავლელმა ქართული ანბანის სხვადასხვა ფონტის წაკითხვაც შეძლოს. ვიზუალური მასალის მიწოდება სწორედ ამ მიზანს გულისხმობს.

სახელმძღვანელო არაქართულენოვანთათვისაა გათვალისწინებული. თარგმანის ან ლექსიკონის აუცილებლობა გადაწყვეტილია ინგლისური ახსნების მოწოდებით, რამდე-

ნადაც ეს ენა საერთაშორისოდაა მიჩნეული და ენის შემსწავლელი, სავარაუდოდ, მეტ-ნაკლებად ფლობს მას. ასევე შესასწავლი თემების წინ მოცემულია სავარჯიშოებში გამოყენებული ინსტრუქციების ინგლისური თარგმანი, რაც, ვფიქრობთ, დაეხმარება ენის შემსწავლელს მანამ, სანამ ინსტრუქციების გაგებას თავად შეძლებს.

ოცი თემა წარმოადგენს სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილს. ეს თემები თავისებური პრინციპითაა აგებული:

პირველი გვერდი გარკვეული საკითხის ახსნას ეთმობა სქემით ან ვიზუალური მასალით. იქვე მოცემულია წინადადებები ამ მასალის საილუსტრაციოდ. ეს წინადადებები დასამახსოვრებელი ფრაზებიცაა, ამდენად, სასურველია მისი გააქტიურება ზეპირმეტყველებაში **კითხვა-პასუხის მეთოდის** გამოყენებით. პირველ გვერდზე წარმოდგენილი იქნება **საბაზისო ლექსიკაც.**

მეორე გვერდზე მოცემულია გარკვეულ გრამატიკულ საკითხზე აგებული **ტექსტი** და **დიალოგი.** მთავარი ფორმები გამოკვეთილია (გამუქებულია და დახრილია), რაც მათ დამახსოვრებას, კონსტრუქციებში ათვისებას უწყობს ხელს. საჭიროა ამ ტექსტების არა მარტო წაკითხვა, არამედ კარგად დამუშავება, რადგან **სახელმძღვანელოს მთავარ მიზანს წარმოადგენს ის, რომ ენის შემსწავლელმა ეს ტექსტი საკუთარ თავზე გადაიტანოს, საკუთარი მონაცემებით შეავსოს, ისაუბროს პირველი პირით ან შექმნას ტექსტი სხვაზე და ისაუბროს მესამე პირის ფორმებით.** ასე რომ, ეს ტექსტი საკლასო სიტუაციაში კარგადაა დასამუშავებელი. ამავე მიზანს ემსახურება დიალოგიც, რომელიც წაკითხვისა და გაანალიზების შემდეგ სასურველია, კარგად დამუშავდეს საკლასო სიტუაციაში.

მესამე გვერდზე მოცემულია კონკრეტულ საკითხებზე აგებული სავარჯიშოები. ამ სავარჯიშოებით შესასწავლი ფორმები და ძირითადი გრამატიკული ამოცანა დამუშავდება.

მეოთხე გვერდი პროდუცირებას გულისხმობს და ენის შემსწავლელი უკვე დამოუკიდებლად დაწერს წინადადებებს ან შექმნის ტექსტს მოცემული ფორმებისა და თემის გათვალისწინებით. ეს ყველაზე მნიშვნელოვანი და საგულისხმო დავალებაა, რადგან ის ავითარებს როგორც ზეპირ, ისე წერით მეტყველებას და მიღებულ ცოდნას საბოლოოდ უყრის თავს.

თემების ათვისების გასაადვილებლად მას მოსდევს **ლექსიკონი,** რომელშიც თემების მიხედვითაა დალაგებული ახალი ლექსიკა ინგლისური თარგმანით.

სახელმძღვანელოში მოცემულია ცოდნის შესამოწმებელი **ტესტები,** ჯერ **საკითხავი** ტექსტები, რასაც მოჰყვება ყოველი ხუთი თავის შემდეგ შესასრულებელი **ასქულიანი ტესტები**. ისინი ცოდნის შემოწმებისთვის დაეხმარება როგორც ენის შემსწავლელს, ისე პედაგოგს. ბოლო ტესტი შემაჯამებელი და **გასამეორებელი** ტექსტია. მასში მოცემულია სასაუბრო თემები, რომლებიც გამოავლენს, რამდენად შეუძლია ენის შემსწავლელს ამ თემებზე საუბარი.

სახელმძღვანელოში ასევე წარმოდგენილია **„საჭირო სიტყვები და ფრაზები“.** აქ მოცემული მასალა, რა თქმა უნდა, სრულყოფილად ვერ დამუშავდებოდა ოც თემაში და პირველ დონეზე, მაგრამ ისინი კომუნიკაციისთვის გამოსადეგია, ამდენად ენის შემსწავლელს შეუძლია ეს ფრაზები თემებისაგან დამოუკიდებლად აითვისოს და გამოიყენოს შესაფერის შემთხვევაში. ამ ნაწილის წინ დართული **თემების სია** გაადვილებს საინტერესო

თემის მოძებნას და სასურველი ფრაზის შერჩევას, რაშიც ინგლისური თარგმანიც დაეხმარება.

ზოგჯერ ენის შემსწავლელებს სურს მეტი გაიგოს შესასწავლი ენის **გრამატიკული სისტემის** შესახებ და ისინი სვამენ კითხვებს. პედაგოგი ამის გამო რთულ სიტუაციაში ვარდება, რადგან ენის ფლობის პირველ დონეზე გრამატიკის სისტემის ახსნა ადვილი არ არის. მაგრამ თუ ასეთი ინტერესი ენის შემსწავლელის მხრიდან მაინც ჩნდება, ცხადია, მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ენის შემსწავლელზეა დამოკიდებული - ზოგს სისტემის აღქმა ეხმარება კიდეც სწავლის პროცესში. წიგნში ეს გათვალისწინებულია და ამიტომაც მას დამატების სახით დართული აქვს სპეციალური ნაწილი **„ქართული ენის გრამატიკის მოკლე კურსი"** ინგლისურ ენაზე. ამ ნაწილში არის მცდელობა ქართული ენის გრამატიკის შესახებ ინფორმაცია სისტემის დონეზე აღიწეროს. ეს საკითხი მცირე ახსნებისა და მეტი რაოდენობის სქემების მიწოდებითაა გადაწყვეტილი. ეს ნაწილი სრულდება **„ზმნების მოზაიკით"**, რომელშიც წარმოდგენილია სახელმძღვანელოს ძირითად ნაწილში დამუშავებული ზმნების უღლების მთლიანი პარადიგმა მარტივი წინადადებების საილუსტრაციო მასალით. ეს ნაწილი იმას ემსახურება, რომ ურთულესი ქართული ზმნის უღლება გარკვეულწილად გააცნობიეროს ენის შემსწავლელმა და შთაბეჭდილება შეიქმნას სისტემის შესახებ, ხოლო მათი ფუნქცია და სემანტიკა მარტივი კონსტრუქციების წარმოდგენით გააანალიზოს.

სახელმძღვანელოს ახლავს **დამატებით საკითხავი ტექსტებიც** - ძალიან მარტივით დაწყებული და ავთენტური ტექსტით დასრულებული. ამ ნაწილშიც ლექსიკონი ინგლისური ახსნებითაა წარმოდგენილი. ვფიქრობთ, ენის შემსწავლელს ეს დაეხმარება და სტიმულსაც მისცემს მომავალი ეტაპისათვის.

წიგნს ერთვის სასარგებლო **ინტერნეტბმულების სიაც.** ძირითადად ეს ლექსიკონებია, რომლებიც ენის შემსწავლელს მუდმივად გაუწევს დახმარებას.

წიგნს ერთვის **აუდიომასალაც**, რაც ენის შემსწავლელს გარკვეულ დახმარებას გაუწევს. აუდიომასალაში ჩაწერილია ყველა თემის ტექსტი, ასევე დამატებითი საკითხავის ტექსტებიც, რომელთა მოსმენა მკვეთრად გააადვილებს ქართული მეტყველების გაგებისა და გარკვეული ფრაზების დამახსოვრების პროცესს.

წიგნის ავტორი სულითა და გულით უსურვებს წარმატებებს ქართული ენის შემსწავლელებს.

Preface

The manual of Georgian language„**Midamo 1**"was created in 2014-2015 for the course of Georgian language at Vilnius University and was tested during one year. In the process of the course we constantly envisaged the needs, wishes and requirements of language students. We would like to thank the participants for their active involvement in the refinement of the course. We are also extremely grateful to all persons who have rendered different kinds of assistance in the creation and publishing of the given book.

THE STRUCTURE OF THE BOOK. „Midamo 1"is based on the principles of communicative grammar and represents **A 1 – A 2** level of fluency. The main aim of the textbook is to develop communication skills in the Georgian language. Thus, the book focuses on all issues and topics a student may dwell on after passing the course.The material provided in the book will help overcome the difficulties related to the study of the Georgian language. **The unique Georgian alphabet, the peculiar mechanism of the Georgian language, the Georgian verb**–even this brief list of complexities is sufficient to describe the challenges of the students of Georgian language. The book facilitates the overcoming of these difficulties and **quite soon** it enables the students to start speaking Georgian and building small texts independently. This is an important motivation for passing the following complicated stages and it stimulates the students to continue the learning process.

Contemporary life is unimaginable without a computer. Thus, the learner of Georgian should be able to type Georgian texts. The charts given in the beginning of the book are aimed at the overcoming of this challenge.

It is frequently noted that the Georgian alphabet is unique and very beautiful. Certainly, calligraphy is a different field and it requires a special talent. It is not the aim of the book to teach fine handwriting. Yet, the shape of Georgian letters delights the learners and is an additional stimulus for studying the language. That is why the manual also focuses on handwriting. Writing in the right direction, adhering to the four-line system, the shape of each letter – all this is provided to the learner in due time, whereas the special pages for practicing hand-writing make the learning process more enjoyable. Certainly, acquisition of the above-mentioned writing skills is up to the learner and does not represent the main direction of the language study. However, based on the learners' wishes, we think this direction is worth special attention. The learner should also be able to read different fonts of Georgian alphabet. Therefore, we have provided the useful visual material.

The manual is meant for non-Georgian speaking students. Explanations are given in English, as the latter is an international language and it is highly probable that the students have at least some basic knowledge of English. Each topic under study is preceded by English translation of the instructions used in exercises. This will help the learners before they are able to understand the instructions independently in Georgian.

The textbook consists of twenty topics, based on a peculiar principle:

The first page explains certain issues using charts or visual material. Sentences are given to illustrate the material. These sentences are memorable phrases, and it is desirable to activate them in oral speech by means of "**question and answer" method**. The first page also provides**basic vocabulary**.

The second page provides a**text and a dialogue** based on certain grammatical issue.The key forms are marked (given in bold type and italics), which helps memorize these forms and use them in constructions. These texts should not just be read, but studied thoroughly, because the main aim of the book is to enable the learner transfer the text into the first person, speak about himself/herself or talk in the third person about other people. Thus, it is necessary to work on the texts thoroughly in the classroom. The dialogues serve the same purpose. After reading and analyzing the dialogues, they should be activelypractised in the classroom.

The third page provides exercises on concrete issues. These exercises will enable the learners practice certain forms and perform key grammatical tasks.

The fourth page enables the learners write sentences and create texts based on the given forms and topics. This is the most important task, as it develops both oral and written speech skills and collects the acquired knowledge.

The **glossary** is provided in order to facilitate acquisition of the given topics. According to topics, the glossary provides new vocabulary with English translations.

The book also contains tests for checking the learner's knowledge, first reading texts are given and then, after every five units, one-hundred-points' tests are provided. These tests are aimed to assist both the learner and the teacher.The final summary test is aimed at the **revision** of the entire material. It contains speaking topics that will reveal to what extent the learner can dwell on certain issues.

The textbook also provides the **„Useful words and phrases"**. Certainly, the entire material cannot be embraced by twenty topics on level one. However, these topics are useful for developing communication skills, and the learner can use the phrases separately from the topics in appropriate situations. The **list of topics** given initially will facilitate the search of the proper topic and the selection of the desired phrase, and the English translation will facilitate the process even more.

Frequently the learners want to know more about the **grammatical system** of the target language. This puts the teacher in a difficult situation, as on the first level of language acquisition it is not easy to explain the grammatical system. However, the interests and requirements of the learners have to be taken into account. It all depends on the learners – perception of the system helps some of them in the learning process.This is envisaged in the book. Therefore, it has a special appendix **„A Brief Course of the Grammar of the Georgian Language"** in English. This is an attempt to provide information on the grammar of Georgian language and describe it on the systemic level. With this aim, the book gives brief

explanations and provides charts. This part ends in **„Verb Mosaics"**,with entire paradigms of verb conjugation illustrated by simple sentences. This part of the book will help the learners perceive the extremely complicated conjugation system of the Georgian verb and the language system as such. The functions of the verbs and their semantics are analyzed by means of simple constructions.

The textbook is appended by **additional reading texts**–beginning from overly simple and ending in authentic texts. In this part, the vocabulary also contains English explanations. We hope this will help the learners and stimulate them to undergo the following stages of language acquisition.

The book also provides the list of useful **internet links,** mostly dictionaries that will be of permanent help to the language learners.

The book is also appended with **audio material,**which will be of great help to the learners. The texts of each topic are recorded. Additional reading texts are also given in the audio form. Listening to these texts will facilitate the understanding of Georgian speech and the memorizing of certain phrases.

The author sincerely wishes success to the learners of the Georgian language.

ნაწილი 1

ქართული ანბანი და კომპიუტერის კლავიატურა

Georgian alphabet and keyboard

ასო (ბეჭდური)	ლათინური შესატყვისი	კომპიუტერის კლავიატურაზე
ა	a	A
ბ	b	B
გ	g	G
დ	d	D
ე	e	E
ვ	v	V
ზ	z	Z
თ	t’	Shift+T
ი	i	I
კ	k	K
ლ	l	L
მ	m	M
ნ	n	N
ო	o	O
პ	p’	P
ჟ	z’	Shift+J
რ	r	R
ს	s	S
ტ	t	T
უ	u	U
ფ	p’	F
ქ	q	Q
ღ	gh	Shift+R
ყ	q’	Y
შ	sh	Shift+S
ჩ	ch	Shift+C
ც	ts	C
ძ	dz	Shift+Z
წ	t’s	W
ჭ	t’ch	Shift+W
ხ	kh	X
ჯ	dz’	J
ჰ	h	H

ქართული კლავიატურა



2. ქართული ფონტები - Different fonts of Georgian alphabet

Sylfaen მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.	ხელნაწერი მზე დედაა ჩემი, მთვარე – მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.
AcadNusx მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.	AcadMtavr მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.
KolkhetyNusx მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.	KolkhetyMtavr მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.
GrigoliaNusx მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.	GrigoliaMtavr მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.
DumbadzeNusx მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.	DumbadzeMtavr მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.
Balavery მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.	Sakartvelo მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.
Zgapruli მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.	Gremi მზე დედაა ჩემი, მთვარე - მამაჩემი, ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი.

3. ფოტოლექსიკონი - საერთაშორისო სიტყვები ქართულში - International words in Georgian

კომპიუტერი 	პრინტერი 	ტელეფონი
ინტერნეტი	პასპორტი	ტაქსი
ფოტოკამერა	ვიდეოკამერა 	ფოტო 
ოპერა	ორკესტრი 	ბალეტი

აეროპორტი

სუპერმარკეტი

ბანკი

კაფე



უნივერსიტეტი

პროფესორი

სტუდენტი

ნაწილი 4

ქართული ასოების მოხაზულობა და წერის მიმართულება

The stroke order and direction of Georgian letters

ಅ ಆ ಇ ಈ ಉ ಊ ಋ ಎ
ಏ ಐ ಒ ಓ ಔ ಕ ಖ ಗ
ಘ ಙ ಚ ಛ ಜ ಝ ಞ ಟ
ಠ ಡ ಢ ಣ ತ ಥ ದ ಧ

აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფქღყშჩცძწჭხჯჰ

აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფქღყშჩცძწჭხჯჰ

აბგდევზთიკლმნოპჟრსტუფქღყშჩცძწჭხჯჰ

ᠨᠠᠳᠠᠷ ᠪᠣᠯᠵᠤ ᠪᠣᠰᠤᠭᠤ ᠬᠦᠮᠦᠨ ᠤ ᠬᠡᠯᠡᠨ ᠦ ᠵᠠᠰᠠᠭ ᠲᠠᠢ ᠪᠠᠢᠬᠤ ᠪᠠᠢᠭᠤᠯᠯᠠᠭ᠎ᠠ ᠶᠢᠨ

ასჯერ ვიმეორებ, რომ ჩემი ბედნიერება

١ ٢ ٣
٤ ٥ ٦
٧ ٨ ٩
١٠ ١١ ١٢
١٣ ١٤ ١٥
١٦ ١٧ ١٨
١٩ ٢٠ ٢١
٢٢ ٢٣ ٢٤
٢٥ ٢٦ ٢٧
٢٨ ٢٩ ٣٠
٣١ ٣٢ ٣٣
٣٤ ٣٥ ٣٦
٣٧ ٣٨ ٣٩
٤٠ ٤١ ٤٢
٤٣ ٤٤ ٤٥
٤٦ ٤٧ ٤٨
٤٩ ٥٠ ٥١
٥٢ ٥٣ ٥٤
٥٥ ٥٦ ٥٧
٥٨ ٥٩ ٦٠
٦١ ٦٢ ٦٣
٦٤ ٦٥ ٦٦
٦٧ ٦٨ ٦٩
٧٠ ٧١ ٧٢
٧٣ ٧٤ ٧٥
٧٦ ٧٧ ٧٨
٧٩ ٨٠ ٨١
٨٢ ٨٣ ٨٤
٨٥ ٨٦ ٨٧
٨٨ ٨٩ ٩٠
٩١ ٩٢ ٩٣
٩٤ ٩٥ ٩٦
٩٧ ٩٨ ٩٩
١٠٠

٢٢٢
٤٤
٩٩٥
٩٩٥
٣٣٣
٤٤٤
٥٥٥
٦٦٦

(ბ)ბ

ააააა

ბბბბბ

ააა

ბ/ბ

ააააააა

ააააააა

(ბ)ბ

$$\frac{1}{2}$$

$$0.66$$

$$\frac{17}{25}$$

$$\frac{1}{5}$$

$$\frac{33}{100}$$



ნაწილი 5

თემები

Topics

სავარჯიშოების ინსტრუქციები - Instructions used in exercises

სავარჯიშოები:	Exercises.
დაწერეთ სიტყვები:	Write the words.
დაწერეთ წინადადებები:	Write the sentences.
მოცემული ასოებით დაწერეთ სიტყვები:	Write the words with the given letters.
მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:	Write the sentences with the given words.
ნიმუში:	Model. (Write after the model.)
დაწერეთ თქვენი მეგობრის შესახებ:	Write about your friend.
დაწერეთ თქვენი ქვეყნის შესახებ:	Write about your country.
დაწერეთ თქვენი ქალაქის შესახებ:	Write about your city.
დაწერეთ თქვენ შესახებ:	Write about you.
დაუკავშირეთ ერთმანეთს ფრაზები:	Connect the phrases.
დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:	Connect the words.
შეადგინეთ დიალოგი სურათის მიხედვით:	Write the dialogue according the picture.
წაიკითხეთ რიცხვები:	Read the numbers.
დაწერეთ რიცხვები სიტყვებით:	Write the numbers with the words.
შეავსეთ ცხრილი:	Fill in the schedule.
უპასუხეთ კითხვებს:	Answer the questions.
შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით:	Write the sentences with the given words.
ჩასვით სწორი ფორმები:	Fill in the correct forms.
დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:	Write after the model.
მოცემული სიტყვებით / ფრაზებით შეადგინეთ დიალოგი / ტექსტი:	Use the given words / phrases and write the dialogue / text.
დააჯგუფეთ სიტყვები / ფრაზები:	Group the words / phrases.
შეადგინეთ დიალოგი და გამოიყენეთ თავაზიანი ფორმები:	Write the dialogue and use the polite forms.

1. ანბანი (აი, ეს-ის)

ხმოვნები:	ა ე ი ო უ

აი ია.

თ	თითი. აი თითი. აი თათი. აი თუთა. აი თათა. აი ათი თითი.
ს	საათი. აი საათი. ათი საათი. აი თასი. აი ასი თასი. აი ეს თასი. აი ის თასი.
მ	მამა. აი მამა. ეს მამაა. ეს თათას მამაა. ის საათია. ის მამასსაათია.
ნ	ნანა. ნინო. ნათია. აი ანა. ეს ანაა. ის ანას მამაა. ეს ანას საათია.
ჩ	ჩანთა. აი ჩანთა. ეს ჩანთაა. ეს ანას ჩანთაა. ის ნათიას ჩანთაა.
გ	გოგო. ანა გოგოა. ნინო გოგოა. ნათია გოგოა. ეს გოგოა. აი გოგო.
დ	დედა. აი ანას დედა. ანა დიდი გოგოა. ეს ანას ჩანთაა. ანას ჩანთა დიდია. ეს დედას საათია. ეს მამას საათია. მამას საათი დიდია.

1.

- აი თითი. აი ათი თითი.
- აი ჩანთა. ეს ჩანთა დიდია.
- ეს მამას საათია. ეს დედას საათია.
- ეს ჩემი საათია. ეს ჩემი ჩანთაა.

ეს - ის
ეს ჩანთა - ის ჩანთა

ნინო

ეს ნინოა. ნინო გოგოა. ნინო დიდი გოგოა. ეს ჩანთაა. ეს ნინოს ჩანთაა. ნინოს ჩანთა დიდია. ეს ნინოს დიდი ჩანთაა.

ანა

ეს ანაა. ანა გოგოა. ეს ანას დედაა. ის ანას მამაა. ეს ანას მამას საათია. ეს საათი დიდია.

ნათია

ეს ნათიაა. ეს ნათიას დედაა. ეს ნათიას დედას ჩანთაა. ეს ჩანთა დიდია.

** *

ეს საათია. ეს საათი დიდია.

* * *

- ეს საათი დიდია?
- ეს საათი დიდია.

* * *

- ის ჩანთა დიდია?
- ის ჩანთა დიდია.

* * *

- ის გოგო ანაა?
- ის გოგო ანაა.

სავარჯიშოები:

1.1. დაწერეთ სიტყვები:

თითი _____

ნათია _____

საათი _____

ჩანთა _____

მამა _____

დედა _____

გოგო _____

ნინო _____

დიდი _____

თათია _____

1.2. დაწერეთ წინადადებები:

ეს საათია. _____

ეს ჩანთაა. _____

აი საათი. _____

აი ჩემი საათი. _____

ეს ჩემი საათია. _____

ეს ჩემი ჩანთაა. _____

ეს ნათიას ჩანთაა. _____

ეს ნანას მამაა. _____

ის გოგო ნინოა. _____

ის ნინოს მამაა. _____

1.3. მოცემული ასოებით დაწერეთ სიტყვები:

1. დდიი _____
2. ოოგგ _____
3. დდეა _____
4. აამმ _____
5. ათჩნა _____
6. ააითთ _____
7. იითთ _____
8. სთაი _____
9. თია _____
10. საი _____

1.4. მოცემულისიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

1. ჩემი ეს ჩანთაა _____
2. ჩანთაა ეს ნათიას _____
3. დიდია ჩანთა ნინოს _____
4. დედაა ეს ნანას _____
5. საათი აი ათი _____
6. დიდი ნინო გოგოა _____
7. საათი ეს დიდია _____
8. დიდია თასი ის _____
9. საათია დედას ეს _____
10. დიდია საათი მამას _____

2. ანბანი (არის - არ არის, კი - არა, პირის ნაცვალსახელი)

ბ	ბებია. ბაბუა. ეს ჩემი ბებიაა. ის ნათიას ბაბუაა.
ხ	ხე. ეს ხეა. აი ათი ხე. ეს ჩემი ოთახია. ჩემი ოთახი დიდია.
შ	შეშა. ეს შეშაა. შენ. შენი. ეს შენი ოთახია?
რ	რუსუდანი. რუსუდანის ოთახი დიდია.
ზ	ზებრა. ზებრა დიდია. ზაზა. ეს ზაზას ოთახია. ზაზას ოთახი დიდი არ არის.
ვ	ვარდი. მე ვარ ანა. შენ ხარ ნინო. ის არის ნათია.
კ	კაბა. ეს ნათიას კაბაა. ნათია კარგი გოგოა. ნათიას ოთახი არის დიდი და კარგი.
ლ	ლარნაკი. ეს ლარნაკი ლამაზია. ეს არ არის დიდი ლარნაკი. ეს ჩემი სახლია. ეს გიორგის შარვალია.
ქ	ქალაქი. თბილისი საქართველოს დედაქალაქია. თბილისი დიდი ქალაქია. თბილისი ლამაზი ქალაქია.

დიახ, კი - არა

არის - არ არის

მე	მე - ჩემი	მე ვარ
შენ	შენ - შენი	შენ ხარ
ის	ის - მისი	ის არის ა < ა(რის)

- შენ ნინო ხარ?- კი, მე ნინო ვარ.
- შენ ანა ხარ? - არა, მე არ ვარ ანა, მე ნინო ვარ.

ანა

მე ვარ ანა. ნათია არის დედაჩემი. გიორგი არის მამაჩემი.

დედაჩემი
მამაჩემი

ნუნუ არის ჩემი ბებია. გურამი არის ჩემი ბაბუა. ეს ჩემი სახლია. ჩემი სახლი დიდია. ეს ჩემი ოთახია. ჩემი ოთახი არ არის დიდი.

გიგი

მე გიგი ვარ. ნინო არის დედაჩემი. დავითი არის მამაჩემი. ეს ჩემი ოთახია. ჩემი ოთახი დიდია.

* * *

- ეს ნინოა?
- არა, ეს არ არის ნინო, ეს ანაა.

- ეს კაბაა?
- არა, ეს არ არის კაბა, ეს შარვალია.

- ეს შენი სახლია?
- არა, ეს არ არის ჩემი სახლი, ჩემი სახლი ის არის.
- თბილისი დიდი ქალაქია?
- დიახ, თბილისი დიდი ქალაქია.

სავარჯიშოები:

2.1. დაწერეთ სიტყვები:

ბაბუა _____

სახლი _____

ოთახი _____

შეშა wood

თბილისი _____

ზებრა _____

ვარდი _____

კაბა _____

ლარნაკი _____

ქალაქი _____

2.2. დაწერეთ წინადადებები:

1. ჩემი ოთახი დიდია. _____

2. ეს გიორგის შარვალია. _____

3. ეს ლარნაკი ლამაზია. _____

4. ეს თეთრი კაბაა. white _____

5. ხის მაგიდა დიდია. I _____

6. ვარდი ლამაზია. _____

7. გურამი ნათიას ბაბუაა. _____

8. თბილისი დიდი ქალაქია. _____

9. თბილისი ლამაზი ქალაქია. _____

10. თბილისი საქართველოს დედაქალაქია. _____

11. The wooden table is large.

2.3. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

ნიმუში: კაბა - ეს ანას კაბაა. ანას კაბა ლამაზია.

1. მაგიდა _____
2. შარვალი pants
3. ვარდი rose
4. ლამაზი beautiful
5. ქალაქი _____
6. საათი _____
7. ჩანთა _____
8. დედა _____
9. დედაქალაქი _____
10. დიდი _____
11. ჩემი _____
12. სახლი _____
13. ოთახი _____
14. ბებია _____
15. ბაბუა _____
16. დედაჩემი _____
17. ხარ your
18. ლარნაკი _____
19. მამაჩემი Larnaci
20. ვარ _____

3. ანბანი (კითხვითი სიტყვები)

პ	პური. ეს თეთრი პურია. თეთრი პური გემრიელია.
ფ	ფანქარი. ეს ჩემი ფანქარია. ის გიორგის ფანქარია. ეს შავი ფანქარია.
ჟ	ჟურნალი. ეს კარგი ჟურნალია. ეს ახალი ჟურნალია.
ტ	ტახტი. დიდი ტახტი. ეს საინტერესო ჟურნალია.
ც	ცა. ცა ლამაზია. ცარცი. ცარცი თეთრია.
ღ	ღამე. დღე. დღე და ღამე.
ყ	ყვავილი. ვარდი ყვავილია. ვარდი ლამაზი ყვავილია.
ძ	ძროხა. ძროხა შინაური ცხოველია. ეს ჩანთა ძალიან მძიმეა.
წ	წიწილა. წიწილა ძალიან პატარა და საყვარელია.
ჭ	ჭიქა. ჭიქაში ცივი წყალია. ზაზა ბიჭია.
ხ	ხოხი. ეს გრძელი ხოხია. ის მოკლე ხოხია.
ჰ	ჰამაკი. ეს ჰამაკი ჩემია.

ვინ? რა?	ვისი?	რამდენი? როგორი?

- ეს ვინ არის? - ეს ნინოა.
- ეს რა არის? - ეს ყვავილია.
- ეს ყვავილი ვისია? - ეს ყვავილი ნინოსია.
- რამდენი ყვავილია? - ათი ყვავილია.
- როგორი ყვავილია? - ძალიან ლამაზი ყვავილია.

ოთახი - ოთახში
მაგიდა - მაგიდაზე

გიგი

ეს გიგია. გიგი ბიჭია. გიგი არის ძალიან კარგი ბიჭი. ეს გიგის სახლია. ეს გიგის ოთახია. გიგის ოთახი დიდია. გიგის ოთახში არის მაგიდა. მაგიდა არ არის დიდი, ის პატარაა. მაგიდაზე არის ჟურნალი, ფანქარი, საათი.

ანა

ეს არის ანა. ანა გოგოა. ანა არის ძალიან კარგი გოგო. ანა ლამაზია. ეს ანას სახლია. ანას სახლი დიდია. ეს ანას ოთახია. ანას ოთახი დიდი არ არის. ანას ოთახში არის მაგიდა. მაგიდაზე არის ლარნაკი. ლარნაკში არის ლამაზი ყვავილი. ეს ყვავილი თეთრი ვარდია. თეთრი ვარდი ძალიან ლამაზია.

საქართველო

საქართველო არ არის დიდი ქვეყანა, ის პატარა ქვეყანაა. ის ძალიან ლამაზი და საინტერესო ქვეყანაა. საქართველოს დედაქალაქი არის თბილისი. თბილისი არ არის პატარა ქალაქი, ის დიდი ქალაქია. თბილისი ლამაზი ქალაქია. თბილისი არ არის ახალი ქალაქი, ის არის ძალიან ძველი და საინტერესო ქალაქი.

* * *

- ვინ არის ეს გოგო? - ეს გოგო ანაა.
- რა არის ეს? - ეს შარვალია, ჩემი გრძელი შავი შარვალია.
- ვისია ეს ჩანთა? - ეს ჩანთა ჩემი არ არის, ეს ანას ჩანთაა.
- რა არის ეს? - ეს ჟურნალია, ეს ახალი ჟურნალი ძალიან საინტერესოა.
- როგორია ნათიას ახალი კაბა? - ნათიას ახალი კაბა ძალიან ლამაზია, ის არ არის ძალიან გრძელი და არ არის მოკლე, ის შავი და თეთრია.

* * *

- როგორია შენი ქვეყანა? როგორია შენი ქალაქი?

სავარჯიშოები:

3.1.დაწერეთ სიტყვები:

პური _____

ფანქარი _____

ჟურნალი _____

ტახტი _____

ცა _____

ღამე _____

წყალი _____

ძროხა _____

ბიჭი _____

ჯოხი _____

ჰამაკი _____

3.2. დაწერეთ წინადადებები:

1. თეთრი პური გემრიელია. _____

2. ეს ფანქარი მოკლეა. _____

3. ცა ლამაზია. _____

4. ვარდი ლამაზი ყვავილია. _____

5. ძროხა შინაური ცხოველია. _____

6. პატარა წიწილა საყვარელია. _____

7. ეს ბიჭი დავითია. _____

8. ჭის წყალი ძალიან გემრიელია. _____

9. ეს ჰამაკი ჩემი არ არის. _____

10. ეს საინტერესო ჟურნალია. _____

3.3. დაწერეთ თქვენი მეგობრის შესახებ:

3.4. დაწერეთ თქვენი ქვეყნის შეასახებ:

3.5. დაწერეთ თქვენი ქალაქის შესახებ:

3+. ანბანის შემდეგ საკითხავი

კითხვითი სიტყვები	ფორმები	ფრაზები
ვინ?	დიახ, კი	მე ვარ
რა?	არა	შენ ხარ
რამდენი?	მე - ჩემი	ის არის - ა < ა(რის)
როგორი?	შენ - შენი	არის - არ არის
ვისი?	ის - მისი	-ში - ოთახი - ოთახში
	ეს	-ზე - მაგიდა - მაგიდაზე
	ის	დედაჩემი
	-ში	მამაჩემი
	-ზე	ეს ჩანთა - ის ჩანთა

- მე ვარ ანა. ნათია არის დედაჩემი. გიორგი არის მამაჩემი.
- შენ ნინო ხარ? - კი, მე ნინო ვარ.
- ეს საათი დიდია? - კი, ეს საათი დიდია.
- ეს დიდი ჩანთაა.
- ეს ანას საათია. ეს საათი დიდი არ არის.
- ეს ლარნაკია. ლარნაკში ვარდია. ვარდი ძალიან ლამაზია.
- ეს ნათიას დედას ჩანთაა. ეს ჩანთა დიდია და ლამაზია.

- ეს რუსუდანის სახლია. ეს დიდი სახლია. რუსუდანის ოთახი არ არის დიდი. რუსუდანი ლამაზი გოგოა.
- ანას ახალი კაბა ძალიან ლამაზია.
- თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი. თბილისი დიდი და ლამაზი ქალაქია.

ანა

მე ვარ ანა. დედაჩემი არის ელენე, მამაჩემი არის გიორგი. ეს დედაჩემის და მამაჩემის ოთახია. ეს ოთახი დიდია. ეს ჩემი ოთახია. ჩემი ოთახი დიდი არ არის. ჩემი ოთახი ლამაზია. ოთახში არის მაგიდა. მაგიდაზე არის ლარნაკი, ლარნაკში არის ვარდი.

თბილისი

თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი. თბილისი არ არის პატარა ქალაქი, ის დიდი ქალაქია. თბილისში არის მდინარე მტკვარი. თბილისი ძალიან საინტერესო ქალაქია. ძველი თბილისი ძალიან ლამაზია.

თბილისში არის ბევრი უნივერსიტეტი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ძველი და ძალიან დიდი უნივერსიტეტი. ის არის ილია ჭავჭავაძის პროსპექტზე. უნივერსიტეტი ძალიან ლამაზია. უნივერსიტეტში ბევრი პროფესორი და სტუდენტია.

თბილისში არის ოპერა, ოპერა არის რუსთაველის პროსპექტზე. რუსთაველის პროსპექტი არის ქალაქის ცენტრში და ის ძალიან ლამაზია.

სავარჯიშოები:

3+.1. უპასუხეთ კითხვებს:

1.შენ ელენე ხარ? ----------

2. შენი ოთახი დიდია? ----------

3. რა არის შენს ოთახში? ----------

4. რამდენი ოთახია შენს სახლში? ----------

5. ვინ არის შენი მეგობარი? ----------

6. როგორია შენი მეგობარი? ----------

7. ვინ არის შენს ოჯახში? ----------

8. როგორია შენი ქვეყანა? ----------

9. როგორია შენი ქალაქი? ----------

10. როგორია შენი სახლი? ----------

3+.2. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

1.დედაჩემი ----------

2. მამაჩემი ----------

3. ქალაქი ----------

4. ოთახში ----------

5. მაგიდაზე ----------

6. ჩანთა ----------

7. საათი ----------

8. დიდი ----------

9.ლამაზი ----------

10. დედაქალაქი ----------

3+.3. დაწერეთ: დედაჩემი

3+.4. დაწერეთ: მამაჩემი

3+.5. დაწერეთ: ჩემი ქალაქი

4. მისალმება, დამშვიდობება, მადლიერება, მობოდიშება

გამარჯვება > გამარჯობა	მშვიდობა > მშვიდობისა

1. მისალმება

მისალმება	პასუხი
გამარჯობა, მე ვარ გიორგი.	სასიამოვნოა! მე ვარ ანა.
გამარჯობა!	გამარჯობა! გაგიმარჯოს!
დილა მშვიდობისა!	დილა მშვიდობისა!
საღამო მშვიდობისა!	საღამო მშვიდობისა!
სალამი!	სალამი!
მოგესალმებით!	მოგესალმებით!

2. დამშვიდობება

დამშვიდობება	პასუხი
ნახვამდის!	ნახვამდის!
კარგად იყავი(თ)! // კარგად!	კარგად იყავი(თ)! // კარგად!
კარგად ბრძანდებოდეთ!	კარგად ბრძანდებოდეთ!
მშვიდობით ბრძანდებოდეთ!	მშვიდობით ბრძანდებოდეთ!
მომავალ შეხვედრამდე!	მომავალ შეხვედრამდე!
ხვალამდე!	ხვალამდე!
ღამე მშვიდობისა!	ღამე მშვიდობისა!
ძილი ნებისა!	ძილი ნებისა!

3. მოკითხვა

მოკითხვა	პასუხი
როგორ ხარ(თ)?	კარგად.
როგორ ბრძანდებით?	არა მიშავს.
როგორ გიკითხოთ?	ისე რა.
როგორ არის ... ?	ნელა-ნელა.
როგორ ბრძანდება ... ?	ცუდად.

4.მადლიერება

მადლიერება	პასუხი
მადლობა! დიდი მადლობა! უღრმესი მადლობა! გმადლობთ! მადლობელი ვარ! მადლიერი ვარ!	არაფრის!

3. მობოდიშება

მობოდიშება	პასუხი
ბოდიში! დიდი ბოდიში! მაპატიეთ! უკაცრავად! მომიტევეთ!	არა უშავს! არაფერია!

ქალბატონი	ქალბატონო	ბატონი	ბატონო
ანა	ანა!	ზაზა	ზაზა!
ელენე	ელენე!	თორნიკე	თორნიკე!
ნინო	ნინო!	გიორგი	გიორგი!
ნუნუ	ნუნუ!	დავითი	დავით!
მარიამი	მარიამ!	ლევანი	ლევან!
ქეთევანი	ქეთევან!	ნოდარი	ნოდარ!
რუსუდანი	რუსუდან!	ზურაბი	ზურაბ!

1. - გამარჯობა, ელენე! როგორ ხარ? - გამარჯობა! კარგად. შენ როგორ ხარ? - კარგად. როგორ არის ანა? - დიდი მადლობა, კარგად არის. - ნახვამდის! - კარგად იყავი!	2. - დილა მშვიდობისა, ბატონო დავით! - დილა მშვიდობისა, ქალბატონო მარიამ! - როგორ ბრძანდებით? - გმადლობთ, არა მიშავს. - კარგად ბრძანდებოდეთ! - კარგად ბრძანდებოდეთ!

სავარჯიშოები:

4.1. დაუკავშირეთ ერთმანეთს ფრაზები:

1.	დილა მშვიდობისა!	ა) კარგად!
2.	ნახვამდის!	ბ) არა უშავს!
3.	როგორ ბრძანდებით!	გ) ღამე მშვიდობისა!
4.	დიდი მადლობა!	დ) არა მიშავს!
5.	უკაცრავად!	ე) კარგად ბრძანდებოდეთ!
6.	საღამო მშვიდობისა!	ვ) არაფრის!
7.	კარგად ბრძანდებოდეთ!	ზ) არაფერია!
8.	მომავალ შეხვედრამდე!	თ) გაგიმარჯოს!
9.	ღამე მშვიდობისა!	ი) გამარჯობა!
10.	მაპატიეთ!	კ) ნახვამდის!

4.2. შეადგინეთ დიალოგი სურათის მიხედვით:

1.

2.

3.

4.



5.

5. რიცხვითი სახელი და თვლა

0	ნული / ნოლი
1	ერთი
2	ორი
3	სამი
4	ოთხი
5	ხუთი
6	ექვსი
7	შვიდი
8	რვა
9	ცხრა
10	ათი

(ა)თ(ი) + ერთ(ი)+ მეტი				
(ა)თ(ი)	ერთ(ი)	მეტი	თერთმეტი	11
	ორ(ი)		თორმეტი	12
	სამ(ი)		ცამეტი (თს>ც)	13
	ოთხ(ი)		თოთხმეტი	14
	ხუთ(ი)		თხუთმეტი	15
	ექვს(ი)		თექვსმეტი	16
	შვიდ(ი)		ჩვიდმეტი (თშ>ჩ)	17
	რვა		თვრამეტი (თრვ>თვრ)	18
	ცხრა		ცხრამეტი	19
ოცი				20

- რამდენი წლის ხარ? - მე ვარ ცხრამეტი წლის.
- რომელი საათია? - ახლა რვა საათია.
- რა არის შენი ტელეფონის ნომერი? - ჩემი ტელეფონის ნომერია: თვრამეტი - ნული ხუთი - ჩვიდმეტი.
- რა ღირს პური? - ეს პური ღირს ერთი ლარი და ათი თეთრი.
- რამდენი სტუდენტია ოთახში? - ოთახში თვრამეტი სტუდენტია.

რამდენი?
რომელი?
რამდენი წლის...?
რომელი საათია?
რა ღირს...?

ოც(ი) + და + ერთი				
ოც(ი)	და	ერთი	ოცდაერთი	21
		ორი	ოცდაორი	22
		სამი	ოცდასამი	23
		ოთხი	ოცდაოთხი	24
		ხუთი	ოცდახუთი	25
		ექვსი	ოცდაექვსი	26
		შვიდი	ოცდაშვიდი	27
		რვა	ოცდარვა	28
		ცხრა	ოცდაცხრა	29
		ათი	ოცდაათი	30
		თერთმეტი	ოცდათერთმეტი	31
		თორმეტი	ოცდათორმეტი	32
		ცამეტი	ოცდაცამეტი	33
		თოთხმეტი	ოცდათოთხმეტი	34
		თხუთმეტი	ოცდათხუთმეტი	35
		თექვსმეტი	ოცდათექვსმეტი	36
		ჩვიდმეტი	ოცდაჩვიდმეტი	37
		თვრამეტი	ოცდათვრამეტი	38
		ცხრამეტი	ოცდაცხრამეტი	39
ორ	+მ	ოცი	ორმოცი	40
სამ	--------		სამოცი	60
ოთხ	+მ		ოთხმოცი	80

- 45 - ორმოცდახუთი... 50 - ორმოცდაათი... 55 - ორმოცდათხუთმეტი... 59 - ორმოცდაცხრამეტი...
- 65 - სამოცდახუთი... 70 - სამოცდაათი... 75 - სამოცდათხუთმეტი... 79 - სამოცდაცხრამეტი...
- 85 - ოთხმოცდახუთი... 90 - ოთხმოცდაათი... 95 - ოთხმოცდათხუთმეტი... 99 - ოთხმოცდაცხრამეტი...
- 100 - ასი, 200 - ორასი, 300 - სამასი.... 500 - ხუთასი, 900 - ცხრაასი...
- 1000 - ათასი, 2000 - ორი ათასი, 6000 - ექვსი ათასი, 9000 - ცხრა ათასი...
- 1000000 - მილიონი, 5000000 - ხუთი მილიონი, 9000000 - ცხრა მილიონი...
- 1995 - ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტი... 2014 - ორი ათას თოთხმეტი...
- 25 768 - ოცდახუთი ათას შვიდას სამოცდაცხრა...
- 2 968 786 - ორი მილიონ ცხრაას სამოცდარვა ათას შვიდას ოთხმოცდაექვსი...

სავარჯიშოები:

5.1. წაიკითხეთ რიცხვები:

2	5	7	4	8	2	3	1	9	6	10	11	13	14

5.2. წაიკითხეთ რიცხვები:

15	17	19	20	22	29	32	35	39	41	44	46
49	50	51	53	54	59	62	68	72	77		

5.3. შეავსეთ ცხრილი:

4		15	
თორმეტი		ოცდარვა	
8		29	
ოცდასამი		ოცდათერთმეტი	
9		34	
ჩვიდმეტი		ოცდაცხრამეტი	
13		53	
ოცი		სამოცდაშვიდი	

5.4. დაწერეთ რიცხვები სიტყვებით:

22		23	
34		42	
45		55	
64		54	
48		57	
85		36	
67		76	
74		37	
69		75	
79		43	
89		53	
92		68	

5.5. წაიკითხეთ ტელეფონის ნომრები:

22 -10 - 11; 18 - 43 - 55; 68 - 37 - 34; 37 - 32 - 44; 91 - 423;
2 - 17- 25; 5 99 39 - 77 27; 5 77 37- 55 -25; 5 68 28 – 99 – 33;

5.6. მოცემული ფრაზებით შეადგინეთ დიალოგები, გამოიყენეთ მე-4 თემაში მოცემული ფრაზები:

რამდენი წლის ხარ / არის....? რომელი საათია?
რა არის შენი ტელეფონის ნომერი?
რა ღირს? რამდენი.....?

1.----------	2.----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
3.----------	4.----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------
----------	----------

6. მხოლობითი და მრავლობითი. წელიწადის დროები

წამი - წუთი - საათი - დღე - კვირა - თვე - წელი / წელიწადი - საუკუნე

1.

- *საუკუნეში* არის ასი *წელი.*
- *წელიწადში* არის თორმეტი *თვე.*
- *თვეში* არის ოცდაათი ან ოცდათერთმეტი *დღე.*
- *თვეში* არის ოთხი *კვირა.*
- *კვირაში* არის შვიდი *დღე.*
- *დღე-ღამეში* არის ოცდაოთხი *საათი.*
- *საათში* არის სამოცი *წუთი.*
- *წუთში* არის სამოცი *წამი.*

1. მრავლობითი რიცხვი:

ერთი = მხოლობითი	ბევრი = მრავლობითი - ებ	ერთი = მხოლობითი	ბევრი = მრავლობითი - ებ
თით-ი	თით-ებ-ი	კაბა	კაბ-ებ-ი
ოთახ-ი	ოთახ-ებ-ი	მაგიდა	მაგიდ-ებ-ი
სახლ-ი	სახლ-ებ-ი	ჩანთა	ჩანთ-ებ-ი
ჟურნალ-ი	ჟურნალ-ებ-ი	გოგონა	გოგონ-ებ-ი
ცხოველ-ი	ცხოველ-ებ-ი	წიწილა	წიწილ-ებ-ი
ჯოხ-ი	ჯოხ-ებ-ი	ქუჩა	ქუჩ-ებ-ი
ფანქარ-ი	ფანქრ-ებ-ი	დღე	დღე-ებ-ი
შარვალ-ი	შარვლ-ებ-ი	თვე	თვე-ებ-ი
სტუმარ-ი	სტუმრ-ებ-ი	გოგო	გოგო-ებ-ი

პირის ნაცვალსახელები		კუთვნილებითი ნაცვალსახელები		ზმნა - ყოფნა	
მე	ჩვენ	მე - ჩემი	ჩვენ - ჩვენი	მე ვარ	ჩვენ ვართ
შენ	თქვენ	შენ - შენი	თქვენ - თქვენი	შენ ხარ	თქვენ ხართ
ის	ისინი	ის - მისი	ისინი - მათი	ის არის	ისინი არიან

- ეს *ჟურნალები* ახალია? - *დიახ,* ახალია.
- ეს *ფანქრები* ჩემია.
- ვისია ეს *შარვლები?* - ეს *შარვლები* თორნიკესია.
- ანას *კაბები* ძალიან ლამაზია.
- ეს *გოგონები* ჩვენი *სტუმრები* არიან.

დიახ, კი, ჰო
არა

წელიწადის დროები

წელიწადში ოთხი დროა. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა და ზამთარი. წელიწადში თორმეტი თვეა. თვეების სახელებია: *იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი, ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი.* ზამთრის თვეებია: *დეკემბერი, იანვარი* და *თებერვალი.* გაზაფხულის თვეებია: *მარტი, აპრილი* და *მაისი.* ზაფხულის თვეებია: *ივნისი, ივლისი* და *აგვისტო.* შემოდგომის თვეებია: *სექტემბერი, ოქტომბერი* და *ნოემბერი.*

წელიწადის დროები
კვირის დღეები

კვირის დღეებია: *ორშაბათი, სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი* და *კვირა.*

ზამთარში *ცივა,* ზაფხულში *ცხელა,* გაზაფხულზე *თბილა,* შემოდგომაზე *გრილა.* ზამთარში მოკლე *დღეები* და გრძელი *ღამეებია,* ზაფხულში გრძელი *დღეები* და მოკლე *ღამეებია.*

ზამთარ-ში	გაზაფხულ-ზე
ზაფხულ-ში	შემოდგომა-ზე

კვირა - კვირის დღეები:						
ორშაბათი	სამშაბათი	ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა
2	3	4	5			

* * *

- დღეს რა დღეა?
- დღეს არის კვირა.
- რა რიცხვია?
- დღეს არის ოცდახუთი სექტემბერი.

დღე
დღეს
-დღეს რა დღეა? რა რიცხვია?
-დღეს არის ორშაბათი, ათი იანვარი.

ცხელი - ცხელა	თბილი - თბილა
ცივი - ცივა	გრილი - გრილა

-როგორი ამინდია დღეს?
- დღეს თბილი ამინდია. / დღეს თბილა.

* * *

- გამარჯობა.
- საღამო მშვიდობისა. როგორ ხართ?
- გმადლობთ, მე კარგად ვარ, თქვენ როგორ ხართ?
- გმადლობთ, კარგად. უკაცრავად, დღეს რა დღეა?
- დღეს ოთხშაბათია.
- რა რიცხვია?
- დღეს ოცდარვა სექტემბერია. დღეს კარგი ამინდია, თბილა.
- კი, დღეს თბილა. დიდი მადლობა. ნახვამდის!
- კარგად ბრძანდებოდეთ!

სავარჯიშოები:

6.1.დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

იანვარი იანვარი. იანვარი არის ზამთარში. იანვარში ცივა.

თებერვალი _____

მარტი _____

აპრილი _____

მაისი _____

ივნისი _____

ივლისი _____

აგვისტო _____

სექტემბერი _____

ოქტომბერი _____

ნოემბერი _____

6.2.დაწერეთ ნიმუშის მიხედვით: სახლი - სახლები.

1. ჟურნალი_____
2. ოთახი _____
3. თვე _____
4. დღე _____
5. გოგო _____
6. ფანქარი _____
7. შარვალი _____
8. ჯოხი _____
9. სტუმარი _____
10. ცხოველი _____

6.3.უპასუხეთ კითხვებს:

1. რამდენი წელია საუკუნეში? _____
2. რომელია ზამთრის თვეები? _____
3. რამდენი დღეა კვირაში? _____
4. ზამთარში დღეები მოკლეა? _____
5. ზამთარში თბილა? _____
6. რამდენი საათია დღე-ღამეში? _____
7. რამდენი დღეა კვირაში? _____
8. ზაფხულში ცივა? _____
9. რომელია ზაფხულის თვეები? _____
10. ზაფხულში ღამეები გრძელია? _____

6.4.შეადგინეთ წინადადებები მოცემულ სიტყვებზე:

ნიმუში: შარვალი - ეს არის ჩემი შარვალი.

1. კვირა _____
2. გაზაფხული _____
3. თვე _____
4. წელიწადი _____
5. დღე-ღამე _____
6. კვირა _____
7. წუთი _____
8. თითი _____
9. წიწილა _____
10. ჟურნალი _____

7. ცხოვრობს, სწავლობს, მუშაობს. პროფესიები

პირის ნიშნები		ცხოვრება	
I ვ --------	I ვ -------- თ	I ვ-ცხოვრობ მე	I ვ-ცხოვრობ-თ ჩვენ
II --------	II -------- თ	II ცხოვრობ შენ	II ცხოვრობ-თ თქვენ
III --------ს	III -------- ენ	III ცხოვრობ-ს ის	III ცხოვრობ-ენ ისინი
სწავლა		მუშაობა	
ვ-სწავლობ მე	ვ-სწავლობ-თ ჩვენ	ვ-მუშაობ მე	ვ-მუშაობ-თ ჩვენ
სწავლობ შენ	სწავლობ-თ თქვენ	მუშაობ შენ	მუშაობ-თ თქვენ
სწავლობ-ს ის	სწავლობ-ენ ისინი	მუშაობ-ს ის	მუშაობ-ენ ისინი

ლექსიკა	
პროფესია	ინჟინერი, ჟურნალისტი, ეკონომისტი, იურისტი, სტომატოლოგი, პედაგოგი, პოლიციელი, ოფიციანტი... მასწავლებელი, ექიმი, მოსამართლე, გამყიდველი, დიასახლისი... პენსიონერი.
ადგილი	უნივერსიტეტი, ტელევიზია, რესტორანი, პოლიკლინიკა, სუპერმარკეტი, მერია... სკოლა, საბავშვო ბაღი, მაღაზია...

სად?
სად ცხოვრობს?
სად სწავლობს?
სად მუშაობს?

- - სად ***ცხოვრობ?*** - მე ***ვცხოვრობ*** თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე.
- - სად ***სწავლობ?*** - მე ***ვსწავლობ*** უნივერსიტეტში, ეკონომიკის ფაკულტეტზე.
- - სად მუშაობ? - მე ***ვმუშაობ*** ტელევიზიაში, ჟურნალისტად.
- - გიორგი სად ***სწავლობს?*** - გიორგი ***არ სწავლობს,*** გიორგი მერიაში ***მუშაობს*** ეკონომისტად.
- ნათია და ანა უნივერსიტეტში ***სწავლობენ*** ბიზნესის ფაკულტეტზე.
- - თქვენ სად ***სწავლობთ?*** - მე და ნანა უნივერსიტეტში ***ვსწავლობთ,*** ანა სკოლაში სწავლობს.
- - სად ***მუშაობენ*** დედა და მამა? - დედაჩემი არ ***მუშაობს,*** ის დიასახლისია. მამაჩემი ეკონომისტია და ის სუპერმარკეტში ***მუშაობს*** ეკონომისტად.

ვცხოვრობ
თბილისში ჭავჭავაძის ქუჩაზე
ვსწავლობ
უნივერსიტეტში
ეკონომიკის ფაკულტეტზე
ვმუშაობ პედაგოგად სკოლაში

- - ბებია და ბაბუა ***მუშაობენ?*** - ბებია საბავშვო ბაღში ***მუშაობს*** პედაგოგად, ბაბუა კი არ ***მუშაობს,*** ის პენსიონერია.
- - სად ***ცხოვრობს*** სალომე? - სალომე ბათუმში ***ცხოვრობს,*** ნინოშვილის ქუჩაზე.

სალომე

მე სალომე ვარ. მე ვარ ოცი წლის. მე სტუდენტი ვარ. *ვცხოვრობ* ბათუმში, ნინოშვილის ქუჩაზე, 25 ნომერში, *მეორე* სართულზე, მე-14 ბინაში. ჩემი სახლი დიდია. ჩვენ ბათუმში ათი წელია *ვცხოვრობთ.* ბათუმი ძალიან ლამაზი ქალაქია. ის არ არის ძალიან დიდი ქალაქი. *ვსწავლობ* ბათუმის უნივერსიტეტში. ეს დიდი უნივერსიტეტია. მე ეკონომიკის ფაკულტეტზე *ვსწავლობ.* ახლა მეორე კურსზე ვარ. მამაჩემი უნივერსიტეტში *მუშაობს.* ის ეკონომისტია. დედაჩემი სკოლის მასწავლებელია. ის დიდი ხანია სკოლაში *მუშაობს* მასწავლებლად.

ჩემი მისამართია:
საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის ქუჩა 25, ბინა 14

რიგობითი რცხვითი სახელები:
ერთი - პირველი, მე-ორ-ე, მე-სამ-ე...
მე-რვ-ე, მე-ცხრ-ე...
მე-თხუთმეტ-ე...
ოც-და-მე-ხუთ-ე....
სამოც-და-მე-თხუთმეტ-ე...

* * *

- დილა მშვიდობისა, ქალბატონო მარიამ!
- გამარჯობა, სალომე, როგორ ხარ?
- გმადლობთ, ქალბატონო მარიამ, კარგად ვარ. თქვენ როგორ ბრძანდებით?
- დიდი მადლობა, მეც კარგად ვარ. დედა და მამა როგორ არიან?
- კარგად არიან.
- ახლა ბათუმში არიან?
- დიახ, ბათუმში არიან. ჩვენ ათი წელია ბათუმში *ვცხოვრობთ.*
- ძალიან კარგი. შენ *სწავლობ?*
- დიახ, მე *ვსწავლობ.*
- სად *სწავლობ?*
- ბათუმის უნივერსიტეტში *ვსწავლობ,* ეკონომიკის ფაკულტეტზე.
- დედა და მამა ბათუმში *მუშაობენ?*
- დიახ, დედა სკოლაში *მუშაობს* პედაგოგად, მამა უნივერსიტეტში *მუშაობს.*
- ძალიან კარგი. კარგად იყავი.
- კარგად ბრძანდებოდეთ, ქალბატონი მარიამ.

დიდი სახლი
დიდ სახლს, დიდ სახლში, დიდ სახლზე...

სავარჯიშოები:

7.1. უპასუხეთ კითხვებს:

1. სად ცხოვრობს სალომე? _____

2. რამდენი წლისაა სალომე? _____

3. რა არის სალომეს მისამართი? _____

4. როგორია სალომეს სახლი? _____

5. რამდენი წელია ცხოვრობს სალომე ბათუმში? _____

6. როგორი ქალაქია ბათუმი? _____

7. სად სწავლობს სალომე? _____

8. სად მუშაობს სალომეს მამა? _____

9. სად მუშაობს სალომეს დედა? _____

10. რა ფაკულტეტზე სწავლობს სალომე? _____

7.2. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

12 - თორმეტი - *მეთორმეტე*

7 _____

1 _____

10 _____

16 _____

22 _____

30 _____

45 _____

52 _____

63 _____

123 _____

7.3. ჩასვით სწორი ფორმები:

1. მე _____ თბილისში. (ცხოვრობს, ვცხოვრობ)

2. სად _____ ელენე? (ვსწავლობ, სწავლობს)

3. გიორგი არ _____, ის _____ უნივერსიტეტში. (მუშაობ, მუშაობს; სწავლობ, სწავლობს)

4. დედაჩემი ახლა არ _____. (მუშაობს, მუშაობენ)

5. თქვენ სად _____. (ვმუშაობთ, მუშაობთ)

6. ჩვენ უნივერსიტეტში _____. (ვმუშაობ, ვმუშაობთ)

7. სად _____ შენი ბებია და ბაბუა? (ცხოვრობენ, ცხოვრობთ)

8. ანა და თათა სკოლაში _____. (სწავლობს, სწავლობენ)

9. დავითი პოლიკლინიკაში ექიმად _____. (ვმუშაობ, მუშაობს)

10. გიგი არ _____ სკოლაში. (სწავლობ, სწავლობს)

7.4. დაწერეთ თქვენ შესახებ: ***ვინ ხარ, სად ცხოვრობ, სად მუშაობ, სად სწავლობ?***

8. მაქვს ზმნა. უსულო ობიექტი. – ჩემი სახლი

მაქვს მე ის	გვაქვს ჩვენ ის	მე *სახლი* მაქვს.	ჩვენ *სახლი* გვაქვს.
გაქვს შენ ის	გაქვთ თქვენ ის	გაქვს შენ *სახლი?*	გაქვთ თქვენ *სახლი?*
აქვს მას ის	აქვთ მათ ის	*დავითს* აქვს *სახლი.*	*სტუმრებს* არ აქვთ *სახლი.*

ლექსიკა	
სახლი	სახლი, ბინა, ოთახი, სასტუმრო ოთახი, საძინებელი ოთახი, სამუშაო ოთახი - კაბინეტი; შემოსასვლელი, აბაზანა, ტუალეტი, სამზარეულო; ფანჯარა, კედელი, ჭერი, იატაკი; აივანი; სართული.
ავეჯი	მაგიდა, სკამი, კარადა, საწოლი, სავარძელი, ტახტი / დივანი ; ტუმბო, სარკე; ხალიჩა. წიგნების კარადა.

1.

-იან-ი
რამდენი ოთახი? - რამდენოთახიანი?
სამი ოთახი - სამოთახიანი
ხუთი ოთახი - ხუთოთახიანი
ოთხი სართული -ოთხსართულიანი
ცხრა სართული - ცხრასართულიანი

- მე დიდი სახლი არ *მაქვს,* მაქვს ბინა. ჩემი ბინა პატარაა.
- რამდენი ოთახი *გაქვს?* - მე სამი ოთახი *მაქვს.*
- მე *სამოთახიანი* ბინა მაქვს.
- შენ *რამდენოთახიანი* ბინა *გაქვს?* - მე *ოთხოთახიანი* ბინა *მაქვს.* კარგი ბინაა.
- რამდენი ოთახი *გაქვს?* - მაქვს ერთი სასტუმრო ოთახი, ერთი საძინებელი, ერთი კაბინეტი, სამზარეულო და აბაზანა. კარგი ბინა *მაქვს.*
- *ბინას* აივანი *აქვს?* - კი, დიდი აივანი *მაქვს,* ძალიან კარგი აივანი *მაქვს.*

2.

- ჩვენი სახლი დიდი არაა, *სამსართულიანია.*
- სასტუმრო ოთახში რა *გაქვთ?* - სასტუმრო ოთახში *გვაქვს* მაგიდა, სკამები, დივანი და ორი სავარძელი.
- საძინებელში რა ავეჯი *გაქვთ?* - საძინებელში *გვაქვს* დიდი საწოლი, კარადა, სარკე და ორი ტუმბო.

სავარძელი - სავარძლები
ორი სავარძელი
ათი სავარძელი
ბევრი წიგნი

- ბინაში დიდი შემოსასვლელი *გაქვთ?* - კი, დიდი შემოსასვლელი *გვაქვს.*
- ოთახს *აქვს* ორი დიდი ფანჯარა, ძალიან კარგი ოთახია.
- ოთახში ხალიჩა *გაქვს?* - არა, ხალიჩა არ *მაქვს.*
- ბინაში დიდი სამზარეულოა? - არა, სამზარეული არაა დიდი, პატარაა, ჩვენ *გვაქვს* დიდი სასტუმრო ოთახი.

-ც

როგორ ხარ? - კარგად. შენ? - მეც კარგად.
ოთახში მაქვს საწოლი, მაგიდა და წიგნების

ჩემი სახლი

მე ვარ სალომე. მე 22 წლის ვარ. ჩვენი სახლი დიდია, ჩვენ ხუთოთახიანი ბინა ***გვაქვს:*** ერთი სასტუმრო ოთახი, სამი საძინებელი, ერთი კაბინეტი, დიდი შემოსასვლელი, დიდი აბაზანა-ტუალეტი, დიდი აივანი. ჩემი ოთახი დიდი არაა. ოთახში ***მაქვს*** ჩემი საწოლი, ერთი მაგიდა, ორი სკამი, ერთი ტახტი და ერთი სავარძელი. ოთახში ***მაქვს*** წიგნების ***კარადაც.*** მე ბევრი წიგნი მაქვს. წიგნების კარადა არის სასტუმრო ***ოთახშიც,*** ის დიდი კარადაა, მამაჩემს ბევრი წიგნი ***აქვს.*** დედაჩემის და მამაჩემის საძინებელში არის დიდი საწოლი, დიდი კარადა, სარკე და ორი ტუმბო. სასტუმრო ოთახი დიდია. ოთახში არის მაგიდა, ექვსი სკამი, დივანი, ორი სავარძელი, წიგნების კარადა. ოთახში არის დიდი ხალიჩა. ჩვენი ბინა ძალიან კარგია.

* * *

- საღამო მშვიდობისა!
- გამარჯობა! როგორ ხარ?
- გმადლობთ, კარგად. თქვენ როგორ ხართ?
- ჩვენც კარგად. რა არის ახალი და კარგი?
- ჩვენ ახალი ბინა ***გვაქვს.***
- ***მართლა? რა კარგია!*** როგორია ახალი ბინა?
- ძალიან კარგია. დიდი ბინაა.
- რამდენოთახიანი ბინაა?
- ოთხოთახიანი. ერთი სასტუმრო ოთახი, ორი საძინებელი და ერთი კაბინეტი.
- ძალიან კარგია. დიდი სამზარეულო ***გაქვთ?***
- კი, სამზარეულო დიდია. ბინას დიდი აივანიც ***აქვს.*** შემოსასვლელიც დიდია.
- რა კარგია!
- კი, ძალიან კარგია.
- დედა და მამა როგორ არიან?
- კარგად არიან.
- კარგად იყავით!
- კარგად ბრძანდებოდეთ!

- მართლა?
- რა კარგია!

სავარჯიშოები:

8.1.ჩასვით სწორი ფორმები: *მაქვს, გაქვს, აქვს, გვაქვს, გაქვთ, აქვთ.*

მას ბინა _____	ჩვენ სახლი _____	შენ ის _____
მე წიგნი _____	მათ მაგიდა _____	თქვენ ის _____

8.2.ჩასვით სწორი ფორმები:

1. _____ ძალიან დიდი სახლი აქვს. (გიორგი)
2. _____ სახლში წიგნები აქვთ. (სტუდენტები)
3. _____ ახალი ჟურნალები აქვთ. (სტუმრები)
4. _____ ახალი კაბა აქვს. (ანა)
5. _____ დიდი ჩანთები აქვთ. (გოგონები)
6. _____ ახალი საათი აქვს. (ნინო)
7. _____ დიდი ბინა აქვთ. (ანა და თორნიკე)
8. _____ ახალი შარვალი აქვს.(დავითი)
9. _____ დიდი ოთახი აქვს. (ნათია)
10. _____ დიდი მაგიდა აქვს. (გურამი)

8.3.უპასუხეთ კითხვებს:

1. დიდი ბინა გაქვთ? _____
2. გაქვს შენი ოთახი? _____
3. რამდენი ოთახი გაქვს? _____
4. შენი სამზარეულო დიდია? _____
5. რა არის შენს ოთახში? _____
6. შენს ბინას აქვს აივანი? _____
7. სახლში ვეცრი წიგნი გაქვთ? _____
8. რამდენი ფანჯარაა ოთახში? _____
9. რა ავეჯია საძინებელში _____
10. რა ავეჯია კაბინეტში? _____

8.4.მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

1. მაქვს _____
2. კარადა _____
3. გვაქვს _____
4. სამზარეულო _____
5. აქვთ _____
6. საწოლი _____
7. გვაქვს _____
8. სავაჰელი _____
9. ოთახში _____
10. ორსართულიანი _____

8.5.დაწერეთ თქვენი სახლის შესახებ:

9.მქვია, მყავს ზმნები. სულიერი ობიექტი. - ჩემი ოჯახი

მე მქვია ანა	ჩვენ გვქვია ანა და ნინო	*თქვენ რა გქვიათ?*
შენ გქვია ნინო	თქვენ გქვიათ ნათია, გორნიკე	*რა ჰქვია <u>სტუდენტს</u>?*
მას ჰქვია გიორგი	მათ ჰქვიათ ალექსანდრე და გიორგი.	*რა ჰქვიათ <u>ბავშვებს</u>?*
	შენ რა გქვია? - თქვენ რა გქვიათ?	

მყავს მე ის	გვყავს ჩვენ ის	მე *შვილი* მყავს.	ჩვენ *შვილი* გვყავს.
გყავს შენ ის	გყავთ თქვენ ის	გყავს შენ *შვილი?*	გყავთ თქვენ *შვილი?*
ჰყავს მას ის	ჰყავთ მათ ის	*<u>დავითს</u>* ჰყავს *შვილი.*	*<u>მეგობრებს</u>* არ ჰყავთ *შვილი.*

ლექსიკა	
ოჯახი	ცოლი, ქმარი, დედა, მამა, შვილი, და, ძმა; ბებია, ბაბუა / პაპა;
ნათესავი - ნათესავები	დეიდა, მამიდა, ბიძა, ბიცოლა; დეიდაშვილი, მამიდაშვილი, ბიძაშვილი;
	უფროსი, უმცროსი; გათხოვილი, ცოლიანი.

1.

- მე ანა *მქვია?* შენ რა *გქვია?*
- მე ვარ ნინო? თქვენ ვინ *ბრძანდებით?* - მე *მქვია* ალექსანდრე.
- თქვენ რა გქვიათ? მე მქვია დავითი.

როგორ ხარ? - როგორ ბრძანდებით?
როგორ არის ...? - როგორ ბრძანდება ...

ბატონი ზურაბი არის...
ბატონ ზურაბს ჰყავს...
- ბატონო ზურაბ!

2.

- მე *მყავს* შვილი, მას *ჰქვია* გიორგი.
- შენ ძმა *გყავს?* რა *ჰქვია* შენს ძმას? - კი, ძმა *მყავს,* მას *ჰქვია* ლაშა.
- ბატონ ზურაბს *ჰყავს* ცოლი, მაგრამ შვილი არ *ჰყავს.*
- ქალბატონ სალომეს ქმარი *ჰყავს?* - კი, ქმარიც *ჰყავს* და ორი შვილიც.
- შენ ბაბუა *გყავს?* - კი, ბაბუაც *მყავს* და ბებიაც.

ჩემი ბიძაშვილი - <u>ჩემს</u> ბიძაშვილს
შენი მამიდაშვილი - <u>შენს</u> მამიდაშვილს

3.

- შენ მამიდა *გყავს?* - არა, მამიდა არ *მყავს,* დეიდა *მყავს.*
- ბიძაჩემს ცოლი *ჰყავს,* ის ჩემი ბიცოლაა. მას *ჰქვია* ანეტა.
- ჩვენ ორი დეიდაშვილი და სამი მამიდაშვილი *გვყავს.*
- *ჩემს მამიდაშვილს* ცოლი და ერთი შვილი *ჰყავს.*
- რა *ჰქვია შენს ბიძაშვილს? - ჩემს ბიძაშვილს* ანანო *ჰქვია.*

თამარის ოჯახი

ჯერ
არ ჰყავს - ჯერ არ ჰყავს
არ აქვს - ჯერ არ აქვს

თამარი ჩემი დეიდაშვილია. ის ძალიან ლამაზი გოგოა. თამარი ოცდახუთი წლისაა. მას ***ჰყავს*** ქმარი და ერთი შვილი. შვილს დემეტრე ***ჰქვია.*** დემეტრეს ჯერ არ ***ჰყავს*** და და ძმა. ის ოჯახში ერთი შვილია. ის დედისერთაა. თამარის ქმარს თორნიკე ***ჰქვია.*** თამარს და თორნიკეს ჯერ ბინა არ ***აქვთ,*** ახლა ისინი თორნიკეს დედ-მამის სახლში არიან. თორნიკეს დედ-მამას დიდი სახლი ***აქვს,*** ორსართულიანი. სახლში რვა ოთახია. თორნიკეს ***ჰყავს*** დედა, მამა, ბებია, ბაბუა და ორი და - ერთი უფროსი და ერთი უმცროსი. უფროსი და გათხოვილია, მას ქმარი და ორი შვილი ***ჰყავს.*** უმცროსი და ჯერ არაა გათხოვილი. თორნიკეს ბევრი ნათესავი ***ჰყავს:*** ორი მამიდა, ერთი დეიდა, ერთი ბიძა. თორნიკეს ჰყავს მამიდაშვილები, დეიდაშვილები და ბიძაშვილები. თორნიკეს ოჯახი დიდია. მათ ხშირად ჰყავთ სტუმრები.

დედა და მამა - დედ-მამა
ბებია და ბაბუა - ბებია-ბაბუა
და და ძმა -და-ძმა
ბიძა და ბიცოლა - ბიძა-ბიცოლა

დედას და მამას აქვთ
დედ-მამას აქვს

* * *

- გამარჯობა!
- დილა მშვიდობისა!
- ეს ვინ არის?
- ეს ჩემი პატარა შვილია.
- მართლა? რა კარგი გოგოა! რამდენი შვილი ***გყავთ?***
- ორი შვილი ***მყავს,*** ეს უმცროსია. უფროსი 10 წლისაა.
- დედ-მამა და და-ძმა ***გყავთ?***
- კი, დედ-მამა ***მყავს.***
- ისინი თბილისში არიან?
- კი, დედ-მამა თბილისშია, და-ძმა არ არის თბილისში.
- ისინი სად არიან?
- ჩემი და ლონდონშია.
- გათხოვილია?
- კი, გათხოვილია, ***ჰყავს*** ქმარი და სამი შვილი.
- ძმაც ლონდონშია?
-არა, ჩემი ძმა ბერლინშია.
- ცოლ-შვილი ***ჰყავს?***
- კი, ისიც ცოლიანია და ***ჰყავს*** ორი შვილი.
- ძალიან კარგია. კარგად იყავით.
- კარგად ბრძანდებოდეთ.

სავარჯიშოები:

9.1.ჩასვით სწორი ფორმები: *მყავს, გყავს, ჰყავს, გვყავს, გყავთ, ჰყავთ.*

მე შვილი _____.	შენ დეიდა _____?	თქვენ და-ძმა _____?
ანას ქმარი _____.	მათ ნათესავები _____?	ჩვენ სტუმრები _____.

9.2.ჩასვით სწორი ფორმები:

1. _____ სამი შვილი ჰყავს. (ქალბატონი ანა)
2. _____ ჰყავს ცოლი? (გიორგი)
3. _____ ჰყავს ცოლ-შვილი? (ზურაბი)
4. _____ ჰყავთ შვილები? (ჩვენი სტუმრები)
5. _____ ჰყავთ და-ძმა? (ნინო და ნათია)
6. _____ რამდენი ძმა ჰყავს? (სალომე)
7. _____ ქმარი ჰყავს? (ნანა)
8. _____ შვილები ჰყავთ? (პაატა და მანანა)
9. _____ დედა ჰყავს? (თორნიკე)
10. _____ მამა ჰყავს? (ლუკა)

9.3.უპასუხეთ კითხვებს:

1. და-ძმა გყავთ? _____
2. რა ჰქვია შენს დას? _____
3. გყავს მამიდა? დეიდა? _____
4. რა ჰქვია დედას? _____
5. რა ჰქვია მამას? _____
6. გყავს ბიძაშვილები? _____
7. გყავს მამიდაშვილები? _____

8. გყავს ბიძა? _____

9. რა ჰქვია შენს მეგობარს? _____

10. შენს მეგობარს ჰყავს და-ძმა? _____

9.4.მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

1. მყავს _____

2. ჰქვია _____

3. გყავთ? _____

4. ჰყავთ _____

5. ქმარ-შვილი _____

6. დედ-მამა _____

7. ჰყავს _____

8. მამიდაჩემს _____

9. დეიდაჩემს _____

10. ჩემს ბიძაშვილს _____

9.5.დაწერეთ თქვენი ოჯახის შესახებ:

10. ჭამა, სმა ზმნები. ჩემი დღე.

ჭამა		სმა	
ვ-ჭამ მე მას	ვ-ჭამ-თ ჩვენ მას	ვ-სვამ მე მას	ვსვამ-თ ჩვენ მას
ჭამ შენ მას	ჭამ-თ თქვენ მას	სვამ შენ მას	სვამ-თ თქვენ მას
ჭამ-ს ის მას	ჭამ-ენ ისინი მას (ვაშლს)	სვამ-ს ის მას	სვამ-ენ ისინი მას (ყავას)
რას ჭამ? - რას ჭამთ? - რას მიირთმევთ?			

დილა -დილას /დილით	შუადღე - შუადღეზე	საღამო - საღამოს
საუზმე - საუზმეზე	სადილი - სადილზე	ვახშამი - ვახშამზე
ვ-საუზმობ მე	ვ-სადილობ მე	ვ-ვახშმობ მე
საუზმობ შენ	სადილობ შენ	ვახშმობ შენ
საუზმობ-ს ის	სადილობ-ს ის	ვახშმობ-ს ის
ვ-საუზმობ-თ ჩვენ	ვ-სადილობ-თ ჩვენ	ვ-ვახშმობ-თ ჩვენ
საუზმობ-თ თქვენ	სადილობ-თ თქვენ	ვახშმობ-თ თქვენ
საუზმობ-ენ ისინი	სადილობ-ენ ისინი	ვახშმობ-ენ ისინი

	რომელი საათია?	როდის? რომელ საათზე?
09.00	ცხრა საათია.	ცხრა საათზე.
09.15	ათის თხუთმეტი წუთია.	ათის თხუთმეტ წუთზე.
09.30	ათის ნახევარია	ათის ნახევარზე.
09.45	ათს აკლია თხუთმეტი წუთი.	ათს რომ აკლია თხუთმეტი წუთი.

ლექსიკა	
ხილი	ვაშლი, მსხალი, ატამი, ქლიავი, ყურძენი, ფორთოხალი, მანდარინი...
ბოსტნეული	კომბოსტო, ჭარხალი, სტაფილო, კარტოფილი, ბადრიჯანი, კიტრი, პომიდორი...
საჭმელი	პური, ყველი, კარაქი, კვერცხი, წვნიანი, სუპი, ხორცი, სალათა... მოხარშული, შემწვარი
სასმელი	ყავა, ჩაი, რძე, წვენი, წყალი, ლიმონათი...

- დილით რომელ საათზე ***საუზმობ?*** - დილას ცხრის ნახევარზე საათზე ***ვსაუზმობ.***
- საუზმეზე რას ***მიირთმევთ?*** - საუზმეზე ***ვჭამ*** პურს, ყველს, კარაქს და ***ვსვამ*** ყავას.
- როდის სადილობთ? - შუადღეზე, პირველ საათზე ვსადილობ.
- როდის ***ვახშმობ?*** - საღამოს შვიდ საათზე ***ვვახშმობ.*** შენ? - მეც.
- რას ***სვამ?*** - ყავას ***ვსვამ.***
- რას ***ჭამ?*** - ვაშლს ***ვჭამ.***

პირველი საათი - პირველ საათზე
რვის / ცხრის ნახევარზე...

იღვიძებს - იძინებს
ადრე - გვიან
ხშირად - იშვიათად
ყოველთვის

სალომეს ერთი დღე

სალომე დილით ადრე ***იღვიძებს,*** შვიდ საათზე. რვის ნახევარზე ***საუზმობს.*** სალომე დილით კარგად ***საუზმობს.*** დილით ძალიან კარგია ყავა. სალომე ხშირად ***სვამს*** ყავას, ***ჭამს*** ყველს და პურს ან კარაქიან პურს, მოხარშულ ან შემწვარ კვერცხს და პურს, ან ნამცხვარს. ჭამს ხილსაც.

სალომე გვიან არ ***სადილობს.*** ხშირად სადილი ოთხ ან ხუთ საათზეა. ძალიან კარგია სადილზე წვნიანი, ხორციანი სუპი. სალომე ხშირად ***ჭამს*** წვნიანს. სადილზე ძალიან კარგია სალათები - კომბოსტოს, ჭარხლის, სტაფილოს, კარტოფილის სალათები. გემრიელია კიტრის და პამიდვრის სალათაც. სალომე სადილზე ყოველთვის ***ჭამს*** ხილს, ხშირად ჭამს ვაშლს, მსხალს, იშვიათად ***ჭამს*** ატამს, ქლიავს, შემოდგომაზე ***ჭამს*** ყურძენს, ფორთოხალს, მანდარინს.

სალომე გვიან არ ***ჭამს*** ვახშამს. ვახშამი შვიდ საათზე ან რვის ნახევარზეა. ის ვახშამზე ბევრს არ ***მიირთმევს, სვამს*** ჩაის ან ხილის წვენს და ***ჭამს*** ძალიან ცოტა საჭმელს. აი, ასეთია სალომეს ერთი დღე და მისი სასმელ-საჭმელი.

* * *

ბევრი - ცოტა

ან
სვამს ან ყავას ან ჩაის
ჭამს შემწვარ ან
მოხარშულ კვერცხს

- ანა, რომელ საათზე ***იღვიძებ?***
- ადრე არ ***ვიღვიძებ,*** რვა საათზე ***ვიღვიძებ.***
- როდის ***საუზმობ?***
- ცხრის ნახევარზე ***ვსაუზმობ.***
- საუზმეზე რას ***მიირთმევ?***
- ყავას ან ჩაის ***ვსვამ, ვჭამ*** ყველს და პურს, ან კარაქიან პურს.
- როდის ***სადილობ?***
- გვიან არ ***ვსადილობ,*** ოთხ ან ხუთ საათზე ***ვსადილობ.***
- სადილზე რას ***მიირთმევ?***
- რას? სუპს, ხორცს, ბოსტნეულის სალათას, ***ვსვამ*** ხილის წვენს.
- როდის ***ვახშმობ?***
- გვიან არ ***ვვახშმობ,*** შვიდ საათზე.
- ვახშამზე რას ***მიირთმევ?***
- ვახშამზე ***ვსვამ*** ჩაის, ***ვჭამ*** ნამცხვარს ან ყველს და პურს.

სავარჯიშოები:

10.1. დაწერეთ, რომელი საათია:

ნიმუში: 09.40 - *ათს აკლია ოცი წუთი.*

1. 07. 30 _____
2. 14.30 _____
3. 08.20 _____
4. 18.45 _____
5. 14.00 _____
6. 19. 30 _____
7. 11.25 _____
8. 21.45 _____
9. 16. 35 _____
10. 23. 55 _____

10.2. დაწერეთ, რომელ საათზე?

ნიმუში: 10. 05 - *თერთმეტის ხუთ წუთზე.* 11.45 - *თორმეტს რომ აკლია თხუთმეტი წუთი;*

1. 14.15 _____
2. 16. 30 _____
3. 13. 45 _____
4. 07. 20 _____
5. 09.05 _____
6. 20. 25 _____
7. 17.25 _____
8. 21. 20 _____
9. 15. 15 _____
10. 18. 35 _____

10.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ სიტყვებზე:

1. ვსვამ _____
2. არ ვჭამ _____

3. ხშირად _____

4. მიირთმევთ _____

5. ადრე _____

6. ვსადილობთ _____

7. გვიან _____

8. საუზმობ _____

9. ვახშმობენ _____

10. იშვიათად _____

11. ხუთ საათზე _____

12. ყავა _____

13. წვნიანი _____

14. სალათა _____

15. კვერცხი _____

10.4. დაწერეთ თქვენი ერთი დღის შესახებ:

11.იცის (ცოდნა) ზმნა. წარმომავლობა: -ელ, -ურ

ვიცი მე ის	ვიცით ჩვენ ის	*მე კარგად ვიცი ქართული*
იცი შენ ის	იცით თქვენ ის	*თქვენ კარგად იცით ინგლისური?*
იცის მან ის	იციან მათ ის	***სტუდენტებმა** კარგად იციან ქართული*

წარმოება	ქვეყანა	ქვეყნიდან -იდან (საიდან?)	ადამიანი -ელ	პროდუქტი (-რ-) -ურ > -ულ
-ის-ი	ინგლისი	ინგლისიდან	ინგლისელი	ინგლისური
-ეთ-ი	ესპანეთი	ესპანეთიდან	ესპანელი	ესპანური
	პოლონეთი	პოლონეთიდან	პოლონელი	პოლონური
	ინდოეთი	ინდოეთიდან	ინდოელი	ინდური*
	ჩინეთი	ჩინეთიდან	ჩინელი	ჩინური
	ავღანეთი	ავღანეთიდან	ავღანელი	ავღანური
	ბულგარეთი	ბულგარეთიდან	ბულგარელი	ბულგარული
	ესტონეთი	ესტონეთიდან	ესტონელი	ესტონური
	უნგრეთი	უნგრეთიდან	უნგრელი	უნგრული
	ფინეთი	ფინეთიდან	ფინელი	ფინური
-ია	იტალია	იტალიიდან	იტალიელი	იტალიური
	ავსტრია	ავსტრიიდან	ავსტრიელი	ავსტრიული
	ნორვეგია	ნორვეგიიდან	ნორვეგიელი	ნორვეგიული
	პორტუგალია	პორტუგალიიდან	პორტუგალიელი	პორტუგალიური
	ლატვია	ლატვიიდან	ლატვიელი	ლატვიური
-ია (-ულ/-ურ)	გერმანია	გერმანიიდან	გერმანელი	გერმანული
	იაპონია	იაპონიიდან	იაპონელი	იაპონური
-ა	ლიტვა	ლიტვიდან	ლიტველი	ლიტვური
	კანადა	კანადიდან	კანადელი	კანადური
	ამერიკა	ამერიკიდან	ამერიკელი	ამერიკული
	მექსიკა	მექსიკიდან	მექსიკელი	მექსიკური
--	ირანი	ირანიდან	ირანელი	ირანული
სა - ეთ-ი	საფრანგეთი	საფრანგეთიდან	ფრანგი	ფრანგული
	საბერძნეთი	საბერძნეთიდან	ბერძენი	ბერძნული
-ეთ-ი	ჩეხეთი	ჩეხეთიდან	ჩეხი	ჩეხური
	სლოვაკეთი	სლოვაკეთიდან	სლოვაკი	სლოვაკური
	სომხეთი	სომხეთიდან	სომეხი	სომხური
	რუსეთი	რუსეთიდან	რუსი	რუსული
	თურქეთი	თურქეთიდან	თურქი	თურქული

მე ვლაპარაკობ	ჩვენ ვლაპაკობთ
შენ ლაპარაკობ	თქვენ ლაპარაკობთ
ის ლაპარაკობს	ისინი ლაპარაკობენ

მარიამმა კარგად იცის ინგლისური.
მარიამი კარგად ლაპარაკობს ფრანგულად.

ელენე

ანა-მ იცის ინგლისური.
გიორგი-მ იცის გერმანული.
ლევან-მა და დავით-მა იციან ესპანური.

ელენემ, ნინომ, ნანამ, ნათიამ...
ზურაბმა, მარიამმა, რუსუდანმა...

მე ელენე ვარ, ვცხოვრობ **საქართველოში** და ვარ **ქართველი.** დედაჩემი უკრაინელია, მაგრამ მისი ოჯახიც თბილისში ცხოვრობს. ჩემი და გერმანიაში ცხოვრობს, მისი ქმარი გერმანელია. მე რამდენიმე ენა ***ვიცი.*** ქართული ენა ჩემი მშობლიური ენაა, კარგად ***ვიცი*** რუსული, ინგლისური და უკრაინული ენები. ***ბებიამ,*** დედაჩემის ***დედამ,*** ქართული კარგად არ ***იცის, ბაბუამ*** კი კარგად იცის ქართული ენა. ***ბაბუამ იცის*** რუსული და გერმანული ენებიც. მამაჩემი დიპლომატია, მუშაობს საელჩოში. ***მამაჩემმა*** ბევრი ენა ***იცის:*** ის ძალიან კარგად ***ლაპარაკობს ინგლისურად, მან იცის*** რუსული, გერმანული და ფრანგული ენები. ახლა სწავლობს ესპანურს.

მე ბევრი მეგობარი მყავს. ისინი სხვადასხვა ქვეყანაში ცხოვრობენ. ანე გერმანელია და ის გერმანიაში ცხოვრობს. ***მან*** არ ***იცის*** ქართული ენა და ახლა სწავლობს. ლენა უკრაინელია, ის ახლა კიევშია. ***ლენამ იცის*** ქართული ენა და ჩვენ ხშირად ***ვლაპარაკობთ ქართულად.*** ქეითი ინგლისელია, მაგრამ ის ახლა იტალიაში სწავლობს. ***ქეითმა*** კარგად ***იცის*** იტალიური ენა და კიდევ რამდენიმე ენაზე ლაპარაკობს: ***რუსულად, გერმანულად.*** ქეითი ახლა ქართულსაც სწავლობს, მაგრამ ჯერ არ ***ლაპარაკობს ქართულად.***

* * *

- გამარჯობა.
- გაგიმარჯოს.
- თქვენ საიდან ხართ?
- მე ***ამერიკელი*** ვარ, მაგრამ წარმოშობით ***იტალიელი*** ვარ.
- თქვენ ***იცით იტალიური*** ენა?
- დიახ, ***ვიცი იტალიური, ესპანური, ინგლისური*** და ***თურქული*** ენები.
- ო, ეს ძალიან კარგია. თქვენმა ***შვილმაც იცის*** ეს ენები?
- ჩემმა ***შვილმა*** იცის ***ინგლისური, იტალიური*** და ***ბერძნული*** ენები. თქვენ რომელი ენები იცით?
- მე ***ვიცი ინგლისური, რუსული*** და ***ლიტვური*** ენები.
- ძალიან კარგია ბევრი ენის ცოდნა - „რამდენი ენაც იცი, იმდენი ადამიანი ხარ“ - ეს კარგი ანდაზაა.
- დიახ, მართალია.

სავარჯიშოები:

11.1. დაუკავშირეთ ერთმანეთს ფრაზები:

ნიმუში: გერმანული მანქანა - გერმანელი პროფესორი

• ამერიკული	• ჟურნალისტი
• ესპანელი	• ავეჯი
• ჩინური	• მასწავლებელი
• იაპონელი	• ექიმი
• ინგლისური	• უნივერსიტეტი
• პოლონელი	• რესტორანი
• იტალიური	• გამყიდველი
• პორტუგალიელი	• სკოლა
• რუსული	• ინჟინერი
• ავსტრიელი	• ტელევიზია

11.2. ჩასვით სწორი ფორმები:

1. _____ იცის ფრანგული ენა? - არა, არ იცის. (მარიამი)
2. გიორგი კარგად ლაპარაკობს _____? (ინგლისური)
3. _____ არ იცის ინგლისური. (გამყიდველი)
4. ის კარგად არ ლაპარაკობს _____. (იტალიური)
5. ჩვენი ახალი მასწავლებელი კარგად ლაპარაკობს _____. (ესპანური)
6. _____ კარგად იცის გერმანული? (გიგი)
7. _____ კარგად იცის რამდენიმე ენა. (პროფესორი)
8. ჩვენი სტუმარი _____ ლაპარაკობს? (თურქული)
9. _____ იცის რუსული და ინგლისური ენები. (მამაჩემი)
10. რომელი ენები იცის ჩვენმა _____? (სტუმარი)
11. თქვენ კარგად ლაპარაკობთ _____? (რუსული)
12. _____ იცის ფრანგული ენა? (ანა)
13. მე არ ვლაპარაკობ _____. (გერმანული)
14. რუსული ენა კარგად იცის _____. (დედაჩემი)
15. ეს ჟურნალისტი ძალიან ღარგად ლაპარაკობს _____. (ქართული)

11.3. შეადგინეთ წინადადებები მოცემულ სიტყვებზე:

ფრანგი _____

ლაპარაკობს _____

იტალიური _____

იცის _____

ვიცი _____

ესპანური _____

ჩინელი _____

ბერძენი _____

თურქეთიდან _____

პოლონური _____

ნორვეგიელი _____

საიდან? _____

ავსტრიელი _____

იტალიელი _____

იცის _____

11.4. დაწერეთ თქვენი ოჯახისა და მეგობრების შესახებ: ვინ რა ენა იცის?

12.არის - იყო - იქნება. დაბადების დღე

ახლანდელი დრო დღეს		წარსული დრო გუშინ		მომავალი დრო ხვალ	
მე ვარ	ჩვენ ვართ	მე ვიყავი	ჩვენ ვიყავით	მე ვიქნები	ჩვენ ვიქნებით
შენ ხარ	თქვენ ხართ	შენ იყავი	თქვენ იყავით	შენ იქნები	თქვენ იქნებით
ის არის	ისინი არიან	ის იყო	ისინი იყვნენ	ის იქნება	ისინი იქნებიან

გუშინწინისწინ - გუშინწინ - გუშინ - <u>დღეს</u> - ხვალ - ზეგ - მაზეგ

ლექსიკა	
დაბადების დღე	დაბადების დღის ზეიმი, საჩუქარი, ტორტი, ნამცხვარი, ტკბილეული, საჭმელი, სასმელი.
სტუმარი - სტუმრები	კლასელი, კურსელი; კოლეგა - კოლეგები, მეზობელი - მეზობლები, მეგობარი - მეგობრები, ახლობელი - ახლობლები; ნათესავი - ნათესავები.

1.

- როდის ***არის*** შენი დაბადების დღე? - ჩემი დაბადების დღე ***არის*** ოცდაათ ნოემბერს.
- როდის ***არის*** ანას დაბადების დღე? - ანას დაბადების დღე არის მაისში, თხუთმეტ მაისს.
- რომელ წელს ***დაიბადე?*** - მე ***დავიბადე*** ათას ცხრაას ოთხმოცდათხუთმეტ წელს.

დავიბადე
დაიბადე
დაიბადა
მე დავიბადე ათას ცხრაას ოცდაცხრამეტი წლის ოცდასამ მარტს.

2.

- გუშინ ვისი დაბადების დღე ***იყო***? - გუშინ ***იყო*** გიორგის დაბადების დღე.
- სად **იყავი** გუშინ? - გუშინ დაბადების დღეზე ***ვიყავი,*** ძალიან კარგი იყო.
- ***იყავით*** ნათიას დაბადების დღეზე? - არა, მე არ ***ვიყავი,*** დრო არ მქონდა, მაგრამ ჩემი კლასელები ***იყვნენ.***
- გუშინ ჩემთან დაბადების დღეზე სტუმრები ***იყვნენ.***

3.

- ხვალ ორ საათზე სად ***იქნები?*** - ხვალ ორ საათზე ალბათ სახლში ვიქნები. - უნივერსიტეტში არ ***იქნები?*** - არა, არ ***ვიქნები.***
- ზეგ ეკა თბილისში ***იქნება?*** - არ ვიცი.
- ორი დღე სამსახურში არ ***ვიქნები.*** - მართლა? ხვალ და ზეგ არ ***იქნები,*** მაზეგ ***იქნები?*** შენთან საქმე მაქვს. - კი, მაზეგ ***ვიქნები*** სამსახურში. - ძალიან კარგი.
- ოფისში ხვალ სტუმრები ***იქნებიან,*** შეხვედრაა.

დაბადების დღე

ჩემთან - ჩვენთან
გიორგისთან
მეგობრებთან ერთად

გუშინ ჩემი დაბადების დღე *იყო.* მე *დავიბადე* 1991 წლის 10 ნოემბერს. 12 ნოემბერს კი მამაჩემის დაბადების დღეა. ჩემს დაბადების დღეზე სახლში *ვიყავით.* ჩემთან ჩემი მეგობრები და კლასელები *იყვნენ,* გვქონდა დიდი ტორტი, ტკბილეული, ნამცხვარი და ტკბილი სასმელები. ხვალ მამაჩემის დაბადების დღეზე რესტორანში *ვიქნებით,* იქ *იქნებიან* ჩემი მეგობრებიც. მამას დაბადების დღეზე ყოველთვის ბევრი სტუმარია, ჩემი მეგობრები, მამას მეგობრები, კოლეგები, მეზობლები და ჩვენი ნათესავები. მამაჩემის დაბადების დღეზე დიდი სუფრა, ძალიან ბევრი საჭმელი და სასმელი *იქნება.* ტორტი კი ყოველთვის ორი გვაქვს, ერთი დიდი და ერთი პატარა. *იქნება* დიდი ზეიმი და საჩუქრები.

ზეგ, 13 ნოემბერს, კი ჩემი დეიდაშვილის დაბადების დღეა და იქ *ვიქნებით.* ჩემი დეიდაშვილი 22 წლისაა. ჩემი დეიდაშვილის დაბადების დღეც სახლში *იქნება.* დაბადების დღეზე *იქნებიან* მისი მეგობრები და კურსელები. ჩემი დეიდაშვილი უნივერსიტეტში სწავლობს და ბევრი მეგობარი ჰყავს. დაბადების დღეზე მისი კლასელებიც *იქნებიან.* ძალიან კარგია, ნოემბერში ჩვენს ოჯახში სამი დაბადების დღეა - ჩემი, მამაჩემის და ჩემი დეიდაშვილის.

სამი საათის / დღის / კვირის /
თვის / წლის / საუკუნის წინ

* * *

- გამარჯობა.
- გამარჯობა.
- როგორ *ხარ?*
- არა მიშავს. შენ?
- მეც კარგად *ვარ.*
- გუშინ შენი დაბადების დღე *იყო?*
- არა, გუშინ ჩემი დეიდაშვილის დაბადების დღე *იყო.* ჩემი დაბადების დღე სამი დღის წინ *იყო.* 12-ში კი მამაჩემის დაბადების დღე *იყო.*
- ჰო, ვიცი, თქვენს ოჯახში ნოემბერში სამი დაბადების დღეა. კარგია. ჩემი დაბადების დღე 20 ნოემბერსაა. *იქნები* თბილისში?
- კი, თბილისში *ვიქნები.*
- ძალიან კარგი. შენი დეიდაშვილიც *იქნება* თბილისში?
- არ ვიცი, ალბათ *იქნება.*
- ძალიან კარგი. ჩემი დაბადების დღე რესტორანში *იქნება* და თქვენც *იქნებით* ჩემი სტუმრები. ჩემი მეგობრები და კურსელები *იქნებიან* ჩვენთან ერთად.
- რა კარგია!.. *ვიქნებით* შენი სტუმრები!!!
- კარგად იყავი.
- კარგად.

სავარჯიშოები:

12.1. დაუკავშირეთ ერთმანეთს ფრაზები:

• დღეს	• ვიქნებით
• ხვალ	• იყავით
• ზეგ	• ვიყავი
• მაზეგ	• იყვნენ
• გუშინ	• ვიყავით
• გუშინწინ	• ვარ
• გუშინწინისწინ	• იყო
• ორი კვირის წინ	• იქნებიან
• სამი თვის წინ	• იქნები

12.2. ჩასვით სწორი ფორმები:

1. გუშინ ორშაბათი _____. (იყო, იქნება)
2. ხვალ შენ სად _____ (იქნები, იქნება)
3. ორი დღის წინ _____ ქუთაისში. (ვიქნები, ვიყავი)
4. სად _____ ბიძაშენი გუშინწინ? (იქნება, იყო)
5. სამი საათის წინ გურამი სახლში _____. (იყვნენ, იყო)
6. ვინ _____ უნივერსიტეტში სამ საათზე. (იყო, იყავი)
7. ნათია და ნინო სამი დღის წინ _____ ბათუმში. (იყავით, იყვნენ)
8. ჩვენ ხვალ სამ საათზე ალბათ სახლში არ _____. (ვიქნებით, იქნებით)
9. რამდენი სტუმარი _____ გუშინ შენს დაბადების დღეზე? (იყო, იყვნენ)
10. ვინ _____ ზეგ შენთან სახლში? (იქნები, იქნება)

12.3 უპასუხეთ კითხვებს:

1. სად იყავი გუშინ? _____
2. სად იყავი ორი თვის წინ? _____
3. სად იქნები ზეგ? _____
4. სად ხარ ახლა? _____
5. სადაა შენი ოჯახი ახლა? _____
6. სად იყავი ზაფხულში? _____
7. ხვალ სად იქნები? _____

12.4. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

ვიქნებით _____

ვიყავით _____

ვართ _____

იყავით _____

იქნებით _____

იყო _____

იყვნენ _____

იქნები _____

ვიყავი _____

იქნება _____

იყავი _____

იქნებიან _____

ვიქნები _____

12.5. დაწერეთ თქვენი დაბადების დღის შესახებ.

13. მინდა ზმნა. თავაზიანი ფორმები. რესტორანში

მინდა მე ის	გვინდა ჩვენ ის	მე *წყალი* მინდა.	ჩვენ გვინდა *ჩაი.*
გინდა შენ ის	გინდათ თქვენ ის	შენ გინდა *წვენი?*	გინდათ თქვენ *ღვინო?*
უნდა მას ის	უნდათ მათ ის	*დავითს* უნდა *ყავა.*	*სტუმრებს* უნდათ *ლიმონათი.*

ლექსიკა	
საჭმელი	წვნიანი, სალათი / სალათა, ხორციანი, ხინკალი, ხაჭაპური, ლობიანი, ნიგვზიანი ბადრიჯანი, ფხალი, მწვადი, ლობიო, ლავაში.
სასმელი	მინერალური წყალი, ნატურალური წვენი, ღვინო, არაყი, ლუდი...
თავაზიანი ფრაზები	თუ შეიძლება. შეკვეთა. ანგარიში. მენიუ. პორცია. მობრძანდით, დაბრძანდით, რას ინებებთ? რას მიირთმევთ? ინებეთ, მიირთვით, გემრიელად მიირთვით, ყველაფერი გემრიელი იყო.

1.

- *თუ შეიძლება,* მე *მინდა* მინერალური წყალი. - აი, *ინებეთ.*
- რა *გინდა?* - მე *მინდა* ნატურალური წვენი.
- ნათიას ყავა *უნდა,* მე ჩაი *მინდა.*
- თქვენ რა *გინდათ?* - ჩვენ ხაჭაპური *გვინდა.*
- თქვენ *რას ინებებთ?* - ჩვენ ლობიანი *გვინდა.*
- *რას მიირთმევთ?* - ჩვენ მწვადი *გვინდა.*

თუ
-ჩაი გინდათ **თუ** ყავა?
-ჩაი, თუ შეიძლება.

კიდევ

2.

- თეთრი ღვინო *გინდათ* თუ შავი? - თუ შეიძლება, ერთი ბოთლი შავი ღვინო *გვინდა.*
- ლუდი *გინდა?* - *მინდა.*
- *რას მიირთმევთ?* - მე ლუდი *მინდა,* გურამს არაყი *უნდა. კიდევ* ოცი ცალი ხინკალი *გვინდა.* – ყველაფერი თხუთმეტ წუთში იქნება.
- ნატურალური წვენი *გინდათ* თუ მინერალური წყალი? - *ყველას* ნატურალური წვენი *გვინდა.*
- *რას მიირთმევთ? -ორს გვინდა* ხაჭაპური და *ორს უნდა* ლობიანი.

3.

- *თუ შეიძლება,* ანგარიში *გვინდა. - აი, ინებეთ.* - თქვენ *ინებეთ* ფული.
- აი, *ინებეთ* თქვენი შეკვეთა. - *გემრიელად მიირთვით!* - დიდი მადლობა.
- დიდი მადლობა, *ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო.*
- *მობრძანდით, დაბრძანდით, რას ინებებთ? - თუ შეიძლება,* მენიუ *გვინდა.*

რესტორანში

რა თქმა უნდა,

ზოგი // ზოგიერთი მეგობარი

ალბათ

მე და ჩემი მეგობრები რესტორანში ვართ. დღეს ერთი ჩემი მეგობრის დაბადების დღეა. ეს რესტორანი დიდი ხანია ვიცით, აქ ძალიან გემრიელი საჭმელია. ყველამ იცის აქაური ხინკალი და ხაჭაპური. დღეს ჩვენ დიდი სუფრა არ გვაქვს, ექვსი მეგობარი ვართ. ხინკალი ყველას ***უნდა,*** კიდევ ***გვინდა*** ორი დიდი ხაჭაპური, ერთი ლობიანი, ***გვინდა*** სალათიც. წვნიანი არ გექნება. მაგრამ სუფრაზე კიდევ იქნება ნიგვზიანი ბადრიჯანი და ფხალი. სუფრაზე სასმელებიც იქნება. ჩემი მეგობრის დაბადების დღეა და ერთი ბოთლი შავი ღვინო, რა თქმა უნდა, ***გვინდა,*** კიდევ ლიმონათი ან ნატურალური წვენი, გვინდა მინერალური წყალი, ერთი „ნაბეღლავი“ და ერთიც „ბორჯომი“. ზოგი მეგობარი „ბორჯომს“ სვამს, ზოგი - „ნაბეღლავს“. ლუდი ერთ მეგობარს ***უნდა.***

ეს რესტორანი ძალიან კარგია. აქ ყოველთვის კარგი მუსიკაა. ჩვენ ვიცით, რომ დღეს საღამოს საინტერესო პროგრამა იქნება. კარგი სუფრა, კარგი მუსიკა, მეგობრები, გემრიელი ქართული საჭმელი, ერთი ბოთლი შავი ღვინო - ეს ყველაფერი გვექნება ჩვენი მეგობრის დაბადების დღეზე და ჩვენც ეს ***გვინდა.*** ალბათ ძალიან კარგი საღამო იქნება.

* * *

- ***მობრძანდით, დაბრძანდით!***
- დიდი მადლობა!
- ***რას მიირთმევთ?***
- ***თუ შეიძლება,*** მენიუ ***გვინდა.***
- აი, ***ინებეთ.***
- ჩვენ ***გვინდა*** ოცდაათი ხინკალი.
- კიდევ რა ***გინდათ?***
- კიდევ ***გვინდა*** ორი პორცია მწვადი, ორი ხაჭაპური, ორი ლობიანი, ერთი სალათი.
- ყველაფერი თხუთმეტ წუთში იქნება. სასმელი რა ***გინდათ***?
- ***გვინდა*** ერთი ნატურალური წვენი, ორი მინერალური წყალი, ორი ლუდი, ერთი ლიმონათი.
- ჩაი ან ყავა ***გინდათ***?
- არ, ჯერ არ ***გვინდა.*** კიდევ ***გვინდა*** ერთი ლობიო, გაქვთ?
- კი, გვაქვს.
- ძალიან კარგი.

...

-აი, ***თქვენი შეკვეთა. გემრიელად მიირთვით!***

- დიდი მადლობა, ყველაფერი ძალიან გემრიელია. ანგარიში, თუ შეიძლება...

სავარჯიშოები:

13.1. შეავსეთ ცხრილი:

წყალი, წვნიანი, ლუდი, მსხალი, ბადრიჯანი, ჭარხალი, ატამი, კიტრი, კვერცხი, სალათი, ვაშლი, კარაქი, სტაფილო, პური, ყავა,ხორციანი, სალათა, ნატურალური წვენი, პომიდორი, მოხარშული,ხინკალი, არაყი, შემწვარი, ლიმონათი, ხაჭაპური, ხორცი, ღვინო, ლობიანი, წვენი, ნიგვზიანი, მანდარინი, რძე, ბადრიჯანი, ფხალი, ქლიავი, მწვადი, კარტოფილი, ლობიო, ლავაში, ყურძენი, ყველი, სუპი, ჩაი, ფორთოხალი, კომბოსტო, მინერალური წყალი

სასმელი	
საჭმელი	
ხილი	
ბოსტნეული	

13.2. დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:

• თუ	• მიირთმევთ
• რას	• იყო
• გემრიელად	• მიირთვით
• გემრიელი	• გვინდა
• რას	• შეიძლება
• მენიუ	• ინებებთ

13.3. ჩასვით სწორი ფორმები:

1. ჩვენ _____ ოცი ხინკალი. (მინდა, გვინდა)
2. შენ რა _____, ჩაი თუ ყავა? (გინდა, გინდათ)
3. მე ახლა ძალიან _____ გემრიელი ხაჭაპური. (მინდა, გვინდა)
4. რა უნდა _____ ? (სალომე, სალომეს)
5. ჩვენ ხაჭაპური გვინდა, _____ ლობიანი უნდათ. (მეგობრები, მეგობრებს)
5. _____ ღვინო უნდა თუ ლუდი? (ბატონი გურამი, ბატონ გურამს)
6. _____ ახლა ყავა უნდათ. (სტუმრები, სტუმრებს)
7. მე მინდა მინერალური წყალი, _____ უნდა წვენი. (ანა, ანას)
8. _____ უნდა ლიმონათი? (ვინ, ვის)
9. _____ არ უნდა ლობიანი? აქ კიდევ არის. (დავითს, დავითის)
10. მე მწვადი მინდა, _____ – ხინკალი. (ჩემი მეგობარი, ჩემს მეგობარს)

13.4. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

მინდა _____

გვინდა _____

მიირთმევთ _____

ინებებთ _____

მენიუ _____

უნდა _____

უნდათ _____

ხაჭაპური _____

თუ შეიძლება _____

კიდევ _____

რა თქმა უნდა _____

გემრიელი _____

ლობიანი _____

ხინკალი _____

13.5. დაწერეთ: ჩვენ რესტორანში

14. სვლა და მიმართულება: მივდივარ ზმნა. დაკავებული დღე.

ახლანდელი დრო დღეს	წარსული დრო გუშინ	მომავალი დრო ხვალ
მე მივდივარ	მე მივედი	მე მივალ
შენ მიდიხარ	შენ მიხვედი	შენ მიხვალ
ის მიდის	ის მივიდა	ის მივა
ჩვენ მივდივართ	ჩვენ მივედით	ჩვენ მივალთ
თქვენ მიდიხართ	თქვენ მიხვედით	თქვენ მიხვალთ
ისინი მიდიან	ისინი მივიდნენ	ისინი მივლენ

მი-		მივდივარ, მიდიხარ, მიდის, მივდივართ, მიდიხართ, მიდიან. მივედი, მიხვედი, მივიდა, მივედით, მიხვედით, მივიდნენ. მივალ, მიხვალ, მივა, მივალთ, მიხვალთ, მივლენ. (სახლში)
წა-		_____ (> მი-) წავედი, წახვედი, წავიდა, წავედით, წახვედით, წავიდნენ. წავალ, წახვალ, წავა, წავალთ, წახვალთ, წავლენ. (სახლში)
ა-		ავდივარ, ადიხარ, ადის, ავდივართ, ადიხართ, ადიან. ავედი, ახვედი, ავიდა, ავედით, ახვედით, ავიდნენ. ავალ, ახვალ, ავა, ავალთ, ახვალთ, ავლენ. (კიბეზე)
ჩა-		ჩავდივარ, ჩადიხარ, ჩადის, ჩავდივართ, ჩადიხართ, ჩადიან. ჩავედი, ჩახვედი, ჩავიდა, ჩავედით, ჩახვედით, ჩავიდნენ. ჩავალ, ჩახვალ, ჩავა, ჩავალთ, ჩახვალთ, ჩავლენ. (ეზოში)
შე-		შევდივარ, შედიხარ, შედის, შევდივართ, შედიხართ, შედიან. შევედი, შეხვედი, შევიდა, შევედით, შეხვედით, შევიდნენ. შევალ, შეხვალ, შევა, შევალთ, შეხვალთ, შევლენ. (სახლში)
გა-		გავდივარ, გადიხარ, გადის, გავდივართ, გადიხართ, გადიან. გავედი, გახვედი, გავიდა, გავედით, გახვედით, გავიდნენ. გავალ, გახვალ, გავა, გავალთ, გახვალთ, გავლენ. (სახლიდან)
მო-		მოვდივარ, მოდიხარ, მოდის, მოვდივართ, მოდიხართ, მოდიან. მოვედი, მოხვედი, მოვიდა, მოვედით, მოხვედით, მოვიდნენ. მოვალ, მოხვალ, მოვა, მოვალთ, მოხვალთ, მოვლენ. (სახლში)
გადა-		გადავდივარ, გადადიხარ, გადადის, გადავდივართ, გადადიხართ, გადადიან. გადავედი, გადახვედი, გადავიდა, გადავედით, გადახვედით, გადავიდნენ. გადავალ, გადახვალ, გადავა, გადავალთ, გადახვალთ, გადავლენ. (ხიდზე)

- მე ახლა სახლში ***მივდივარ,*** მერე ***მოვალ*** შენთან, მერე ***წავალთ*** მაღაზიაში.
- მე ახლა სკოლაში ***შევდივარ,*** სკოლიდან ***გავალ*** ორ საათზე.
- მე ახლა ოფისში ***მოვდივარ,*** მერე ***წავალ*** სუპერმარკეტში.

- მე ახლა ხიდზე ***გადავდივარ,*** ცოტა ხანში უნივერსიტეტში ***შევალ.***

ახლანდელი დრო
დავდივარ, დადიხარ, დადის,
დავდივართ, დადიხართ, დადიან

დაკავებული დღეები

სამი დღე ძალიან დაკავებული ვარ. გუშინ დილით, ცხრის ნახევარზე, უნივერსიტეტში ***წავედი,*** უნივერსიტეტიდან ორ საათზე ***გავედი*** და პოლიკლინიკაში ***წავედი,*** პოლიკლინიკიდან სპორტზე ***მივედი*** და იქ ერთი საათი ვიყავი. სპორტზე უკვე ერთი თვეა ***დავდივარ.*** შემდეგ მეგობართან ***მივედი,*** მისი დაბადების დღე იყო, იქაც ცოტა ხანი ვიყავი, ერთი საათის შემდეგ ჩემს ბიძაშვილთან ***წავედი.*** სახლში ძალიან გვიან, ღამის თერთმეტ საათზე ***მოვედი.***

დავდივარ / მივდივარ ... -ით
ავტობუსით, ტროლეიბუსით,
ტრამვაით, მატარებლით, ფეხით,
მანქანით... მეტროთი

დღესაც ძალიან დაკავებული ვარ. დილით უნივერსიტეტში ფეხით ***მივდივარ.*** როცა ფეხით ***მივდივარ,*** სახლიდან რვა საათზე ***გავდივარ,*** ხიდზე ***გადავდივარ,*** მერე ვარაზისხევის აღმართზე ***ავდივარ*** და უკვე ცხრა საათზე უნივერსიტეტში ***შევდივარ.*** უნივერსიტეტის მერე ბიბლიოთეკაში ***მივდივარ*** და მთელი დღე იქ ვიქნები.

ხვალაც ძალიან დაკავებული ვარ. დილით უნივერსიტეტში ტესტირებაზე ***წავალ.*** იქ ალბათ სამი საათი ვიქნები, მერე ტელევიზიაში ***მივალ.*** ტელევიზიაში ორ საათამდე ვიქნები. მერე მეგობართან ***მივალ*** და ერთად ***წავალთ*** მეორე მეგობართან. საღამოს სახლში ინგლისურის გაკვეთილი მაქვს და მასწავლებელი ჩემთან ***მოდის*** სახლში. კარგია, რომ ზეგ და მაზეგ შაბათ-კვირაა, სახლში ვიქნები და ალბათ მეგობრები ***მოვლენ*** ჩემთან, მე არსად არ ***წავალ.***

* * *

-ნათიას მოკითხვა გადაეცი.
-დიდი მადლობა.

-გამარჯობა, როგორ ხარ? სად ***მიდიხარ?***

- ახლა სახლში ***მივდივარ,*** ჩემს ნათესავებთან ერთად ვიყავი ქალაქში, მთაწმინდაზე ***ავედით,*** იქ რესტორანში ***შევედით,*** მერე ქალაქგარეთ ***გავედით,*** მცხეთაშიც ***ჩავედით.***

- შენი ნათესავები სად არიან?

- სახლში ***წავიდნენ,*** მე ძალიან დაღლილი ვარ და მეც სახლში ***მივდივარ.*** ხვალ ჩემი მანქანით ბიძაჩემთან ***ჩავალთ*** სიღნაღში.

- სად ცხოვრობენ შენი ნათესავები?

- ახლა ამერიკაში ცხოვრობენ, ათი წლის წინ იტალიაში ***წავიდნენ,*** მერე იტალიიდან ამერიკაში ***გადავიდნენ.*** საქართველოში ხშირად ***ჩამოდიან*** და ერთად ***დავდივართ*** ნათესავებთან.

-როდის ***მიდიან*** შენი სტუმრები? ჩემთან როდის ***მოხვალ?***

- ერთი კვირის შემდეგ ***მიდიან*** ამერიკაში. მერე ***მოვალ*** შენთან.

- აბა, კარგად, ბედნიერად. ***ნათიას მოკითხვა გადაეცი.***

- დიდი მადლობა. კარგად.

სავარჯიშოები:

14.1. შეავსეთ ცხრილი:

მივედი, გავდივარ, ჩავედი, ავალ, შევალ, წავალ, გადავედი, მივედი, დავდივარ, შევიდა, მიდის, ადიან, წავლენ, გადიხარ, მიხვალ, მოხვედი, ჩადიხარ, შეხვალ, გავა, წავა, გავიდა, შევდივარ, ავდივარ, ავედი, გავალ, გადავდივარ, შედიხართ, ჩავლენ, მოვიდნენ, შედიხართ, ჩავიდნენ, მიდიან, ჩახვედით, შევდივართ, გადავლენ, გავდივართ.

ახლანდელი დრო	წარსული დრო	მომავალი დრო

14.2. დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები:

• გადავდივარ	• კიბეზე
• ჩავდივარ	• უნივერსიტეტში
• წავედი	• სახლიდან
• ავდივარ	• კლინიკაში
• გავდივარ	• ხიდზე
• მივდივარ	• ქუჩაში

14.3. ჩასვით სწორი ფორმები:

1.გუშინ ჩვენ _____ კინოში. (ავედით, წავედით)

2. ახლა მე ანას სახლში, მეოთხე სართულზე_____. (მივდივარ, ავდივარ)

3. სიღნაღში ხვალ დილით _____. (წავედით, წავალთ)

4. ხიდზე _____ და გიორგის სახლიც იქ არის. (გადახვალ, წახვალ)

5. ხუთ წუთში უნივერსტეტში _____. (გავალ, შევალ)

6. მე ახლა კინოში _____. (მივდივარ, დავდივარ)

7. ეზოში _____ , ახლა ნატა იქ არის. (გადავდივარ, ჩავდივარ)

8. გიორგი ერთი საათის წინ _____ ჩემთან. (მოვედი, მოვიდა)

9. დღეს დაკავებული ვარ, ანასთან ხვალ _____. (წავედი, წავალ)

10. ახლა ჩემს მეგობართან _____, სახლში გვიან ვიქნები. (მივდივარ, შევდივარ)

11. სპორტზე ორი კვირაა _____. (ავდივარ, დავდივარ)

12. ახლა უნივერსიტეტში _____ და უნივერსიტეტიდან ალბათ შვიდ საათზე _____ (შევდივარ, გავდივარ; შევალ, გავალ)

14.4. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

მივდივარ _____

გადავედი _____

წავალთ _____

შევდივართ _____

წავიდნენ _____

მიდიან _____

მივლენ _____

დადიან _____

გადავიდნენ-- _____

მოდიან _____

მივდივართ _____

ჩავალთ _____

მიდიხართ? _____

ახვალთ? _____

14.5. დაწერეთ: ჩემი ერთი დაკავებული დღე

15.მიყვარს და მომწონს ზმნები. მოგზაურობა.

ახლანდელი დრო დღეს	წარსული დრო გუშინ	მომავალი დრო ხვალ
მე მომწონს ის	მე მომეწონა ის	მე მომეწონება ის
შენ მოგწონს ის	შენ მოგეწონა ის	შენ მოგეწონება ის
მას მოსწონს ის	მას მოეწონა ის	მას მოეწონება ის
ჩვენ მოგვწონს ის	ჩვენ მოგვეწონა ის	ჩვენ მოგვეწონება ის
თქვენ მოგწონთ ის	თქვენ მოგეწონათ ის	თქვენ მოგეწონებათ ის
მათ მოსწონთ ის	მათ მოეწონათ ის	მათ მოეწონებათ ის

ახლანდელი დრო დღეს	წარსული დრო გუშინ	მომავალი დრო ხვალ
მე მიყვარს ის	მე შემიყვარდა ის	მე შემიყვარდება ის
შენ გიყვარს ის	შენ შეგიყვარდა ის	შენ შეგიყვარდება ის
მას უყვარს ის	მას შეუყვარდა ის	მას შეუყვარდება ის
ჩვენ გვიყვარს ის	ჩვენ შეგვიყვარდა ის	ჩვენ შეგვიყვარდება ის
თქვენ გიყვართ ის	თქვენ შეგიყვარდათ ის	თქვენ შეგიყვარდებათ ის
მათ უყვართ ის	მათ შეუყვარდათ ის	მათ შეუყვარდებათ ის

პირის ნიშნები	
I მ -----; გვ----	I მ--ი ---; გვ-ი ---
II გ --------; გ ---თ	II გ--ი --; გ-ი ---თ
III ს------; ს---- თ	III უ--; უ---თ

- მე ძალიან *მომწონს* ეს ფილმი.
- *მოგწონს* ახალი წიგნი?
- *მოგწონს* ქართული საჭმელები? - კი, ძალიან *მომწონს,* განსაკუთრებით *მომწონს* ხაჭაპური.
- *ნათიას* ძალიან *მოსწონს* უნივერსიტეტში სწავლა.
- საქართველოში ვიყავი და ძალიან *მომეწონა* ეს ქვეყანა.
- ახლა კინოში მივდივარ, არ ვიცი, *მომეწონება* თუ არა ფილმი, მაგრამ ფილმის ნახვა ძალიან მინდა.
- *მოგეწონა* ფილმი? - კი ძალიან *მომეწონა.*
- *მოეწონა ნათიას* ჩვენი ზოოპარკი? - ისე რა, *მოეწონა,* მაგრამ ძალიან არა.
- ძალიან *მიყვარს* ჩვენი ახალი მასწავლებელი, ძალიან კარგი ადამიანია.
- მე ყველაფერი კარგი *მომწონს* და *მიყვარს...*
- - *გიყვარს* ხაჭაპური? - კი, ძალიან *მიყვარს* ხაჭაპურიც და ლობიანიც.
- *ბატონ ზურაბს* არ *უყვარს* ფეხით სიარული, ის მანქანით დადის.
- იცი, *ლევანს სალომე უყვარს*? - მართლა? რა კარგია!..
- საქართველოში ვიყავი და ძალიან *შემიყვარდა* ეს ქვეყანა და ქართველი ხალხი.
- ისე ძალიან *მომწონს* ეს ყველაფერი, რომ ვიცი, ძალიან *შემიყვარდება.*

რომ...
ვიცი, რომ...

ლევანს და სალომეს
ერთმანეთი უყვართ.

- ჯონი ერთი თვე იყო საქართველოში, ძალიან *მოეწონა* და *შეუყვარდა* ეს ქვეყანა.

მოქმედების სახელები
სიარული
ყოფნა
ნახვა
ყიდვა
წასვლა

მოგზაურობა

მე ძალიან ***მიყვარს*** მოგზაურობა. ***მომწონს,*** როცა ახალ ქვეყნებში და ახალ ქალაქებში მივდივარ. ძალიან ***მიყვარს*** ქუჩებში ფეხით სიარული, ***მომწონს*** მუზეუმების ნახვა, ***მიყვარს*** ახალ ადგილებში ყოფნა, ძალიან ***მიყვარს*** სუვენირების და საჩუქრების ყიდვა. ყველა ქვეყანაში არის საინტერესო ადგილები და ძალიან ***მიყვარს*** ყველაფერი ახალი და საინტერესო. შარშან საფრანგეთში ვიყავი, ძალიან ***მომეწონა*** პარიზი. ღამით ძალიან ლამაზია პარიზი. აქ ყოველთვის ბევრი ტურისტია. ზაფხულში იტალიაში ვიყავი. რომი ძალიან ***მომეწონა.*** ვიყავი ვენეციაშიც. ვენეციაც ძალიან ლამაზი ქალაქია. ძალიან ***შემიყვარდა*** ეს ქალაქი მშვენიერი ხიდებით, პატარა და ლამაზი ქუჩებით, ლამაზი გონდოლებით, ვენეციაში ერთი პატარა კაფე იყო და ძალიან ***მომეწონა*** იქ ყოფნა. ძალიან მინდა ინგლისში წასვლა. ვიცი, ბევრი რამე ***მომეწონება*** ინგლისშიც. მე კარგად ვიცი ინგლისური და ამიტომ ძალიან საინტერესოა ჩემთვის ინგლისში მოგზაურობა. ამერიკაშიც მინდა წასვლა, მაგრამ კალიფორნიაში.

ეს თეატრი - ამ თეატრში
ეს სპექტაკლი - ამ სპექტაკლზე

* * *

- გუშინ საღამოს სად იყავი?

- დღე სახლში ვიყავი, საღამოს მეგობრებთან ერთად თეატრში წავედით. იცი „თავისუფალი თეატრი“? მე ***პირველად*** ვიყავი ამ თეატრში. ძალიან კარგი სპექტაკლი იყო.

ყველა - თითქმის ყველა

- მართლა? ***მოგეწონა***?

- ძალიან, ძალიან ***მომეწონა.*** ძალიან კარგი მსახიობები არიან ამ თეატრში.

- მეც ვიცი ეს თეატრი, პატარა თეატრია, მაგრამ ძალიან საინტერესო სპექტაკლები აქვთ და კარგი მსახიობებიც არიან. რომელი მსახიობები იყვნენ გუშინ სპექტაკლში?

- თეატრის თითქმის ყველა მსახიობი იყო.

- როდის არის კიდევ სპექტაკლი? მეც მინდა წასვლა და იმედია, მეც ***მომეწონება.***

- კიდევ 22 დეკემბერსაა. მე უკვე ***შემიყვარდა*** ეს თეატრი და სხვა სპექტაკლის ნახვაც მინდა. ძალიან კარგი თეატრია, პატარა და ძალიან კარგი.

- კი, მეც ძალიან ***მომწონს.*** მე 12 დეკემბერს ვიყავი სპექტაკლზე **„მიყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ“** და ძალიან ***მომეწონა.*** იცი ეს სპექტაკლი? მე ძალიან ***მიყვარს*** ეს სპექტაკლი.

პირველი - პირველად
მეორე - მეორედ

- არა, არ ვიცი, რა საინტერესო სათაურია!..

- არ გინდა ამ სპექტაკლის ნახვა? ძალიან ***შეგიყვარდება*** ეს სპექტაკლი. მეც მინდა ***მეორედ*** ნახვა.

- კი, ძალიან მინდა. ერთად წავიდეთ!

- კარგი, ერთად წავიდეთ!

სავარჯიშოები:

15.1. შეავსეთ ცხრილი:

მომწონს შეგიყვარდებათ მომეწონა შემიყვარდა მიყვარს შეუყვარდებათ გიყვარს შეგიყვარდათ უყვარს მომეწონება შეგიყვარდა შეუყვარდა შეუყვარდება მოგწონს მიყვარს მოეწონათ შეგვიყვარდა მოეწონება მოეწონა უყვარს შეგვიყვარდება შეუყვარდათ გიყვარს მოსწონს შეგიყვარდება შემიყვარდება მოგვწონს მოგვეწონა

ახლანდელი დრო	წარსული დრო	მომავალი დრო

15.1. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით: *მინდა ამ ფილმის ნახვა.*

1. _____(მინდა, კაბა, ყიდვა)
2. _____(გინდა, სპექტაკლი, ნახვა)
3. _____ (მიყვარს, ფეხი, სიარული)
4. _____(მინდა, მანქანა, წასვლა)
5. _____ (მინდა, ნათესავები, ნახვა)
6. _____ (მინდა, სახლი, ყიდვა)
7. _____ (არ მინდა, სახლი, წასვლა)
8. _____ (მინდა, ევროპა, მოგზაურობა)

15.2. ჩასვით სწორი ფორმები:

1. ეს ფილმი _____ არ მოსწონს. (მარიამი)
2. იცი, _____ ერთმანეთი უყვართ. (ანა, გიორგი)
3. _____ არ მოსწონს ეს კაბა და არ უნდა ყიდვა. (ნათია)
4. _____ ძალიან შეუყვარდა ეს თეატრი. (სალომე)
5. პატარა _____ არ უყვარს საბავშვო ბაღში სიარული (გიგი)
6. მოეწონა _____ ახალი სახლი? (ელენე)
7. _____ ძალიან მოსწონთ ახალი უნივერსიტეტი. (სტუდენტები)
8. _____ მოეწონათ ექსკურსია კახეთში. (ტურისტები)
9. _____ ძალიან უყვართ კახეთში ყოფნა. (დედაჩემი)
10. _____ არ მოსწონს მანქანით მოგზაურობა, _____ უყვარს ფეხით მოგზაურობა. (მამაჩემი, ის)

15.4. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

მომწონს _____

არ მოსწონს _____

მიყვარს _____

გვიყვარს _____

მომეწონა _____

არ მომეწონა _____

მოგეწონება _____

მოეწონათ _____

შეუყვარდათ _____

მოგწონს? _____

მოსწონთ _____

მოგვეწონა _____

არ მიყვარს _____

მოეწონათ? _____

15.5. დაწერეთ: მე და თეატრი / მოგზაურობა

16.ყიდვა ზმნა. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გზის ჩვენება.

პირის ნიშნები	ახლანდელი დრო დღეს	მომავალი დრო ხვალ
I ვ_____	ვყიდულობ მე მას	ვიყიდი მე მას
II _____	ყიდულობ შენ მას	იყიდი შენ მას
III _____ ს,ა,ო	ყიდულობს ის მას	იყიდის ის მას
I ვ_____ თ	ვყიდულობთ ჩვენ მას	ვიყიდით ჩვენ მას
II _____ თ	ყიდულობთ თქვენ მას	იყიდით თქვენ მას
III _____ ენ, ან, ეს, ნ	ყიდულობენ ისინი მას	იყიდიან ისინი მას
წარსული დრო გუშინ	სურვილი მინდა...	ნიმუში:
ვიყიდე მე ის	მინდა ვიყიდო მე ის	
იყიდე შენ ის	გინდა იყიდო შენ ის	კაცი ყიდულობს პურს
იყიდა მან ის	უნდა იყიდოს მან ის	კაცი იყიდის პურს
ვიყიდეთ ჩვენ ის	გვინდა ვიყიდოთ ჩვენ ის	კაცმა იყიდა პური
იყიდეთ თქვენ ის	გინდათ იყიდოთ თქვენ ის	კაცს უნდა იყიდოს პური
იყიდეს მათ ის	უნდათ იყიდონ მათ ის	

ლექსიკა	
ტანსაცმელი	კაბა, ბოლოკაბა, ზედატანი, მაისური, პერანგი, ჯაკეტი, შარვალი, პიჯაკი, სვიტერი... ლაბადა, პალტო, ქურთუკი...
ფეხსაცმელი	ღია ფეხსაცმელი, დახურული ფეხსაცმელი, ჩექმა, ჩუსტი...

არაფერი - ბევრი არაფერი...
მხოლოდ - მხოლოდ ერთი

- ახლა მაღაზიაში ვარ და ტანსაცმელს *ვყიდულობ.*
- გუშინ ახალი კაბა *ვიყიდე* და ძალიან მომწონს.
- რა *იყიდე* გუშინ მაღაზიებში? - ბევრი არაფერი, მხოლოდ ერთი შარვალი *ვიყიდე.*
- სად მიდიხარ? - მაღაზიაში მივდივარ, ფეხსაცმელი *მინდა ვიყიდო.*
- რა *გინდა იყიდო?* - ბევრი არაფერი, მხოლოდ ჟაკეტი *მინდა ვიყიდო.*
- სად წავიდა თინა? - მაღაზიაში წავიდა, ბოლოკაბა და ზედატანი *უნდა იყიდოს.*
- მამაჩემს *უნდა* ახალი ქურთუკი *იყიდოს,* ალბათ დღეს *იყიდის.*
- სად არიან დედა და მამა? - მაღაზიაში არიან, ნინოს დაბადების დღისთვის *უნდათ იყიდონ* საჩუქარი.
- *გინდათ იყიდოთ* ეს ლაბადა? - დიახ, ალბათ *ვიყიდი.*
- იცი, *გიორგიმ* კვირას ძალიან კარგი პალტო *იყიდა*! - მართლა? რა კარგია!
- იცი, ჩექმები არ მაქვს და *მინდა ვიყიდო,* ალბათ ხვალ *ვიყიდი.*

ალბათ

- გუშინ ***იყიდე*** ფეხსაცმელები? - კი, ***ვიყიდე,*** ძალიან ლამაზი დახურული ფეხსაცლმელები ***ვიყიდე.***

იყიდება
აქ იყიდება ტანსაცმელი...
იქ იყიდება ფეხსაცმელი...

საჩუქრები ჩემი მშობლებისთვის

ხვალ დედაჩემის დაბადების დღეა და საჩუქარი ***მინდა ვიყიდო.*** არ ვიცი, რა ***ვიყიდო:*** ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, სამკაული, ყვავილები, სუნამო თუ სხვა რამე სუვენირი? ალბათ „თბილისი მოლში“ წავალ, იქ ძალიან ბევრი მაღაზიაა და ალბათ იქ ***ვიყიდი*** რამეს. იქ ყველაფერი ***იყიდება.*** შარშან კაბა ***ვიყიდე*** დედასთვის. ძალიან მოეწონა. მამა ყოველთვის სუნამოს ან სამკაულს ყიდულობს დედასთვის, მე უფრო ხშირად ტანსაცმელს ***ვყიდულობ.*** ძალიან მიყვარს ლამაზი ტანსაცმლის ***ყიდვა*** დედასთვისაც და ჩემთვისაც... კარგია, როცა ქალს ბევრი ლამაზი ტანსაცმელი აქვს. ალბათ წელსაც ტანსაცმელს ***ვიყიდი.*** ეს უფრო ადვილია. ***მინდა ვიყიდო*** კარგი ჟაკეტი, თბილი და ლამაზი. ალბათ ეს კარგი საჩუქარი იქნება: ჟაკეტი ძალიან მოსწონს დედას.

ერთი თვის შემდეგ მამაჩემის დაბადების დღეა. კაცისთვის საჩუქრის ***ყიდვა*** ყოველთვის უფრო ძნელია. მამასთვისაც ალბათ ტანსაცმელს ***ვიყიდი.*** კარგი ხარისხის პერანგი ალბათ მამასთვისაც კარგი საჩუქარი იქნება.

ადვილი - ძნელი
უფრო ადვილი - უფრო ძნელი

* * *

- გამარჯობათ, თუ შეიძლება, მითხარით, სად არის აქ ფეხსაცმელების მაღაზია?

-თუ შეიძლება, მითხარით...
-კი, ბატონო...

- კი, ბატონო. აი, იქ არის ბანკი, ***ბანკის გვერდით*** არის სუპერმარკეტი. ***სუპერმარკეტის მარჯვნივ*** კი არის ფეხსაცმელების მაღაზია. იქ მეორე მაღაზიაც არის, ***სუპერმარკეტის წინ, ქუჩის მეორე მხარეს*** არის სავაჭრო ცენტრი და მეორე სართულზე რამდენიმე მაღაზიაა ფეხსაცმელების.
- იქ ტანსაცმლის მაღაზიაც არის?
- დიახ, არის. ***ქვემოთ*** ტანსაცმლის მაღაზიაა, ***ზემოთ*** - ფეხსაცმლის მაღაზია. მესამე სართულზე კი ტექნიკა ***იყიდება.***
- დიდი მადლობა. აქ არის ავტოსადგომი?
- ავტოსადგომი ***ახლოს*** არ არის, ცოტა ***შორსაა.*** სუპერმარკეტიდან წახვალთ ***პირდაპირ,*** მერე ***შეუხვევთ*** პირველ შესახვევში და იქ, ძალიან ***ახლოს, ბანკის უკან*** არის პატარა ავტოსადგომი.
- დიდი მადლობა.
- არაფრის. კარგად იყავით.
-კარგად ბრძანდებოდეთ.

<u>ბანკის</u> წინ / უკან / გვერდით / მარჯვნივ / მარცხნივ / ზემოთ / ქვემოთ, პირდაპირ...

სავარჯიშოები:

16.1. შეავსეთ ცხრილი:

ვიყიდეთ	უნდათ	იყიდონ	ვყიდულობ	იყიდე	გვინდა ვიყიდოთ
ვიყიდი	იყიდეს	იყიდის	ვიყიდე	ვიყიდით	იყიდეთ
მინდა ვიყიდო	ყიდულობ	გინდა იყიდო	ყიდულობს	იყიდით	
იყიდი	ვყიდულობთ	იყიდიან	ყიდულობთ	გინდათ იყიდოთ	
ყიდულობენ	უნდა იყიდოს	იყიდა			

ახლანდელი დრო	წარსული დრო	მომავალი დრო	სურვილი

16.2. ჩასვით სწორი ფორმები:

1. _____ ძალიან ბევრი _____ იყიდეს. (ტურისტები, სუვენირი)
2. _____ _____ იყიდა (დედა, პური)
3. _____ ბაზარში _____ ყიდულობს. (ნანა, ხილი)
4. ბაზარში _____ _____ იყიდის. (პროდუქტები, მამაჩემი)
5. _____ _____ მაღაზიაში იყიდა. (დედა, ხილი)
6. ჩვენ _____ _____ ბაზარში ვიყიდით. (ხილი, ბოსტნეული)
7. _____ ახალი და დიდი _____ იყიდა. (ანა, სახლი)
8. _____ გუშინ ძალიან ლამაზი _____ იყიდა. (დედაჩემი, პალტო)

16.3. მოცემული ფრაზებით შეადგინეთ ორი დიალოგი:

თუ შეიძლება, მითხარით... კი, ბატონი. სად იყიდება?..
----- ის წინ / უკან / გვერდით / მარჯვნივ / მარცხნივ / ზემოთ / ქვემოთ...

1.	2.

16.4. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

ვყიდულობ _____

ვიყიდე _____

იყიდა _____

ყიდულობს _____

ყიდულობთ _____

ყიდულობენ _____

ვიყიდი _____

იყიდიან _____

ვიყიდეთ _____

იყიდეს _____

მინდა ვიყიდო _____

გინდა იყიდო? _____

არ მიყვარს _____

მოეწონათ? _____

16.5. დაწერეთ: საჩუქარი

17.ზმნები - წერა, კითხვა, ფიქრი. უნდა. წერილი მეგობარს.

ზმნა: წერა / დაწერა - ვწერ მე მას		კონსტრუქცია
ახლანდელი დრო	ვწერ მე მას (წერს ის მას, წერენ ისინი მას)	S nom. O dat.
მომავალი დრო	დავწერ მე მას (დაწერს ის მას, დაწერენ ისინი მას)	S nom. O dat.
წარსული დრო	დავწერე მე ის (დაწერა მან ის, დაწერეს მათ ის)	S erg. O nom.
მინდა / უნდა	დავწერო მე ის (დაწეროს მან ის, დაწერონ მათ ის)	S erg. O nom.

ზმნა: კითხვა / წაკითხვა - ვკითხულობ მე მას		კონსტრუქცია
ახლანდელი დრო	ვკითხულობ მე მას (კითხულობს ის მას, კითხულობენ ისინი მას)	S nom. O dat.
მომავალი დრო	წავიკითხავ მე მას (წაიკითხავს ის მას, წაიკითხავენ ისინი მას)	S nom. O dat.
წარსული დრო	წავიკითხე მე ის (წაიკითხა მან ის, წაიკითხეს მათ ის)	S erg. O nom.
მინდა / უნდა	წავიკითხო მე ის (წაიკითხოს მან ის, წაიკითხონ მათ ის)	S erg. O nom.

სურვილი	მე მინდა წავიკითხო, შენ გინდა წაიკითხო, მას უნდა წაიკითხოს...
ვალდებულება	მე უნდა წავიკითხო, შენ უნდა წაიკითხო, მან უნდა წაიკითხოს...

1.

- მე ახლა წერილს *ვწერ.*
- რას *წერ*? -წერილს *ვწერ* ჩემს მეგობარს.
- ცოტა ხანში *დავწერ* საშინაო დავალებას.
- *დაწერე* დავალებები? - კი, *დავწერე.* ახლა თავისუფალი ვარ.
- გიორგიმ დავალებები ერთი საათის წინ *დაწერა,* ახლა თავისუფალია.
- ჯერ დავალებები *უნდა დავწერო,* მერე წავალ მეგობრებთან.
- გიორგიმ ჯერ *უნდა დაწეროს* დავალებები და მერე წავა მეგობრებთან.

ანას უნდა წაიკითხოს წიგნი
ანამ უნდა წაიკითხოს წიგნი

2.

- ახლა სახლში ვარ და წიგნს *ვკითხულობ.*
- ხვალ სახლში ვიქნები და ჩემს საყვარელ წიგნს *წავიკითხავ.*
- *წაიკითხე* გურამის ახალი სტატია გაზეთში? - კი, *წავიკითხე,* საინტერესო იყო.
- წაიკითხე ანა დოლიძის ახალი მოთხრობა ჟურნალში? - ჯერ არა, მაგრამ ჟურნალი ვიყიდე და დღეს საღამოს *წავიკითხავ.*

- კარგი პროგრამა იყო ამ საღამოს თეატრში: *გურამ ნაკაშიძემ* გალაკტიონ ტაბიძის ლექსები *წაიკითხა.* მომწონს, კარგად *კითხულობს* გალაკტიონის ლექსებს.

იანვრიდან ივნისამდე
ორშაბათიდან პარასკევამდე
ათი იანვრიდან ოც ივნისამდე
ორი ათას სამი წლიდან
ორი ათას ათ წლამდე.
თბილისიდან ბათუმამდე

წერილი მეგობარს

გამარჯობა, ანა. როგორ ხარ? როგორ არიან შენი ოჯახის წევრები? რა არის ახალი და კარგი? მე ახლა თბილისში ვარ. შენ ალბათ იცი, რომ მე უნივერსიტეტიდან ერთი სემესტრით საქართველოში წავედი და იანვრიდან ივნისამდე აქ ვიქნები. ძალიან საინტერესოა აქ. ეს კარგი უნივერსიტეტია. აქ ქართულს ვსწავლობ. დავდივარ უნივერსიტეტში. მყავს ბევრი ქართველი მეგობარი და მათთან ერთად დავდივარ ექსკურსიებზე. ხშირად მივდივართ თეატრში. ვსწავლობ ქართულს, *ვკითხულობ* წიგნებს. ქართულად უკვე კარგად *ვკითხულობ* და *ვწერ.* ორი დღის წინ ვიყავი პოეზიის საღამოზე. *ერთმა ცნობილმა ქართველმა მსახიობმა წაიკითხა* ქართველი პოეტების ლექსები. ძალიან კარგი ლექსები იყო და *მსახიობმაც* ძალიან კარგად *წაიკითხა.* ზოგი ლექსი მეც ზეპირად ვიცი. მინდა ბევრი ქართული ტექსტი წავიკითხო. *მე ვფიქრობ,* თუ *გინდა* ქართული კარგად *ისწავლო,* ბევრი ტექსტი *უნდა წაიკითხო.* კითხვა ძალიან კარგია ენის კარგად სწავლისთვის. მე ძალიან *მინდა წავიკითხო* ნოდარ დუმბაძის მოთხრობები. ის ძალიან კარგი მწერალია. *ვფიქრობ,* ჯერ უნდა წავიკითხო მისი ნაწარმოები „კუკარაჩა". ძალიან საინტერესო ნაწარმოებია. ფილმიც არის. ფილმი უკვე ვნახე და ახლა *მინდა* მოთხრობა *წავიკითხო,* აუცილებლად *უნდა წავიკითხო.*

შენ როდის იქნები თბილისში? მომიკითხე შენი ოჯახის წევრები. დიდი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით ჯეინი.

* * *

მე ვფიქრობ...
ვფიქრობ...
მე ვფიქრობ, შენ უნდა დაწერო...
ვფიქრობ, აუცილებლად უნდა წაიკითხო...

- მე ჯეინი ვარ. დღეს ტესტი *უნდა დავწეროთ*?

- ჰო, დღეს *უნდა დავწეროთ* ტესტი. მე ქეითი ვარ, ჩვენ ერთად გვაქვს ქართული ენის ლექცია.

- კი, ვიცი. მე არ ვიყავი ორ ლექციაზე. რა *წაიკითხეთ*?

- ჩვენ *წავიკითხეთ* გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსი.

- რა კარგია, მე ძალიან მიყვარს ეს პოეტი. სახლში რა *უნდა წავიკითხოთ*?

- ინტერნეტში *უნდა წავიკითხოთ* გალაკტიონ ტაბიძის ბიოგრაფია და *უნდა დავწეროთ* თემა გალაკტიონ ტაბიძის ორი ლექსის შესახებ.

- ძალიან დიდი მადლობა. აუცილებლად *დავწერ* თემას. ახლა ტესტი *უნდა დავწეროთ* კარგად.

- ჰო, ტესტი აუცილებლად კარგად *უნდა დავწეროთ.*

სავარჯიშოები:

17.1. შეავსეთ ცხრილი:

	I	II	III	I	II	III
ახლანდელი დრო	ვკითხულობ ვწერ					კითხულობენ წერენ
მომავალი დრო		წაიკითხავ დაწერ				
წარსული დრო			წაიკითხა დაწერა			
სურვილი				გვინდა წავიკითხოთ / დავწეროთ		
ვალდებულება					უნდა წაიკითხოთ / დაწეროთ	

17.2. ჩასვით სწორი ფორმები:

1. _____ ძალიან კარგ _____ წერს. (გიორგი, მოთხრობები)
2. _____ ხვალ _____ წერენ. (სტუდენტები, ტესტი)
3. _____ აუცილებლად უნდა წაიკითხოს ეს _____. (ანა, წიგნი)
4. გუშინ შენ _____ დაწერე? (ტესტი)
5. _____ ძალიან უნდა წაიკითხოს დუმბაძის _____. (ნათია, მოთხრობები)
6. _____ აუცილებლად უნდა დაწეროს _____ (დავითი, სტატია)
7. _____ უკვე წაიკითხა ეს _____. (მამაჩემი, ჟურნალი)
8. მე ხვალ წავიკითხავ _____. (ჟურნალი)
9. _____ ახალი _____ დაწერა. (ბატონი ზურაბი, სტატია)
10. ეს _____ ძალიან კარგად კითხულობს _____. (მსახიობი, ლექსები)

17.3. დაწერეთ წინადადებები:

მე მინდა _____

მე უნდა _____

შენ გინდა? _____

შენ უნდა? _____

მას უნდა _____

მან უნდა _____

17.4. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

ვკითხულობ_____

არ ვკითხულობ _____

წერს _____

დავწერ _____

დავწერე _____

უნდა დავწერო _____

მინდა წავიკითხო _____

გინდა დაწერო? _____

გინდათ წაიკითხოთ _____

წავიკითხავ_____

დაწერ? _____

17.5. დაწერეთ: წერილი მეგობარს

18.ინტერესი - მაინტერესებს. ჩემი მომავალი პროფესია.

ზმნა: ინტერესი - მაინტერესებს მე ის			კონსტრუქცია
ახლანდელი დრო	მაინტერესებს მე ის გაინტერესებს შენ ის, აინტერესებს მას ის;	გვაინტერესებს ჩვენ ის, გაინტერესებთ თქვენ ის აინტერესებთ მათ ის	S dat. O nom.
მე მაინტერესებს მათემატიკა შენ გაინტერესებს ტექნიკა? ლევანს აინტერესებს ისტორია.			

მინდა...	მე მინდა ვისწავლო/ვიმუშაო, შენ გინდა ისწავლო/იმუშაო, მას უნდა ისწავლოს/იმუშაოს...
უნდა...	მე უნდა ვისწავლო/ვიმუშაო, შენ უნდა ისწავლო/იმუშაო, მან უნდა ისწავლოს/იმუშაოს...
მინდა.../ უნდა...	ვიცხოვრო, წავიდე, ვიყიდო, ვიყო, ვნახო, ვიცოდე, ვილაპარაკო, დავწერო, წავიკითხო... (იცხოვროს, წავიდეს, იყიდოს, იყოს, ნახოს, იცოდეს, ილაპარაკოს, დაწეროს, წაიკითხოს...)

1.

- მე ძალიან ***მაინტერესებს*** ტექნიკა და ამიტომ ***მინდა ვისწავლო*** პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში.

ამიტომ...

- მე ***მაინტერესებს*** მედიცინა და ***მინდა ვისწავლო*** სამედიცინო უნივერსიტეტში.
- რომელ უნივერსიტეტში ***გინდა ისწავლო***? - ძალიან ***მინდა ვისწავლო*** უნივერსიტეტში, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ინგლისურის სპეციალობაზე. ამიტომ ჯერ ინგლისური ***უნდა ვისწავლო*** კარგად. თუ ინგლისური კარგად არ იცი, ამ სპეციალობაზე სწავლა ძნელი იქნება.

2.

- სად ***გინდა იმუშაო*** უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ? - უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ***მინდა სკოლაში*** ვიმუშაო.
- უნივერსიტეტის შემდეგ ერთი წელი ***უნდა ვიმუშაო*** და მერე ***მინდა ვისწავლო*** სამაგისტრო პროგრამაზე.
- მე ***მაინტერესებს*** იაპონური ენა და მინდა ერთი წელი იაპონიის უნივერსიტეტში ***ვისწავლო*** და იაპონიაში ***ვიცხოვრო.***

მოგზაურობა - სამოგზაუროდ
ათი დღით / ორი კვირით / სამი თვით

- სად ***გინდა წახვიდე*** ზაფხულში? - ***მინდა ევროპაში*** წავიდე, ძალიან მაინტერესებს ევროპაში მოგზაურობა.
- ამ ახალ წელს სახლში ***უნდა ვიყო,*** მაგრამ მერე ***მინდა*** სამოგზაუროდ ***წავიდე*** ათი დღით.

- ძალიან ***მაინტერესებს*** ეს წიგნი და ***მინდა ვიყიდო.*** - თუ ***გაინტერესებს,*** აუცილებლად ***უნდა იყიდო.***

აქ - იქ

ჩემი მომავალი პროფესია

მე ძალიან ***მაინტერესებს*** ენების სწავლა. რამდენიმე ენა ვიცი. ვიცი ინგლისური, რუსული, გერმანული, ცოტა იტალიური და კიდევ ***მინდა ვისწავლო*** რამდენიმე ენა. ძალიან ***მინდა ვისწავლო*** ქართული ენა. მე ახლა უნივერსიტეტში ვსწავლობ, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ლინგვისტიკის სპეციალობაზე. ლინგვისტიკის კურსში იყო ელემენტარული ქართულიც. ძალიან ***მაინტერესებს*** ქართული და ***მინდა*** ეს ენა კარგად ***ვისწავლო.*** ამიტომ ***მინდა*** საქართველოში ***წავიდე*** გაცვლითი პროგრამით. ერთხელ უკვე ვიყავი საქართველოში, მაგრამ მაშინ სამოგზაუროდ ვიყავი. ახლა კი ***მინდა*** ერთი წელი ***ვიცხოვრო*** საქართველოში და კარგად ***ვისწავლო*** ქართული ენა. იქ უფრო ადვილი იქნება ენის სწრაფად სწავლა. ჩემი მომავალი პროფესია მინდა ლინგვისტიკა იყოს, ამიტომ ენები კარგად ***უნდა ვისწავლო.*** ახლა კერძო გაკვეთილები მაქვს ქართულ ენაში. კვირაში სამჯერ დავდივარ მასწავლებელთან. ძალიან კარგი მასწავლებელია, ის ქართველია და ძალიან სწრაფად ლაპარაკობს ქართულად. ქართულად მეც ვლაპარაკობ, მაგრამ ნელა, ჯერ ენა კარგად არ ვიცი. ძალიან ***მინდა*** ქართული კარგად ***ვიცოდე*** და სწრაფად ***ვილაპარაკო.*** ასევე მინდა საქართველოში რამდენიმე ადგილას მოგზაურობა. მე მომწონს ფეხით მოგზაურობა. მინდა წავიდე ხევსურეთში, თუშეთში და სვანეთში.

ერთხელ - ორჯერ / სამჯერ / ასჯერ...

ნელა - სწრაფად

* * *

კი, ბატონო!...

- დილა მშვიდობისა. მე ***მაინტერესებს,*** როდისაა რეგისტრაცია ქართული ენის კურსზე?
- თქვენ დღეები გაინტერესებთ, მასწავლებელი თუ ფასი?
- ყველაფერი ***მაინტერესებს,*** თუ შეიძლება.
- კი, ბატონო: ქართული ენის კურსი არის კვირაში ორჯერ: ორშაბათს და ხუთშაბათს, საღამოს 5 საათზე. არის მეორე ჯგუფიც, სამშაბათს და პარასკევს. პირველი ჯგუფი არის საკომუნიკაციო ქართული, მეორე ჯგუფი კი არის ქართული ენა ლინგვისტებითვის. ორივე ჯგუფის მასწავლებელი არის ქართველი.
- დიდი მადლობა ინფორმაციისთვის. მე ***მინდა*** მეორე ჯგუფში ***ვისწავლო.*** როდის ***უნდა მოვიდე*** პირველ გაკვეთილზე?
- ჯერ ამ ანკეტაში თქვენი სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი ***უნდა დაწეროთ.*** ჩვენ დაგირეკავთ.
- აი, დავწერე. დიდი მადლობა. კარგად ბრძანდებოდეთ.
- კარგად იყავით.

-ვე - ორივე, სამივე, ათივე, ასივე...

სავარჯიშოები:

18.1. ჩასვით სწორი ფორმები:

1. _____ აინტერესებს მათემატიკა. (ნატა)

2. _____ ისტორია აინტერესებს. (ჩემი შვილი)

3. _____ არ აინტერესებს მედიცინა, _____ აინტერესებს ტექნიკა. (გიორგი, ის)

4. _____ აინტერესებს, სად არის ბანკი ამ ქუჩაზე. (მამაჩემი)

5. _____ ყოველთვის აინტერესებს ჩემი მეგობრები. (დედაჩემი)

18.2. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით:

1. *მე მიყვარს მოგზაურობა. ხშირად მივდივარ სამოგზაუროდ.*
მე მიყვარს მოგზაურობა, ამიტომ ხშირად მივდივარ სამოგზაუროდ.
2. მე მაინტერესებს მედიცინა. მინდა ვისწავლო სამედიცინო უნივერსიტეტში.
3. ძალიან მაინტერესებს ეს წიგნი. უნდა ვიყიდო.
4. მე მაინტერესებს მათემატიკა. მინდა ვისწავლო მათემატიკის ფაკულტეტზე.
5. ძალიან მაინტერესებს ეს ახალი ფილმი. დღეს უნდა წავიდე კინოში.

18.3. ჩასვით სწორი ფორმები: -ვე ან -ჯერ

1. ინგლისურის გაკვეთილი კვირაში _____ მაქვს. (სამი)

2. ძალიან მომწონს ეს კაბები და მინდა _____ ვიყიდო. (ორი)

3. სამოგზაუროდ მინდა წასვლა და _____ ერთად წავიდეთ. (ოთხი)

4. ტესტი კარგად დაწერა _____ სტუდენტმა. (ათი)

5. სკოლის მოსწავლეებს წელიწადში _____ აქვთ არდადეგები. (ორი)

6. მე ვფიქრობ, _____ ტესტი კარგად დავწერე. (ხუთი)

7. ორი წიგნი წავიკითხე და _____ ძალიან მომეწონა. (ორი)

8. მე უკვე _____ ვიყავი ამ ჯგუფის კონცერტზე. (სამი)

9. სალომემ სამი ენა იცის და _____ ენაზე კარგად ლაპარაკობს. (სამი)

10. პატარა თათიამ ეს სიტყვა _____ უნდა დაწეროს. (ათი)

18.4. მოცემული სიტყვებით დაწერეთ წინადადებები:

მინდა ვიყიდო _____

უნდა ვიყიდო _____

მაინტერესებს _____

არ გაინტერესებს _____

გინდა იცხოვრო? _____

მინდა წავიკითხო _____

უნდა ვისწავლო _____

მინდა ვიცოდე _____

უნდა ვიყო _____

უნდა წავიდე _____

უნდა ვნახო _____

გინდა ნახო? _____

18.5. დაწერეთ: ჩემი მომავალი პროფესია

19.გარეგნობა. ფერები. ფოტოალბომი.

	უფრო... ვიდრე...	ყველაზე...
მაღალი	უფრო მაღალი, ვიდრე...	ყველაზე მაღალი
დაბალი...	უფრო დაბალი, ვიდრე...	ყველაზე დაბალი

ლექსიკა	
ადამიანი	თავი, ტანი; ხელი - ხელები, ფეხი - ფეხები; **სახე:** თვალი - თვალები, ყური - ყურები, წარბი - წარბები, წამწამი - წამწამები, ლოყა - ლოყები, ტუჩი - ტუჩები; შუბლი, ცხვირი, ნიკაპი, პირი; თმა - თმები.
გარეგნობა	ლამაზი, გამხდარი - მსუქანი; მაღალი - დაბალი, დიდი - პატარა, გრძელი - მოკლე... თმა - სწორი, ხვეული, ხუჭუჭი; ქერა, ჭაღარა; მელოტი; წვერი, ულვაში, წვერ-ულვაში, წვერულვაშიანი.

ფერი			
თეთრი	ვარდი	ვარდ-ის-ფერი	ვარდისფერი
შავი	ია	ი-ის-ფერი	იისფერი
წითელი	ცა	ც-ის-ფერი	ცისფერი
ყვითელი	ყავა	ყავ-ის-ფერი	ყავისფერი
ლურჯი	ვერცხლი	ვერცხლ-ის-ფერი	ვერცხლისფერი
მწვანე	ოქრო	ოქრო-ს-ფერი	ოქროსფერი
	სტაფილო...	სტაფილო-ს-ფერი...	სტაფილოსფერი...
ღია ფერი // მუქი ფერი			

1.

- ეს ჩემი ბიძაშვილია, ის *უფრო* მაღალია, *ვიდრე* მე.
- ჩემი დეიდაშვილი ლამაზი გოგოა, აქვს ქერა თმა და ცისფერი თვალები, მაღალია და გამხდარი.
- მამიდაჩემი აი, ის ქალია, მაღალი, ჭაღარა, ხუჭუჭი თმებით.
- მე ძალიან მომწონს აი, ის თეთრი გოგო, შავი თვალ-წარბით და შავი თმებით.
- ნათიას შავი თვალ-წარბი, გრძელი წამწამები და ხუჭუჭი თმები აქვს.
- შენს ძმას ღია ყავისფერი თვალები აქვს თუ მწვანე? - მწვანე თვალები აქვს.

შავი თმა - შავთმიანი...
ცისფერი თვალები - ცისფერთვალება...

2.

- ვინაა ეს გამხდარი და მაღალი გოგონა? - რომელი? შავთმიანი? ჩემი ბიძაშვილია.
- ეს ცისფერთვალება და შავთმიანი ბიჭი შენი ძმაა? - კი, ჩემი ძმაა.

ახალგაზრდა მოხუცი

- ეს წვერულვაშიანი კაცი ვინაა? - ბიძაჩემია.
- აი, ეს გოგო, ხვეული თმებით ჩემი მეგობარია და ეს გოგონა სწორი გრძელი თმებით მისი დაა.

მგავს მე ის, გგავს შენ ის
ჰგავს მას ის

ჩემი შვილი მე მგავს.
შენი ძმა შენ გგავს?
ჩემი და მამას ჰგავს.

ფოტოალბომი

ეს ჩემი ოჯახის ფოტოალბომია და აქ ჩემი ოჯახის წევრების ფოტოებია. ძალიან მიყვარს ეს ალბომი. ამ სურათზე ახალგაზრდა დედაჩემი და მამაჩემი არიან. ეს კი ჩემი დიდი ოჯახია. ეს ბებიაჩემია, ძალიან ლამაზი ქალი იყო. აი, ეს წვერულვაშიანი კაცი ბაბუაჩემია. ისინი ახლა მოხუცები არიან. ჩემი ძმა ძალიან ***ჰგავს*** ბაბუაჩემს. ესენი ჩემი ბიძაშვილები არიან. უფროსი ბიძაშვილი მე ***მგავს***. ისიც ქერათმიანი და ცისფერთვალებაა. მისი და უფრო მაღალია, ვიდრე ის, მაგრამ მათი ძმა ყველაზე მაღალია ჩვენ შორის. ეს ქალი ცისფერი კაბით დეიდაჩემია. ის ძალიან ლამაზია, თეთრია, აქვს ლურჯი თვალები და შავი თმები. ეს მსუქანი და მაღალი კაცი ბიძაჩემია. ეს პატარა გოგო ვარდისფერი კაბით კი მათი შვილია, გრძელი ხვეული თმები და მწვანე თვალები აქვს. მამიდაჩემი და მისი ქმარი ახლა ამერიკაში ცხოვრობენ. ეს მათი ოჯახია. ჩემი უფროსი მამიდაშვილი ძალიან მაღალია, სწორი შავი თმებით და თაფლისფერი თვალებით. მისი და ქერაა, შავი თვალები და გრძელი ხვეული თქმები აქვს. მათი ძმა პატარაა, ის თორმეტი წლისაა, მსუქანი და საყვარელი ბიჭია, შავი ხუჭუჭა თმები და ცისფერი თვალები აქვს. მე ძალიან მიყვარს ჩემი დიდი ოჯახი. ჩვენ ხშირად ვართ ერთად.

ჩვენ შორის
ჩემს ბიშაძვილებს შორის

* * *

- ვინ არიან ამ ფოტოზე?
- ეს მე ვარ, ეს ჩემი დაა. არ ***მგავს?*** ეს ჩემი ძმაა.
- ძალიან ***გგავს,*** მაგრამ მას შავი თმები აქვს, შენ - ქერა ხარ. ვის ***ჰგავს*** შენი ძმა?
- ჩემი და დედას ***ჰგავს,*** ჩემი ძმა მამას ***ჰგავს.***
- ეს გოგო ვინაა?
- ეს გოგო ჩემი მეგობარია. ლამაზი გოგოა, აქვს გრძელი ლამაზი სახე, პატარა ცხვირი, თაფლისფერი თვალები, შავი ხვეული და გრძელი თმები, არის მაღალი, გამხდარი გოგო.
- კი, ლამაზი გოგოა. ეს ბიჭი ვინ არის?
- ეს ბიჭი ჩემი ბიძაშვილია. აქ პატარაა და მსუქანი. ახლა დიდია, ოცდახუთი წლისაა, აქვს ხუჭუჭი შავი თმები, მწვანე თვალები, გამხდარი და მაღალია. წვერ-ულვაშიც აქვს.
- ეს ვინ არის?
- ეს ჩემი მამიდაშვილია. ცისფერი თვალები და ხუჭუჭი ქერა თმები აქვს. მაღალი არ არის, მაგრამ არც დაბალია. ლამაზი ბავშვია.
- კარგი ფოტოებია.

სავარჯიშოები:

19.1. დაწერეთ სწორი ფორმები:

	-იან-ი		-ა
წვერ-ულვაში	*წვერულვაშიანი*	შავი თვალები	*შავთვალება*
ქერა თმა		ცისფერი თვალები	
შავი თმა		თაფლისფერი თვალები	
ჭაღარა თმა		მწვანე თვალები	
შავი წვერი		ლურჯი თვალები	

19.2. დაწერეთ ფერები:

ვარდი, ცა, ია, ყავა, ვერცხლი, თაფლი, ოქრო, სტაფილო, სალათა...	

19.1. დაწერეთ: როგორი გარეგნობა აქვთ ამ ადამიანებს?

19.5. დაწერეთ: როგორია თქვენი მეგობარი?

19.5. დაწერეთ: ჩემო ფოტოალბომი

20. საკომუნიკაციო ფრაზები

სწავლის პროცესში	კარგია! ძალიან კარგია! მშვენიერია!	ყოჩაღ! აბა, დავიწყოთ! კარგი დასაწყისია...

სურვილი	წარმატება! წარმატებას გისურვებ! გისურვებ წარმატებას! წარმატებებს გისურვებთ! წარმატებები!	წარმატებულად! აბა, წარმატებულად! წარმატებული იყავი! სულ / ყოველთვის წარმატებული იყავი!

მილოცვა	გილოცავ! გილოცავ დაბადების დღეს! გილოცავ შობას / ახალ წელს! გილოცავ ქალთა დღეს!	გილოცავ დღევანდელ დღეს! გილოცავ გიორგობას! გილოცავ ნინოობას! გისურვებ ბედნიერებას!

თავაზიანი ფრაზები	თუ შეიძლება... თუ შეიძლება, მითხარით... თუ შეიძლება მომეცით...	თუ პრობლემა არ იქნება... თუ არ შეწუხდებით...

	წერილის დასაწყისში	წერილის ბოლოს
წერილის ფრაზები	როგორ ხარ? მოგესალმებით... როგორ ბრძანდებით... მოგიკითხავთ დიდი პატივისცემით... მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით... მოგიკითხავთ და იმედია თქვენთან ყველაფერი კარგადაა...	საუკეთესო სურვილებით... პატივისცემით... დიდი პატივისცემის გრძნობით... უდიდესი პატივისცემის გრძნობით... ღრმა პატივისცემის გრძნობით... უღრმესი პატივისცემის გრძნობით...

სუფრასთან	მობრძანდით! დაბრძანდით! მიირთვით... ინებეთ... დიდი სიამოვნებით. რა გნებავთ?	რას მიირთმევთ? გემრიელად მიირთვით... ყველაფერი გემრიელია... გემრიელი იყო... ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო...

გამარჯობა, ანა

ჩამო (<ჩა+მო)
ჩამოვდივარ / ჩამოდიხარ / ჩამოდის...
ჩამოვედი / ჩამოხვედი / ჩამოვიდა...
ჩამოვალ / ჩამოხლავ / ჩამოვა...

მოგესალმები თბილისიდან...

როგორ ხარ? მოგიკითხავთ ყველას და იმედია თქვენთან ყველაფერი კარგადაა.

მე უკვე ორი კვირაა თბილისში ვარ, 15 აპრილს ჩამოვედი აქ. ორი დღე სასტუმროში ვიყავი, ახლა კი ჩემს მეგობართან ვარ. ის ოროთახიან ბინაში ცხოვრობს. ძალიან კარგი ბინაა, პატარა და ლამაზი. უნივერსიტეტში ორშაბათს ვიყავი. ბევრი ლექცია არ მაქვს. ლექციების შემდეგ ენის კურსებზე მივდივარ. ერთი კვირის შემდეგ ალბათ ბათუმში წავალ. იქ კონფერენციაა, ჩემი მეგობარი მიდის და მეც მივდივარ. ძალიან მაინტერესებს ბათუმი. ვიცი, რომ ძალიან ლამაზი ქალაქია. შენ როდის ჩამოხვალ თბილისში? ვფიქრობ, მეც თბილისში ვიქნები იმ დროს. ძალიან კარგია, რომ ჩამოდიხარ. ერთად წავალთ კახეთში. მე ვიცი, რომ შენ ძალიან გიყვარს მოგზაურობა და კახეთში ბევრი საინტერესო და ლამაზი ადგილია.

მომიკითხე შენი ოჯახი.

საუკეთესო სურვილებით

ნათია.

თბილისი, 29 აპრილი, 2015 წელი

* * *

- ***მობრძანდით, დაბრძანდით.*** რას მიირთმევთ?
- ***თუ შეიძლება,*** ორი ხაჭაპური გვინდა.
- სასმელი ***რა გნებავთ?***
- ერთი ბოთლი მინერალური წყალი და ერთი წვენი, ***თუ შეიძლება.***
- ***კი, ბატონო,*** ყველაფერი მალე იქნება.
- დიდი მადლობა.
- გემრიელად მიირთვით.
- ***თუ პრობლემა არ იქნება,*** კიდევ ერთი წვენი გვინდა.
- კი, ბატონო.
- ახლა, ***თუ შეიძლება,*** ანგარიში.
- აი, ***ინებეთ*** თქვენი ანგარიში.
- დიდი მადლობა. აი, ***ინებეთ*** ფული.
- აი, თქვენი ხურდა.
- ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო, დიდი მადლობა.
- სასიამოვნოა, კიდევ ***მობრძანდით.***
- ***დიდი სიამოვნებით.*** ნახვამდის.
- ***კარგად ბრძანდებოდეთ.***

კი, ბატონო

სავარჯიშოები:

20.1. შეავსეთ ცხრილი:

გილოცავ გიორგობას! გემრიელად მიირთვით! თუ შეიძლება, მითხარით..... საუკეთესო სურვილებით..... წარმატებას გისურვებ! გილოცავ დაბადების დღეს! მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით! რას მიირთმევთ? თუ პრობლემა არ იქნება..... გილოცავ შობას! წარმატებულად! თუ არ შეწუხდებით! წარმატებული იყავი! დიდი პატივისცემით გრძნობით! ყველაფერი გემრიელია!

მილოცვა	სურვილი	სუფრასთან	თავაზიანი ფორმები	წერილის ფრაზები

20.2. შეადგინეთ ორი დიალოგი და გამოიყენეთ თავაზიანი ფრომები:

1.	2.

20.3.შეადგინეთ დიალოგი:

სუფრასთან

20.4. დაწერეთ ტექსტი:

წერილი მეგობარს

ნაწილი 6

ლექსიკონი თემებისთის

Glossary for topics

1. ანბანი (აი, ეს-ის)

აი - here is
ია - violet
თითი - finger
თათი - paw pad
თუთა - mulberry
თათა - female name
ათი - ten
საათი - clock; watch
თასი - bowl
ასი - hundred
-ა = არის - is; 's
ეს - this
ის - that
მამა - father
ნანა - female name
ნინო - female name
ნათია - female name

ანა - female name
ჩანთა - bag
გოგო / გოგონა - girl
დედა - mother
დიდი - big
ჩემი -my
აი თითი. - Here is a finger.
აი ეს თასი. - Here is this bowl.
ეს თათას მამაა. - This is Tata's father.
ის მამას საათია. - That is father's watch.
აი ანას მამაა. - Here is Anna's father.
ეს ანას ჩანთაა. - This is Anna's bag.
ანა დიდი გოგოა. - Anna is a big girl.
მამას საათი დიდია. - Father's watch is big
ეს ჩემი საათია. – This is my watch.
ანბანი - alphabet

2. ანბანი (არის - არ არის, კი - არა, პირის ნაცვალსახელი)

ბებია - grandmother
ბაბუა - grandfather
ჩემი - my
ხე -tree
ოთახი -room
შეშა - wood
რუსუდანი - female name
ზებრა - zebra
ზაზა - male name
ვარდი - rose
მე - I
შენ - you
ის - he/she
ჩემი - my
შენი - your
მისი - his/her
ვარ - I am (singular)
ხარ - you are (singular)

არის - he/she is (singular)
კაბა - dress
კარგი - good
ლარნაკი - flower vase
ლამაზი - beautiful
არ - not
შარვალი- trousers
ქალაქი city, town
თბილისი - Tbilisi
საქართველო - Georgia
დედაქალაქი - capital city
კი - yes
დიახ - yes (polite form)
არა - no
არ არის - is not
დედაჩემი - my mother
მამაჩემი - my father
პირის ნაცვალი – personal pronoun

3. ანბანი (კითხვითი სიტყვები)	
პური - bread	წიწილა - chicken
თეთრი - white	პატარა - small
გემრიელი - delicious	საყვარელი - beloved
ფანქარი - pencil	ჭიქა - glass
გიორგი - male name	ცივი - cold
შავი - black	ბიჭი - boy
ჟურნალი - magazine	-ში - in
ახალი - new	-ზე - on
ტახტი - sofa	წყალი - water
საინტერესო - interesting	ჯოხი - stick
ცა - sky	გრძელი - long
ცარცი - chalk	მოკლე - short
ღამე - night	ჰამაკი - hammock
დღე - day	ვინ? – Who?
და - and	რა? – What?
ყვავილი - flower	ვისი? – Whose?
ვარდი - rose	რამდენი? – How many?
ძალიან - very	როგორი? – What kind?
ძროხა - cow	გიგი - male name
შინაური - domestic	გურამი - male name
ცხოველი - animal	კითხვითი სიტყვები - question words
მძიმე - heavy	

3+. ანბანის შემდეგ საკითხავი	
მდინარე მტკვარი - the river Mtkvari	ქალაქი - city, town
უნივერსიტეტი - University	ძველი - old
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი -	ახალი - new
Tbilisi State University	საინტერესო - interesting
ილია ჭავჭავაძის პროსპექტი - Ilia	ძალიან - very
Tschavtschavadze prospect	ოჯახი, ოჯახში - family, in family
რუსთაველის პროსპექტი - Rustaveli	ჩემი ოჯახი, ჩემს ოჯახში - my famiy, in my
prospect	family
პროფესორი - professor	ჩემი ოთახი, ჩემს ოთახში - my room, in my
სტუდენტი - student	room
ქალაქის ცენტრი - city center	მეგობარი - friend
ქვეყანა - country	ბევრი - much, many, a lot of

4. მისალმება, დამშვიდობება, მადლიერება, მობოდიშება	
მისალმება - greeting	ღამე - night
დამშვიდობება - to say goodbye	ღამე მშვიდობისა - Good night

მადლიერება - gratitude, thanks	ძილი ნებისა! – Sleep well.
მობოდიშება - apologize to	მოკითხვა - kind regards to…
გამარჯვება - victory, win	როგორ - How; როგორ ხარ? – how are you?
გამარჯობა - Hello (Victory to you!)	როგორ ბრძანდებით? – How do you do?
გაგიმარჯოს - Hello (to you)	(polite phrase)
მშვიდობა - peace	როგორ გიკითხოთ? – How do you do?
დილა მშვიდობისა - Good morning	(polite phrase) (= I'd like to ask you)
(Peaceful day to you)	კარგად good, well
დილა - morning	არა მიშავს - I am OK
საღამო - evening	ისე რა - so-so
სალამი - regard, greeting	ნელა-ნელა - slowly
მოგესალმებით - regard, greeting	ცუდად - bad, badly, unwell
დილა მშვიდობისა - good morning	ცუდად - badly.
საღამო მშვიდობისა - good evening	მადლობა - thanks
მოგესალმებით - Greetings!	დიდი - great
სასიამოვნოა - It's a pleasure; Nice to meet	ღრმა - deep;
you.	უღრმესი - the deepest
ნახვამდის - goodbye; see you soon.	მადლობელი ვარ - I am grateful
ნახვა - to see	მადლიერი - grateful, thankful, be obliged to
კარგი - good	არაფერი - nothing
კარგად - good, well	ბოდიში - excuse me
კარგად ბრძანდებოდეთ - Good bye	მაპატიეთ - apologize
(polite)	უკაცრავად - I beg your pardon
მომავალ შეხვედრამდე - See you soon	მიტევება - forgive, pardon
(მომავალი - future; შეხვედრა - to meet,	მომიტევეთ - forgive me, pardon
meeting; -მდე - till, until)	ქალბატონი - lady, dame, Mrs., Madame
მშვიდობით - goodbye; Farewell	ბატონი - mister
ხვალ - tomorrow	ქალბატონო - Mrs. address form
ხვალამდე - till tomorrow; see you	ბატონო - Mr. address form
tomorrow!	
5. რიცხვითი სახელი და თვლა	
რამდენი? - How many?	რა ღირს? - How much it cost?
წელი - year	რამდენი წლის ხარ? – How old are you?
რამდენი წლის ხარ? - How old are you?	რამდენი წლისაა? – How old is he/she?
რომელი - What? Which?	რომელი საათია? – What time is it?
ნომერი - number	
6. მხოლობითი და მრავლობითი. წელიწადის დროები	
წამი - second	გაზაფხული - Spring
წუთი - minute	ზაფხული - Summer

საათი - hour	შემოდგომა - Autumn
დღე - day	ზამთარი - Winter
კვირა - week	ცივა - it is cold
თვე - month	ცხელა - it is hot
წელი/წელიწადი - year	თბილი - it is warm
საუკუნე - century	გრილა - it is cool
სტუმარი - guest	რიცხვი - number
ქუჩა - street	რა რიცხვია დღეს? – What the day is today?
ჩვენ - we	(the number of day/month)
თქვენ - you (plural)	ორშაბათი - Monday
ისინი - they	სამშაბათი - Tuesday
ჩვენი - our	ოთხშაბათი - Wednesday
თქვენი - your (plural)	ხუთშაბათი - Thursday
მათი - their	პარასკევი - Friday
დიახ - yes (polite form)	შაბათი - Saturday
კი / ჰო - yes; არა - no	კვირა - Sunday
სახელი - name	მხოლობითი - singular
დრო - time; season	მრავლობითი - plural
7. ცხოვრობს, სწავლობს, მუშაობს - პროფესიები	
პირი - gram. person	პედაგოგი - pedagogy, teacher
ნიშანი - mark	პოლიციელი - policeman
პირის ნიშანი - person mark	ოფიციანტი - waiter
პირის ნიშნები - person marks	მასწავლებელი - teacher
ცხოვრება - to live	ექიმი - doctor
სწავლა - study, learn	მოსამართლე - Judge
მუშაობა - work	გამყიდველი - seller, shop assistant
ლექსიკა - vocabulary	დიასახლისი - housewife
პროფესია - profession, occupation	პენსიონერი -pensioner
ადგილი - place, locality, district	უნივერსიტეტი - university
სად? – Where?	ტელევიზია - television
ფაკულტეტი - faculty, department	რესტორანი - restaurant
მისამართი - address	პოლიკლინიკა - polyclinic
რიგობითი რიცხვითი სახელი - ordinal numerals	სუპერმარკეტი - supermarket
ინჟინერი - engineer	მერია - town hall
ჟურნალისტი - journalist	სკოლა - school
ეკონომისტი - economist	საბავშვო ბაღი - kindergarten
იურისტი - lawyer, student of law	მაღაზია - shop
სტომატოლოგი - stomatology, dentist	ცოტა ხანი - long time
	დიდი ხანი - short time

8. მაქვს ზმნა. უსულო ობიექტი. - ჩემი სახლი	
მაქვს - I have	იატაკი - floor
გაქვს - you have	აივანი - balcony
აქვს - he/she has	სართული - floor, storey
გვაქვს - we have	მაგიდა table
გაქვთ - you (pl.) have	სკამი - chair
აქვთ -they have	კარადა - cupboard
სახლი - house	საწოლი - bed
ბინა - flat	სავარძელი - armchair
ოთახი - room	ტახტი / დივანი - sofa
სასტუმრო ოთახი - room for guest	ტუმბო - pump
საძინებელი ოთახი - sleeping room	სარკე - looking-glass, mirror
სამუშაო ოთახი - room for work	ხალიჩა - carpet
კაბინეტი - study room	წიგნების კარადა - book-case
შემოსასვლელი entrance, entry	წიგნი - book
აბაზანა - bathroom	-ც - also, too
ტუალეტი - toilet	მართლა? – Really?
სამზარეულო - kitchen (for cook)	რა კარგია! – What is good!
ფანჯარა - window	უსულო ობიექტი- inanimate object
კედელი - wall	ლექსიკა - vocabulary
ჭერი - ceiling	
9. მყავს ზმნა. სულიერი ობიექტი. - ჩემი ოჯახი	
მქვია - I am called / my name is…	დეიდა (<დედის+და) – aunt (mother's sister)
გქვია - you are called / your name is…	მამიდა (<მამის+და) – aunt (father's sister)
ჰქვია he/she is called / his/her name is…	ბიძა - uncle;
გვქვია we are called / our name is…	დედაჩემი, მამაჩემი, ბიძაჩემი, მამიდაჩემი
გქვიათ - you are called / your name is…	… - my mother / father / uncle / aunt…
ჰქვიათ they are called / their name is…	ბიცოლა (ბიძის+ცოლ-ა) aunt (uncle's wife)
ბავშვი - child	დეიდაშვილი (დეიდას+შვილი) – cousin
მყავს - I have	(mother's sister's child)
გყავს - you have	მამიდაშვილი (მამიდას+შვილი) - cousin
ჰყავს - he/she has	(father's sister's child)
გვყავს - we have	ბიძაშვილი (ბიძას+შვილი) - cousin
გყავთ - you have (pl.)	(mother's or father's brother's child)
ჰყავთ - they have	უფროსი - older
ოჯახი - family	უმცროსი - younger
ცოლი - wife	გათხოვილი - married
ქმარი - husband	ცოლიანი - married
დედა - mother	მაგრამ - but

მამა - father	-ც - also, too
შვილი - child (son or daughter)	ბატონი - mister
და - sister	ჯერ - yet
ძმა - brother	დედისერთა - only child
ბებია - grandmother	ბევრი - many, a lot
ბაბუა / პაპა - grandfather	ხშირად - often
ნათესავი - relative	
ნათესავები - relatives	

10. ჭამა, სმა ზმნები. ჩემი დღე

ვჭამ - I eat	რომელი საათია? – What time is it?
ჭამ - you eat	როდის? – When?
ჭამს - he/ she eats	რომელ საათზე? – What time?
ვჭამთ - we eat	ხილი - fruit
ჭამთ - you eat	ვაშლი - apple
ჭამენ - they eat	მსხალი - pear
ვსვამ - I drink	ატამი - peach
სვამ - you drink	ქლიავი - plum
სვამს - he/she drinks	ყურძენი - grapes
ვსვამთ - we drink	ფორთოხალი - orange
სვამთ - you drink (pl.)	მანდარინი - tangerine, mandarine
სვამენ - they drink	კომბოსტო - cabbage
რას მიირთმევთ? – What would you like? (polite)	ჭარხალი - beet
დილა - morning	სტაფილო - carrot
დილას / დილით - in the morning	კარტოფილი - potatoes
შუადღე - afternoon	ბადრიჯანი - eggplant
შუადღეზე - in the afternoon	კიტრი - cucumber
საღამო - evening	პომიდორი - tomato
საღამოს - in the evening	პური - bread
საუზმე - breakfast	ყველი - cheese
საუზმეზე - on the breakfast	კარაქი - butter
სადილი - dinner	კვერცხი- egg
სადილზე - on the dinner	წვნიანი - soup
ვახშამი - supper	სუპი - soup
ვახშამზე - at supper	ხორცი - meat
ვსაუზმობ - I have breakfast	სალათა - salad
საუზმობ - you have breakfast	მოხარშული - boiled
საუზმობს - he/she has breakfast	შემწვარი - fried
ვსაუზმობთ - we have breakfast	ყავა - coffee
	ჩაი - tea

საუზმობთ - you have breakfast (pl.)	რძე - milk
საუზმობენ - they have breakfast	წვენი - juice
ვსადილობ - I have dinner	წყალი - water
სადილობ- you have dinner	ლიმონათი - lemonade
სადილობს- he/she has dinner	იღვიძებს - waking up
ვსადილობთ - we have dinner	იძინებს - to fall asleep
სადილობთ- you have dinner (pl.)	ადრე - early
სადილობენ - they have dinner	გვიან - late
ვვახშმობ - I have supper	ხშირად - often
ვახშმობ - you have supper	იშვიათად - rarely
ვახსმობს - he/she has supper	ან - or
ვვახშმობთ - we have supper	მიირთმევს - eat (polite)
ვახშმობთ - you have supper (pl.)	ასეთი - such
ვახშმობენ - they have supper	

11. იცის (ცოდნა) ზმნა. წარმომავლობა: -ელ, -ურ

ვიცი - I know	ამერიკა - America
იცი - you know	მექსიკა - Mexico
იცის - he/she knows	ირანი - Iran
ვიცით - we know	საფრანგეთი - France
იცით - you know	საბერძნეთი - Greece
იციან - they know	ჩეხეთი - Czech Republic
ქართული - Georgian	სლოვაკეთი - Slovakia
ინგლისური - English	სომხეთი - Armenia
წარმოება - formation	რუსეთი - Russia
ქვეყანა - country	თურქეთი - Turkey
ქვეყნიდან - from country	ვლაპარაკობ - I speak
საიდან? - Where from?	ლაპარაკობ - you speak
-იდან - from	ლაპარაკობს - he/she speaks
ადამიანი - human	ვლაპარაკობთ - we speak
პროდუქტი - product	ლაპარაკობთ - you speak (pl.)
ინგლისი - England	ლაპარაკობენ - they speak
ესპანეთი - Spain	საქართველო - Georgia
პოლონეთი - Poland	ქართველი - Georgian
ინდოეთი - India	უკრაინელი - Ukrainian
ჩინეთი - China	რამდენიმე - several
ავღანეთი - Afghanistan	მშობლიური - native language, Mother tongue
ბულგარეთი - Bulgaria	ენა - language.
ესტონეთი - Estonia	დიპლომატი - Diplomat
უნგრეთი - Hungary	

ფინეთი - Finland	საელჩო - Embassy
იტალია - Italy	სხვადასხვა - different
ავსტრია - Austria	კიდევ - more
ნორვეგია - Norway	წარმოშობით - originally
პორტუგალია - Portugal	ადამიანი - Human, man
ლატვია - Latvia	ანდაზა - proverb
გერმანია - Germany	მართალია - It is right
იაპონია - Japan	მასწავლებელი - teacher
ლიტვა - Lithuania	სტუმარი - guest
კანადა - Canada	ხშირად - often

12. არის - იყო - იქნება. დაბადების დღე

ვიყავი - I was	სტუმარი - guest
იყავი - you were	სტუმრები - guests
იყო - he/she was	კლასელი - classmate
ვიყავით - we were	კურსელი -studying on the same course
იყავით - you were	კოლეგა - colleague
იყვნენ - they were	მეზობელი - neighbor
ვიქნები - I'll be	მეგობარი - friend (close friend)
იქნები - you'll be	ახლობელი - near relation
იქნება - he/she'll be	ნათესავი - relative
ვიქნებით - we'll b	დავიბადე - I was born
იქნებით - you'll be (pl.)	დაიბადე - you were born
იქნებიან - they'll be	დაიბადა - he/she was born
გუშინწინისწინ - two days before yesterday	ალბათ - probably
გუშინწინ - the day before yesterday	სამსახურში - at work
გუშინ - yesterday	დრო - time
დღეს - today	დრო არ მქონდა - I had no time
ხვალ - tomorrow	შენთან - with you
ზეგ - the day after tomorrow	შეხვედრა - meeting
მაზეგ - two days after tomorrow	მეგობრებთან ერთად - with friends
დაბადების დღე - birthday	ყოველთვის - always
ზეიმი - celebration	სუფრა - the table (lay the table)
საჩუქარი - present, gift	წინ - before; ahead, forward
ტორტი - cake	ერთი საათის წინ - one hour before
ნამცხვარი - biscuit	ჰო - yes
ტკბილეული - sweets	
საჭმელი - food, meal	გვქონდა - we had (past tense)
სასმელი - drink	

13. მინდა ზმნა. თავაზიანი ფორმები. რესტორანში

მინდა - I want
გინდა - you want
უნდა - he/she wants
გვინდა - we want
გინდათ - you want
უნდათ - they want
საჭმელი - food, meal
სასმელი - drink
თავაზიანი ფრაზები - polite phrases
წვნიანი - food with sauce
სალათი/სალათა - salad
ხორციანი - food with meat
ხინკალი - khinkali (Georgian food)
ხაჭაპური - bread with cheese (Georgian food)
ლობიანი - bread with been
ნიგვზიანი - food with nut
ბადრიჯანი - eggplant
ფხალი - (Georgian food)
მწვადი - roasted meat
ლობიო - been
ლავაში - Lavash (Georgian bread)
მინერალური წყალი - mineral water
ნატურალური წვენი - natural juice
ღვინო - wine
არაყი - vodka
ლუდი - beer
ყველა (ყველამ, ყველას) -
ყველაფერი - everything
ყოველთვის - always
ბორჯომი - Borjomi (Georgia mineral water)
ნაბეღლავი - Nabeghlavi (Georgia mineral water)
ფული -money
სუფრა - table (full of food table)
კიდევ - else, again
შეკვეთა - order

ანგარიში - bill
მენიუ - menu
პორცია - portion
თუ შეიძლება - please
მობრძანდით - please come, visit...
დაბრძანდით - please sit
რას ინებებთ? – What would you like? (=want)
რას მიირთმევთ? What would you like? (=eat)
ინებეთ - please take
მიირთვით - enjoy your meal
გერიელად მიირთვით - Enjoy! Bon Appetite!
გემრიელიად - appetizingly, მიირთვით - eat (polite)
ყველაფერი გემრიელი იყო - Everything was delicious
თუ - or
კიდევ - again
აქ - here
იქ - there
აქაური - from here
იქაური - from there
ბოთლი - bottle
რა თქმა უნდა - of course
ზოგი - some
საინტერესო - interesting
პროგრამა - program
ალბათ - probably
ჯერ არ - not yet
ჯერ არ გვინდა - we don't want yet
დიდი ხანია - It's long time
დღეს საღამოს - Today evening
ყველაფერი თხუთმეტ წუთში იქნება - everything will be ready in fifteen minutes
ორი/ სამი... ცალი - two/ three... pieces

14.სვლა და მიმართულება: მივდივარ ზმნა. დაკავებული დღე.	
მივდივარ - I go	მოვდივარ - I come
მიდიხარ - you go	მოვედი - I came
მიდის - he/she goes	მოვალ - I'll come
მივდივართ - we go	გადავდივარ - I cross
მიდიხართ - you go	გადავედი - I crossed
მიდიან - they go	გადავალ - I'll cross
მივედი - I came	მაღაზია - shop
მიხვედი - you came	სკოლაში - at school
მივიდა - he/she came	სკოლიდან - from school
მივედით - we came	ხიდი - bridge
მიხვედით - you came	ხიდზე - on the bridge
მივიდნენ - they came	აღმართი, აღმართზე - rise, slope upgrade; on the rise
მივალ - I'll come	დაკავებული - busy
მიხვალ - you'll come	პოლიკლინიკა - policlinic
მივა - he/she'll come	სპორტი - sport
მივალთ - we'll come	შემდეგ, მერე - after
მიხვალთ - you'll come	დიდი ხანი - long time
მივლენ - they'll come	ცოტა ხანი - a little while
წავედი - I went	ცოტა ხანში - in a while
წავალ - I'll go	როცა - when
ავდივარ - I go up	აღმართი - rise
ავედი - I went up	მთელი დღე- whole day
ავალ - I'll go up	ბიბლიოთეკა - library
ჩავდივარ - I go down	ტესტირება - testing
ჩავედი - I went down	ტელევიზია - TV
ჩავალ - I'll go down	ერთად - together with
შევდივარ - I go in	არსად - nowhere
შევედი - I went in	მოკითხვა გადაეცი - tell greetings
შევალ - I'll go in	ქალაქგარეთ - out of town
გავდივარ - I go out	დავდივარ - I go
გავედი - I went out	სართული - floor
გავალ - I'll go out	
დაღლილი - tired	
შაბათ-კვირა - weekend	მთაწმინდა - hill in Tbilisi, place name
გაკვეთილი - lesson	ვარაზისხევი - ravine in Tbilisi, place name
მასწავლებელი - teacher	მცხეთა - city close to Tbilisi
ჩემთან - at my place, at my home	სიღნაღი - city in Kakheti
მეორე - second; another	

15.მიყვარს და მომწონს ზმნები. მოგზაურობა.

მომწონს - I like
მოგწონს - you like
მოსწონს - he/she likes
მოგვწონს - we like
მოგწონთ - you like (pl.)
მოსწონთ - they like
მომეწონა - I liked
მოგეწონა - you liked
მოეწონა - he/she liked
მოგვეწონა - we liked
მოგეწონათ - you liked (pl.)
მოეწონათ - they liked
მომეწონება - I'll like
მოგეწონება - you'll like
მოეწონება - he/she'll like
მოგვეწონება - we'll like
მოგეწონებათ - you'll like
მოეწონებათ - they'll like
მიყვარს - I love
გიყვარს - you love
უყვარს - he/she loves
გვიყვარს - we love
გიყვართ - you love
უყვართ - they love
შემიყვარდა - we loved
შიგიყვარდა - you loved
შეუყვარდა - he/she loved
შეგვიყვარდა - we loved
შეგიყვარდათ - you loved (pl.)
შეუყვარდათ - they loved
შეუყვარდებათ - they'll love
რომ - that (conjunction)
როცა - when
ამიტომ - that's why
ადამიანი human being; man
ხალხი - people
მასწავლებელი - teacher
უკვე - already

მშვენიერი - beautiful, nice
შემიყვარდება - I'll love
შეგიყვარდება - you'll love
შეუყვარდება - he/she'll love
შეგვიყვარდება - we'll love
შეგიყვარდებათ - you'll love (pl.)
სხვა - other, another
რამე - something
-თვის - for ; ჩემთვის - for me
ღამით - at night
შარშან - last year
ფილმი - film
წიგნი - book
განსაკუთრებით - especially
მოგზაურობა - traveling
ფეხით - on foot
ფეხით მოგზაურობა - hiking
სიარული - to walk
ყოფნა - to be
ნახვა - to see
ყიდვა - to buy
წასვლა - to go
მუზეუმი - museum
სუვენირი - souvenir
საჩუქარი - present, gift
ადგილი - place
გონდოლა - gondola
თავისუფალი თეატრი - "Free Theatre"
სპექტაკლი - play, performance
მსახიობი - actor
თითქმის - almost
იმედია - hope, I hope
სათაური - title
პირველად - for the first time
მეორედ - a second time, for the second time
ერთად წავიდეთ - let's go together
ყველაზე მეტად - most of all

16.ყიდვა ზმნა. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი. გზის ჩვენება.	
ყიდვა - to buy	თბილი - warm
ვყიდულობ - I buy	ლამაზი - beautiful
ყიდულობ - you buy	ხარისხი - quality
ყიდულობს - he/she buys	კარგი ხარისხის - good quality
ვყიდულობთ - we buy	შარვალი - trousers
ყიდულობთ - you buy (pl.)	პიჯაკი - Jacket
ყიდულობენ - they buy	სვიტერი - sweater
ვიყიდი - I'll buy	ლაბადა - raincoat
იყიდი - you'll buy	პალტო - coat
იყიდის - he/she'll buy	ქურთუკი - Jacket
ვიყიდით - we'll buy	ფეხსაცმელი - shoes
იყიდით - you'll buy	ან - or
იყიდიან -they'll buy	როცა - when
ვიყიდე - I bought	უფრო ხშირად - more often
იყიდე - you bought	საჩუქარი, საჩუქრები - present, gift (pl.)
იყიდა - he/she bought	უფრო - more
ვიყიდეთ - we bought	ცოტა - few, a little bit
იყიდეთ - you bought (pl.)	იყიდება - for sale
იყიდეს - they bought	სამკაული - jewelers, decoration
მინდა ვიყიდო - I want to buy	სუნამო - perfume
გინდა იყიდო - you want to buy	ყვავილი - flower
უნდა იყიდოს - he/she wants to buy	ადვილი - easy
გვინდა ვიყიდოთ - we want to buy	გვერდით - next to
გინდა იყიდოთ - you want to buy	მარჯვნივ - to the right
უნდათ იყიდონ - they want to buy	მარცხნივ - to the left
ტანსაცმელი - clothing	წინ - ahead; უკან - behind
კაბა - dress	ზემოთ - above; ქვემოთ - down
ბოლოკაბა - skirt	პირდაპირ - opposite
ზედატანი - shirt	მერე - after
მაისური - T-shirt	ავტოსადგომი - car park; parking place
პერანგი - shirt	ახლოს - near, close to
ჟაკეტი - jacket	შორს - far
ღია ფეხსაცმელი - open shoes	შესახვევი - turn, side street
დახურული ფეხსაცმელი - indoor shoes	შეუხვევთ - You'll turn
ჩექმა - boot	ქუჩის მეორე მხარეს - on tne other side of street
ჩუსტი - slippers	სავაჭრო ცენტრი - Shopping center
არაფერი - nothing	რამდენიმე - several, some
მხოლოდ - only	

17.ზმნები - წერა, კითხვა, ფიქრი. უნდა. წერილი მეგობარს.	
წერა - to write	სემესტრი - semester
კითხვა - to read	ერთი სემესტრით - one semester
ფიქრი - to think	პოეზიის საღამო - event (poetry evening)
უნდა - must	ვფიქრობ - I think
წერილი - letter	ცნობილი - well-known
მეგობარი friend	ზეპირად ვიცი - I know by heart
ვწერ - I write	ტექსტი - text
დავწერ - I'll write	მწერალი - writer
დავწერე - I wrote	ნაწარმოები - work
დავწერო - I (must...) write	წერილი - letter
ვკითხულობ - I read	საშინაო დავალება - homework
წავიკითხავ - I'll read	თავისუფალი - free
წავიკითხე - I read (past)	დაკავებული - busy
წავიკითხო - I (must...) read	აუცილებლად - definitely
მინდა წავიკითხო - I want to read	მომიკითხე - tell greetings
უნდა წავიკითხო - I must read	პოეტი - poet
ცოტა ხანი - a little while	ბიოგრაფია - biography
ცოტა ხანში - soon	დღეს საღამოს - today evening
თავისუფალი - free	ამ საღამოს - this evening
დავალება / დავალებები - homework	ერთი საათის წინ - one hour ago
საყვარელი - favorite	ჯერ - at first
სტატია - article	ნოდარ დუმბაძე - Great Georgian writer
მოთხრობა - story	ლექსის შესახებ - about the poetry
პროგრამა - program	ცნობილი - well-known, famous
ლექსი - poetry, verse	ერთი ცნობილი ქართველი მსახიობი - one well-known Georgian actor
-დან -მდე - from – to, from - till	

18.ინტერესი - მაინტერესებს. ჩემი მომავალი პროფესია.	
მაინტერესებს - I'm interested in	სწრაფად - quickly, fast
გაინტერესებს you're interested in	ნელა - slowly
აინტერესებს he/she's interested in	ასევე - also
გვაინტერესებს we're interested in	ხევსურეთი - Khevsureti (Part of Georgia)
გაინტერესებთ you're interested in (pl.)	თუშეთი - Tusheti (Part of Georgia)
აინტერესებთ they're interested in	სვანეთი - Svaneti (Part of Georgia)
მათემატიკა - mathematics	რეგისტრაცია - registration
ტექნიკა - techniques	კურსი - course
ისტორია - history	ქართული ენის კურსი - Georgian language course
ამიტომ - that's why	ფასი - price
პოლიტექნიკური - polytechnic	

ჰუმანიტარული - humanitarian	თუ შეიძლება - please
ძნელი - difficult, hard	კი, ბატონი - OK
დამთავრება - to finish	საკომუნიკაციო - for communication
დამთავრების შემდეგ - after finishing (the school)	-თვის - for
	ჯგუფი - group
სამაგისტრო პროგრამა - Master's program	ინფორმაცია - information
აუცილებლად - definitely	ანკეტა - form, questionnaire
რამდენიმე - several, some	სახელი - name
გაცვლითი პროგრამა - Exchange program	გვარი - last name
ერთხელ - once	ტელეფონის ნომერი - telephone number
უკვე - already	დაგირეკავთ - we'll call you
სამოგზაუროდ - for traveling	ორივე - both
ადვილი - easy	სამივე... – all three
მომავალი - future	მედიცინა - medicine
ლინგვისტიკა - linguistics	ხშირად - often
კერძო - private	იშვიათად - rarely, seldom
კერძო გაკვეთილი - private lesson	მოსწავლე - pupil (schoolboy, schoolgirl)
-ჯერ - ...times	არდადეგები - holidays
ორჯერ, სამჯერ... – twice, three times,	სიტყვა - word

19.გარეგნობა. ფერები. ფოტოალბომი.

მაღალი - tall	მელოტი - bald, bald-headed
დაბალი - short	წვერი - beard
უფრო - more	ულვაში - mustache
ვიდრე - than (more... than)	წვერ-ულვაში - beard and mustache
ყველაზე - most of all	წვერულვაშიანი - beard-mustache
ადამიანი - human, man, person	ვარდი - rose
თავი - head	ია - voilet
ტანი - body	ცა - sky
ხელი - hand	ვერცხლი - silver
ფეხი - foot	ოქრო - gold
სახე - face	სტაფილო - carrot
თვალი - eye	ვარდისფერი - pink
ყური - ear	იისფერი - violet
წარბი - eyebrow, brow	ცისფერი - blue, light blue
წამწამი - eyelash	ყავისფერი - brown, coffee-colored
ლოყა - cheek	ვერცხლისფერი - silvery
ტუჩი - lip	ოქროსფერი - golden
შუბლი - forehead	სტაფილოსფერი - orange
ცხვირი - nose	ღია ფერი - light color

ნიკაპი - chin	მუქი ფერი - dark-color
თმა - hair	შავთმიანი - black-haired
თმები - hairs	ცისფერთვალება - with blue eyes
გარეგნობა - appearance, looks	ფოტოალბომი - Albums for photos
ლამაზი - beautiful, pretty, handsome	ოჯახის წევრები - family members
გამხდარი - thin	ახალგაზრდა - young
მსუქანი - fat	მოხუცი - old (man)
გრძელი - long	მგავს - looks like me
მოკლე - short	გგავს - looks like you
სწორი - straight (hair)	ჰგავს - looks like him/her
ხვეული - curly (hair)	თაფლისფერი - brown (honey-colored)
ხუჭუჭი - curly, frizzy	შორის - between
ქერა - blond, fair-haired	ჩვენ შორის - between us
ჭაღარა - gray	

20. საკომუნიკაციო ფრაზები

სწავლის პროცესში - Learning process	**მილოცვა - Congratulation**
კარგია! – Good!	გილოცავ! – Congratulations!
ძალიან კარგია! – Very good!	გილოცავ დაბადების დღეს! – Happy birthday!
მშვენიერია! – Wonderful!	გილოცავ ახალ წელს! – Happy New Year!
ყოჩაღ! – Well done! Bravo!	გილოცავ შობას! – Merry Christmas!
აბა, დავიწყოთ! – Just get started! Let's start!	გილოცავ დღევანდელ დღეს! – Happy today!
კარგი დასაწყისია... – A good start!	გილოცავ გიორგობას! – Happy ST George's Day!
სურვილი - Wish	გილოცავ ნინოობას! Happy ST Nino's Day!
წარმატება! – Success!	გილოცავთ ქალთა დღეს! - Happy Women's Day!
წარმატებას გისურვებ! – Good Luck!	გისურვებ ბედნიერებას! – I wish you happiness! (Be happy!)
გისურვებ წარმატებას! – Good Luck! (I wish you success!)	
წარმატებებს გისურვებთ! - Good Luck! (I wish you success!)	**თავაზიანი ფრაზები - Polite Phrases**
წარმატებები! – Success!	თუ შეიძლება... – Please; If you could…
წარმატებულად! – Successful!	თუ შეიძლება, მითხარით... – Please, tell me! Could you tell me!
აბა, წარმატებულად! - Successful! (With interjection აბა! – well! Now!)	თუ შეიძლება მომეცით... – Please, give it to me! Could you give it to me!
წარმატებული იყავი! – Be successful!	თუ პრობლემა არ იქნება... – If the problem cannot be…
სულ / ყოველთვის წარმატებული იყავი! Always be successful!	

წერილის ფრაზები - Posts Phrases

წერილის დასაწყისში - In the beginning of the letter

როგორ ხარ? – How are you?

მოგესალმებით... – Welcome!

როგორ ბრძანდებით... – How do you do!

How are you? (polite)

წერილის ბოლოს - At the end of the letter

საუკეთესო სურვილებით... – Best wishes!

პატივისცემით... – Sincerely!

დიდი პატივისცემის გრძნობით... – Great respect! With the great respect!

უდიდესი პატივისცემის გრძნობით... - Great respect! With the great respect!

ღრმა პატივისცემის გრძნობით... – A deep sense of respect!

უღრმესი პატივისცემის გრძნობით... - A deepest sense of respect!

მოგიკითხავთ დიდი პატივისცემით... – Greetings with great respect!

მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით... - Greetings with love!

მოგიკითხავთ და იმედია თქვენთან ყველაფერი კარგადაა... – Greetings and hope all is well with you!

თუ არ შეწუხდებით... - If I don't disturb you...

სუფრასთან - At the table

მობრძანდით! – Welcome! Please visit!

დაბრძანდით! – Please, sit!

მიირთვით... – Enjoy, please!

ინებეთ... – Please, take!

დიდი სიამოვნებით. – With pleasure!

რა გნებავთ? – What would you like!

რას მიირთმევთ? - What would you like!

გემრიელად მიირთვით... – Enjoy!

ყველაფერი გემრიელია... - Everything is delicious...

გემრიელი იყო... – It was delicious...

ყველაფერი ძალიან გემრიელი იყო... – All was too delicious...

ჩამოვდივარ/ჩამოდიხარ/ჩამოდის - I arrive/ you arrive/he arrives

ჩამოვედი/ჩამოხვედი/ჩამოვიდა - I arrived/you arrived/ he arrived

ჩამოვალ/ჩამოხვალ/ჩამოვა - I'll arrive/ you'll arrive/ he'll arrive

ყველა - all, everybody

იმედია - hope

უკვე - already

სასტუმრო - hotel, guesthouse

ენის კურსები - language courses

შემდეგ - after

ერთი კვირის შემდეგ after one week

კონფერენცია - conference

იმ დროს - at that time

კახეთი - Kakheti (Part of Georgia)

კიდევ - again; more

ფული (თანხა) – money (sum)

ნაწილი 7

ტესტები შემოწმებისათვის

Tests for checking

Test for reading

საათი. თითი. მამა. ნანა. ჩანთა. გოგო. დედა.

აი საათი. ათი საათი. აი ეს თასი. აი ის თასი. აი ათი თითი. ეს თათას მამაა. ის თათას მამას საათია. ეს ანას ჩანთაა. ის ნათიას ჩანთაა. ანას ჩანთა დიდია. აი ანას დედა. ანა დიდი გოგოა. ეს დედას საათია. ეს მამას საათია. მამას საათი დიდია.

ეს ნინოს დიდი ჩანთაა.

ეს ანას მამას საათია. ეს საათი დიდია.

ეს ნათიას დედას ჩანთაა. ეს ჩანთა დიდია.

- ის ანას მამაა?
- ის ანას მამაა.

წაიკითხეთ:

- ის დიდი საათია. ის ანას მამას საათია.
- ანას ახალი კაბა ლამაზია.
- დედას საათი არ არის დიდი.
- აი ლარნაკი. ეს ლარნაკი დიდი არ არის.
- ეს ლარნაკი ლამაზია.
- ეს ნათიას დედას ჩანთაა. ეს ჩანთა არის დიდი.
- ეს რუსუდანის სახლია. ეს დიდი სახლია. რუსუდანის ოთახი არ არის დიდი. რუსუდანი ლამაზი გოგოა.
- თბილისი არის საქართველოს დედაქალაქი. თბილისი დიდი და ლამაზი ქალაქია.
- მე ვარ ანა. დედაჩემი არის ელენე, მამაჩემი არის გიორგი. ეს დედაჩემის და მამაჩემის ოთახია. ეს ოთახი დიდია. ეს ჩემი ოთახია. ჩემი ოთახი დიდი არ არის. ჩემი ოთახი ლამაზია.
- - შენ ელენე ხარ?
- - შენი ოთახი დიდია?
- - შენი ქალაქი ლამაზია?

კარნახი – Dictation

- კოტე. კოტე ბიჭია. კოტე ძალიან კარგი ბიჭია.
- ლალი. ქალბატონი ლალი. ქალბატონი ლალი ლამაზი ქალია.
- პაპა. პაპა მოხუცია. პეტრე პაპა ძალიან მოხუცია.
- პური. პური გემრიელია. ცხელი პური ძალიან გემრიელია.
- რეზო. ბატონი რეზო. ბატონი რეზო საინტერესო ადამიანია.
- ტასო. ტასო გოგოა. ტასო ძალიან კარგი გოგოა.
- ფაფა. ფაფა გემრიელია. ბავშვს გემრიელი ფაფა უყვარს.
- ქუდი. დიდი ქუდი. ეს ქუდი ძალიან დიდია.
- ყაყაჩო. ყაყაჩო ყვავილია. ყაყაჩო ძალიან ლამაზი ყვავილია.
- ჩანთა. დიდი ჩანთა. ეს დიდი ჩანთა ჩემია.
- ცივი. ცივი წყალი. ეს ძალიან ცივი წყალია.
- ცხელი. ცხელი ჩაი. ძალიან მინდა ცხელი ჩაი.
- წყარო. ცივი წყარო. წყაროს წყალი ძალიან ცივია.
- საჭმელი. გემრიელი საჭმელი. ეს საჭმელი ძალიან გემრიელია.
- ჯაბა. ჯაბა ბიჭია. ჯაბა ძალიან ჭკვიანი ბიჭია.

ტესტი 1 (1-5)

1.დააჯგუფეთ სიტყვები / Group the words:

საათი მამა ჩანთა გოგო ლარნაკი შარვალი ხე კაბა ოთახი ბაბუა ფანქარი წიწილა ჟურნალისტი წყალი ყვავილი ქალაქი ნათია დედაჩემი სახლი სტუდენტი

ვინ?	რა?

(20 ქულა)

2.დააჯგუფეთ სიტყვები / Group the phrases:

დილა მშვიდობისა. ღამე მშვიდობისა. მოგესალმებით. კარგად ბრძანდებოდეთ. ხვალამდე. მომავალ შეხვედრამდე. როგორ ხართ? დიდი მადლობა. უკაცრავად. მაპატიეთ. როგორ ბრძანდებით? გაგიმარჯოს. როგორ ბრძანდება? ნახვამდის. მადლობელი ვარ.

მისალმება	
დამშვიდობება	
მოკითხვა	
მადლიერება	
მობოდიშება	

(15 ქულა)

3.დაუკავშირეთ ერთმანეთს ფორმები / Connect the phrases:

• გამარჯობა.	• არაფერია.
• დიდი ბოდიში.	• კარგად იყავით.
• მოგესალმებით.	• გმადლობთ, კარგად.
• როგორ ბრძანდებით?	• გამარჯობა.
• ღამე მშვიდობისა.	• გაგიმარჯოს.
• დიდი მადლობა.	• არა უშავს.
• კარგად ბრძანდებოდეთ.	• არაფრის.
• დილა მშვიდობისა.	• ნახვამდის.
• ხვალამდე.	• დილა მშვიდობისა.
• უკაცრავად.	• კარგად ბრძანდებოდეთ.

(10 ქულა)

4.უპასუხეთ კითხვებს / Answer the questions:

1.რამდენი წლის ხარ?	
2.რომელი საათია ახლა?	
3.რა არის შენი ტელეფონის ნომერი?	
4.რა ღირს პური?	
5. რამდენი სტუდენტია ოთახში?	

(5 ქულა)

5.შეავსეთ ცხრილი / Fill in the schedule:

ცხრა		ოცდათოთხმეტი	
3		45	
შვიდი		სამოცდაშვიდი	
5		99	
ერთი		ორმოცდათორმეტი	
2		57	
ოთხი		სამოცდაცამეტი	
8		88	
ათი		ოთხმოცდათხუთმეტი	
6		36	

(20 ქულა)

6. დაწერეთ რიცხვები სიტყვებით / Write the numbers with the words:

134	
256	
325	
752	
822	
999	
1753	
1972	
1991	
2015	

(10 ქულა)

6. დაწერეთ დიალოგი და ტექსტი / Write the dialogue and the text:

ჩემი ქვეყანა

– გამარჯობა, ბატონო დავით!

(10 ქულა)

ჩემი ქვეყანა

(10 ქულა)

სულ: 100 ქულა

ტესტი 2 (6-10)

1.დააჯგუფეთ სიტყვები / Group the words:

დეიდა ვაშლი მაგიდა პური მამიდა ყველი ატამი მასწავლებელი კარაქი ყურძენი დეიდაშვილი ჩაი სკამი ქლიავი ბიძაშვილი ექიმი რძე ბიძა სალათა წვენი სავარძელი გამყიდველი წყალი კარადა კვერცხი ფორთოხალი დიასახლისი ყავა ჟურნალისტი საწოლი

პროფესია	
ავეჯი	
ნათესავი	
საჭმელი	
სასმელი	
ხილი	

(30 ქულა)

2. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით / Write after the model: *5 - მეხუთე*

2		35	
6		45	
8		62	
9		53	
12		67	
13		71	
15		84	
17		126	
19		153	
20		285	

(20 ქულა)

3. დაწერეთ ნიმუშის მიხედვით / Write after the model: *ოთახი - ოთახები*

სახლი		გოგო	
ჟურნალი		თვე	
შარვალი		დღე	
სტუმარი		ჩანთა	
ფანქარი		ქუჩა	

(10 ქულა)

4. ჩასვით სწორი ფორმები / Fill in the correct forms:

1. დედაჩემი _____ მუშაობს. (უნივერსიტეტი)
2. ნათია ფილოლოგიის _____ სწავლობს. (ფაკულტეტი)
3. ნათიას მამა _____ მუშაობს. (ტელევიზია)
4. მე თბილისში ჭავჭავაძის _____ ვცხოვრობ. (ქუჩა)
5. სად ცხოვრობს სალომე? – რუსთაველის _____. (პროსპექტი)
6. ნიკა _____ ცხოვრობს. (ბათუმი)
7. ნიკა ეკონომიკის _____ სწავლობს? (ფაკულტეტი)
8. ჩემი მეგობრები _____ მუშაობენ. (სუპერმარკეტი)
9. სად არის ბანკი? – მიცკევიჩის _____. (ქუჩა)
10. ნატა რა _____ სწავლობს? (სპეციალობა)

(10 ქულა)

5. ჩასვით სწორი ფორმები / Fill in the correct forms:

1. _____ ძალიან დიდი _____ აქვს. (გურამი, სახლი)
2. _____ ჯერ _____ არ ჰყავს. (ზურაბი, ცოლი)
3. _____ კარგი _____ აქვს. (ნათია, ოთახი)
4. _____ _____ ჰყავს? (სალომე, ბაბუა)
5. _____ ახალი _____ აქვთ. (სტუდენტები, კომპიუტერები)

6. _____ _____ არ ჰყავს. (გიორგი, მამიდაშვილი)

7. _____ ბევრი _____ აქვს. (მამაჩემი წიგნი)

8. _____ _____ ორი წლის _____ ჰყავთ.(დავითი და თინა, შვილი)

9. _____ ერთი დიდი _____ აქვს. (ოთახი, ფანჯარა)

10. _____ _____ არ ჰყავს. (ბიძაჩემი, ცოლ_შვილი)

(20 ქულა)

6. დაწერეთ: ჩემი ერთი დღე.

(10 ქულა)

სულ: 100 ქულა

ტესტი 3 (6-10)

1.დააჯგუფეთ სიტყვები / Group the words:

მწვადი ესპანეთი ღვინო კლასელი საფრანგეთი ლობიანი არაყი მობრძანდით საჩუქარი ხაჭაპური ლუდი დაბრძანდით საბერძნეთი კოლეგები ზეიმი ფხალი ჩინეთი მეგობრები ნატურალური წვენი სუფრა მიირთვით ფინეთი ახლობლები ლობიო რესტორანი ნათესავები ინებეთ ტორტი მინერალური წყალი გემრიელად მიირთვით

დაბადების დღე	
სტუმრები	
საჭმელი	
სასმელი	
ქვეყანა	
თავაზიანი ფორმები	

(30 ქულა)

2. .დაუკავშირეთ ერთმანეთს სიტყვები / Connect the words:

ენა ექიმი რესტორანი პროფესორი უნივერსიტეტი პოლიციელი ჟურნალი სკოლა ჟურნალისტი ტელევიზია სტუმარი მეგობარი ავეჯი ინჟინერი მაგიდა გამყიდველი წიგნი სტუდენტი კარადა მასწავლებელი
ფრანგული ინგლისელი მექსიკური ამერიკელი პორტუგალიელი ამერიკული ჩინური ავსტრიელი გერმანული რუსული იაპონელი ესპანური რუსი ბულგარული იტალიელი იტალიური ლიტველი ინგლისური პორტუგალიელი კანადელი

1.	_____	11.	_____
2.	_____	12.	_____
3.	_____	13.	_____
4.	_____	14.	_____
5.	_____	15.	_____
6.	_____	16.	_____
7.	_____	17.	_____
8.	_____	18.	_____
9.	_____	19.	_____
10.	_____	20.	_____

(20 ქულა)

3. დააჯგუფეთ ზმნები / Group the verbs:

მოვედი, შევდივარ, წავედი, ავალ, გადავედი, გავალ, შევიდა, წავალ, მივედი, დავდივარ, მიდიან, გავდივართ, ადიხარ, გადადიან, ადიან, წავიდა, მოვიდნენ, გავალ, წავლენ, წავა

ახლანდელი დრო (დღეს)	წარსული დრო (გუშინ)	მომავალი დრო (ხვალ)

(20 ქულა)

4. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით / Write the sentences with the given words:

1. მომწონს _____
2. არ მიყვარს _____
3. მივდივარ _____
4. მომეწონა _____
5. ვიცი _____
6. ვიყავი _____
7. იქნება _____
8. მინდა _____
9. ავედი _____
10. არ მოსწონს _____

(10 ქულა)

5. შეადგინეთ დიალოგი და გამოიყენეთ თავაზიანი ფორმები / Write the dialogue and use the polite forms:

(10 ქულა)

6. დაწერეთ: ჩემი დაბადების დღე.

(10 ქულა)

სულ: 100 ქულა

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

(30 ქულა)

2. ჩასვით სწორი ფორმები: Fill in the correct forms:

1. _____ მალაზიაში გუშინ მალიან ლამაზი კაბა იყიდა. (დედაჩემი)
2. მალიან მინდა ვიყიდო ახალი _____. (შარვალი)
3. ან _____ ხვალ წავიკითხავ. (ჟურნალი)
4. _____ ტესტი გუშინწინ დაწერეს. (სტუდენტები)
5. _____ აინტერესებს ისტორია. (სალომე)
6. _____ სამი ენა იცის. (ანა)
7. _____ წაიკითხა ეს წიგნი? (სალომე)
8. _____ მალიან უნდა ერთი კვირით იტალიაში მოგზაურობა. (ნათია)
9. _____ დავალება ერთი საათის წინ დაწერა. (გიორგი)
10. _____ ეს ჟურნალი უკვე წაიკითხა. (მამაჩემი)

(10 ქულა)

3. დაწერეთ წინადადებები, გამოიყენეთ მოცემული ზმნები / Write the sentences. Use the given verbs:

მინდა – უნდა – ვიყიდო, ვისწავლო, ვიცეკვო, ვიცხოვრო, ვიმეცადინო, ვიმოგზაურო, წავიკითხო, დავწერო, წავიდე, ვიცოდე, ვილაპარაკო
მაგალითი: მე მაინტერესებს ქიმია, ამიტომ სამეცნიერო ტექსტებში მინდა ვიმეცადინო.
1.
2.
3.
4.
5.
6.
7.
8.
9.
10.

(10 ქულა)

4. ჩასვით სწორი ფორმები / Fill in the correct forms: -ვე / -ჯერ

1. ქართული ენის ლექცია კვირაში _____ მაქვს. (სამი)
2. მინდა ეს _____ წიგნი ვიყიდო. (ორი)
3. ძალიან მინდა მე და ჩემი _____ მეგობარი ერთად წავიდეთ სამოგზაუროდ. (ოთხი)
4. ტესტი _____ სუდენტმა კარგად დაწერა. (შვიდი)
5. სტუდენტებს არდადეგები წელიწადში _____ აქვთ. (ორი)
6. მე ვფიქრობ, _____ ტესტი კარგად დავწერე. (სამი)
7. გუშინ სამი სტატია წავიკითხე და _____ ძალიან საინტერესო იყო. (ორი)
8. მე უკვე _____ ვიყავი ამ სპექტაკლზე. (ორი)
9. დავითმა სამი ენა იცის და _____ ენაზე კითხულობს წიგნებს. (სამი)
10. სტუდენტებმა სემესტრში ტესტი _____ უნდა დაწერონ. (ორი)

(10 ქულა)

5. დააჯგუფეთ ფრაზები / Group the verbs:

გილოცავ შობას! მოგიკითხავთ დიდი სიყვარულით... წარმატებებს გისურვებ! თუ პრობლემა არ იქნება... საუკეთესო სურვილებით... რას მიირთმევთ? გილოცავთ ქალთა დღეს! დიდი პატივისცემის გრძნობით... თუ არ შეწუხდებით... გემრიელად მიირთვით!..

მილოცვა	სურვილი	თავაზიანი ფორმები	წერილის ფრაზები

(10 ქულა)

6. შეადგინეთ წინადადებები მოცემული სიტყვებით / Write the sentences with the given words:

ზმნა: ჭამა / შეჭმა(to eat) Active voice			construction
Present (აწმყო)	ვჭამ მე მას ჭამ შენ მას **ჭამს ის მას**	ვჭამთ ჩვენ მას ჭამთ თქვენ მას **ჭამენ ისინი მას**	S nom. O$_d$ – dat.
Imperfect (უწყვეტელი)	ვჭამდი მე მას ჭამდი შენ მას **ჭამდა ის მას**	ვჭამდითჩვენ მას ჭამდითთქვენ მას **ჭამდნენ ისინი მას**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვჭამდე მე მას ჭამდე შენ მას **ჭამდეს ის მას**	ვჭამდეთჩვენ მას ჭამდეთთქვენ მას **ჭამდნენ ისინი მას**	
Future (მყოფადი)	შევჭამ მე მას შეჭამ შენ მას **შეჭამს ის მას**	შევჭამთ ჩვენ მას შეჭამთ თქვენ მას **შეჭამენ ისინი მას**	
Conditional (ხოლმეობითი)	შევჭამდი მე მას შეჭამდი შენ მას **შეჭამდა ის მას**	შევჭამდითჩვენ მას შეჭამდითთქვენ მას **შეჭამდნენ ისინი მას**	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	შევჭამდე მე მას შეჭამდე შენ მას **შეჭამდეს ის მას**	შევჭამდეთჩვენ მას შეჭამდეთთქვენ მას **შეჭამდნენ ისინი მას**	
Aorist (წყვეტილი)	(შე)ვჭამე მე ის (შე)ჭამე შენ ის **(შე)ჭამა მან ის**	(შე)ვჭამეთ ჩვენ ის (შე)ჭამეთ თქვენის **(შე)ჭამეს მათ ის**	S erg. O$_d$ – nom.
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	(შე)ვჭამო მე ის (შე)ჭამო შენ ის **(შე)ჭამოს მან ის**	(შე)ვჭამოთ ჩვენ ის (შე)ჭამოთ თქვენის **(შე)ჭამონ მათ ის**	
1st Resultative (I თურმეობითი)	(შე)მიჭამია მე ის (შე)გიჭამია შენ ის **(შე)უჭამია მას ის**	(შე)გვიჭამია ჩვენ ის (შე)გიჭამიათ თქვენ ის **(შე)უჭამიათ მათ ის**	S dat. O$_d$ nom.
2nd Resultative (II თურმეობითი)	(შე)მეჭამა მე ის (შე)გეჭამა შენ ის **(შე)ეჭამა მას ის**	(შე)გვეჭამა ჩვენ ის (შე)გეჭამათ თქვენ ის **(შე)ეჭამათ მათ ის**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	(შე)მეჭამოს მე ის (შე)გეჭამოს შენ ის **(შე)ეჭამოს მას ის**	(შე)გვეჭამოსჩვენ ის (შე)გეჭამოთ თქვენ ის **(შე)ეჭამოთ მათ ის**	

- ანა ხაჭაპურს *ჭამს.*
- ანა ხილს *ჭამდა.*
- კარგი იქნება, ანა რომ ხილს *ჭამდეს.*
- ანა პურს *შეჭამს.*
- ეს რომ ახალი პური იყოს, ანა *შეჭამდა.*
- ანა რომ ამ პურს *შეჭამდეს,* კარგი იქნება.

- ანამ გუშინ ხაჭაპური *შეჭამა.*
- ანამ ეს ხაჭაპური უნდა *შეჭამოს.*
- ანას ეს ხაჭაპური არ *შეუჭამია.*
- კარგი იქნებოდა, ანას რომ ეს ხაჭაპური გუშინ *შეეჭამა.*
- მე ვისურვებ, რომ ანას ეს ხილი *შეეჭამოს..*

ზმნა: სმა (to drink) Active voice			construction
Present (აწმყო)	ვსვამ მე მას სვამ შენ მას **სვამს ის მას**	ვსვამთ ჩვენ მას სვამთ თქვენ მას **სვამენ ისინი მას**	S nom. O$_d$ – dat.
Imperfect (უწყვეტელი)	ვსვამდი მე მას სვამდი შენ მას **სვამდა ის მას**	ვსვამდით ჩვენ მას სვამდით თქვენ მას **სვამდნენ ისინი მას**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვსვამდე მე მას სვამდე შენ მას **სვამდეს ის მას**	ვსვამდეთ ჩვენ მას სვამდეთ თქვენ მას **სვამდნენ ისინი მას**	
Future (მყოფადი)	შევსვამ მე მას შესვამ შენ მას **შესვამს ის მას**	შევსვამთ ჩვენ მას შესვამთ თქვენ მას **შესვამენ ისინი მას**	
Conditional (ხოლმეობითი)	შევსვამდი მე მას შესვამდი შენ მას **შესვამდა ის მას**	შევსვამდით ჩვენ მას შესვამდით თქვენ მას **შესვამდნენ ისინი მას**	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	შევსვამდე მე მას შესვამდე შენ მას **შესვამდეს ის მას**	შევსვამდეთ ჩვენ მას შესვამდეთ თქვენ მას **შესვამდნენ ისინი მას**	
Aorist (წყვეტილი)	(შე)ვსვი მე ის (შე)სვი შენ ის **(შე)სვა მან ის**	(შე)ვსვით ჩვენ ის (შე)სვით თქვენის **(შე)სვეს მათ ის**	S erg. O$_d$ – nom.
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	(შე)ვსვა მე ის (შე)სვა შენ ის **(შე)სვას მან ის**	(შე)ვსვათ ჩვენ ის (შე)სვათ თქვენის **(შე)სვან მათ ის**	
1st Resultative (I თურმეობითი)	(შე)მისვამს მე ის (შე)გისვამს შენ ის **(შე)უსვამს მას ის**	(შე)გვისვამსჩვენ ის (შე)გისვამთ თქვენ ის **(შე)უსვამთ მათ ის**	S dat. O$_d$ nom.
2nd Resultative (II თურმეობითი)	(შე)მესვა მე ის (შე)გესვა შენ ის **(შე)ესვა მას ის**	(შე)გვესვა ჩვენ ის (შე)გესვათ თქვენ ის **(შე)ესვათ მათ ის**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	(შე)მესვას მე ის (შე)გესვას შენ ის **(შე)ესვას მას ის**	(შე)გვესვასჩვენ ის (შე)გესვათ თქვენ ის **(შე)ესვათ მათ ის**	

- ნანა წყალს *სვამს*.
- ნანა წყალს *სვამდა*.
- კარგი იქნება, ნანა რომ ბევრ წყალს *სვამდეს*.
- ნანა წყალს *შესვამს*.
- ეს რომ ცივი წყალი იყოს, ნანა *შესვამდა*.
- ნანა რომ ამ პურს *შესვამდეს*, კარგი იქნება.

- ნანამ ერთი ბოთლი წყალი *შესვა*.
- ნანამ ეს წყალი უნდა *შესვას*.
- ნანას ეს წყალი არ *შეუსვამს*.
- კარგი იქნებოდა, ნანას რომ ეს წყალი გუშინ *შეესვა*.
- მე ვისურვებ, რომ ნანას ეს წყალი *შეესვას*.

ზმნა: გაღვიძება (to awake) Medial voice			construction
Present (აწმყო)	ვიღვიძებ მე იღვიძებ შენ **იღვიძებს ის**	ვიღვიძებთ ჩვენ იღვიძებთ თქვენ **იღვიძებენ ისინი**	
Imperfect (უწყვეტელი)	ვიღვიძებდი მე იღვიძებდი შენ **იღვიძებდა ის**	ვიღვიძებდით ჩვენ იღვიძებდით თქვენ **იღვიძებდნენ ისინი**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვიღვიძებდე მე იღვიძებდე შენ **იღვიძებდეს ის**	ვიღვიძებდეთ ჩვენ იღვიძებდეთ თქვენ **იღვიძებდნენ ისინი**	**S nom.**
Future (მყოფადი)	გავიღვიძებ მე გაიღვიძებ შენ **გაიღვიძებს ის**	გავიღვიძებთ ჩვენ გაიღვიძებთ თქვენ **გაიღვიძებენ ისინი**	
Conditional (ხოლმეობითი)	გავიღვიძებდი მე გაიღვიძებდი შენ **გაიღვიძებდეს ის**	გავიღვიძებდით ჩვენ გაიღვიძებდით თქვენ **გაიღვიძებდნენ ისინი**	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	გავიღვიძებდე მე გაიღვიძებდე შენ **გაიღვიძებდეს ის**	გავიღვიძებდეთ ჩვენ გაიღვიძებდეთ თქვენ **გაიღვიძებდნენ ისინი**	
Aorist (წყვეტილი)	გავიღვიძე მე გაიღვიძე შენ **გაიღვიძა მან**	გავიღვიძეთ ჩვენ გაიღვიძეთ თქვენ **გაიღვიძესმათ**	**S erg.**
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	გავიღვიძო მე გაიღვიძო შენ **გაიღვიძოს მან**	გავიღვიძოთ ჩვენ გაიღვიძოთ თქვენ **გაიღვიძონ მათ**	
1st Resultative (I თურმეობითი)	გამიღვიძია მე გაგიღვიძია შენ **გაუღვიძია მას**	გაგვიღვიძია ჩვენ გაგიღვიძიათ თქვენ **გაუღვიძიათ მათ**	**S dat.**
2nd Resultative (II თურმეობითი)	გამეღვიძა მე გაგეღვიძა შენ **გაეღვიძა მას**	გაგვეღვიძაჩვენ გაგეღვიძათ თქვენ **გაეღვიძათ მათ**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	გამეღვიძოს მე გაგეღვიძოს შენ **გაეღვიძოს მას**	გაგვეღვიძოსჩვენ გაგეღვიძოთ თქვენ **გაეღვიძოთ მათ**	

- გიორგი დილით ადრე *იღვიძებს*.
- გიორგი ყოველთვის ადრე *იღვიძებდა*.
- კარგი იქნება, გიორგი რომ ადრე *იღვიძებდეს*.
- ხვალ გიორგი ადრე *გაიღვიძებს*.
- ხვალ რომ საჭირო იყოს, გიორგი *გაიღვიძებდა*.
- გიორგი ხვალ რომ ადრე *გაიღვიძებდეს*, კარგი იქნება.

- გიორგიმ გუშინ ადრე *გაიღვიძა*.
- გიორგიმ ხვალ ადრე უნდა *გაიღვიძოს*.
- გიორგის ჯერ არ *გაუღვიძია*.
- კარგი იქნებოდა, გიორგის რომ დღეს ადრე *გაეღვიძა*.
- მევისურვებ, რომ გიორგის ხვალ ადრე *გაეღვიძოს*.

ზმნა: დაძინება (to sleep) Medial voice			construction
Present (აწმყო)	ვიძინებ მე იძინებ შენ **იძინებს ის**	ვიძინებთჩვენ იძინებთთქვენ **იძინებენ ისინი**	S nom.
Imperfect (უწყვეტელი)	ვიძინებდი მე იძინებდი შენ **იძინებდა ის**	ვიძინებდით ჩვენ იძინებდით თქვენ **იძინებდნენ ისინი**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვიძინებდე მე იძინებდე შენ **იძინებდეს ის**	ვიძინებდეთ ჩვენ იძინებდეთ თქვენ **იძინებდნენ ისინი**	
Future (მყოფადი)	დავიძინებ მე დაიძინებ შენ **დაიძინებს ის**	დავიძინებთ ჩვენ დაიძინებთ თქვენ **დაიძინებენ ისინი**	
Conditional (ხოლმეობითი)	დავიძინებდი მე დაიძინებდი შენ **დაიძინებდა ის**	დავიძინედით ჩვენ დაიძინებდით თქვენ **დაიძინებდნენ ისინი**	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	დავიძინებდე მე დაიძინებდე შენ **დაიძინებდეს ის**	დავიძინებდეთ ჩვენ დაიძინებდეთ თქვენ **დაიძინებდეწენ ისინი**	
Aorist (წყვეტილი)	დავიძინე მე დაიძინე შენ **დაიძინა მან**	დავიძინეთ ჩვენ დაიძინეთ თქვენ **დაიძინეს მათ**	S erg.
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	დავიძინო მე დაიძინო შენ **დაიძინოს მან**	დავიძინოთ ჩვენ დაიძინოთ თქვენ **დაიძინონ მათ**	
1st Resultative (I თურმეობითი)	დამიძინია მე დაგიძინია შენ **დაუძინია მას**	დაგვიძინიაჩვენ დაგიძინიათ თქვენ **დაუძინიათ მათ**	S dat.
2nd Resultative (II თურმეობითი)	დამეძინა მე დაგეძინა შენ **დაეძინა მას**	დაგვეძინაჩვენ დაგეძინათ თქვენ **დაეძინათ მათ**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	დამეძინოს მე დაგეძინოს შენ **დაეძინოს მას**	დაგვეძინოს ჩვენ დაგეძინოთ თქვენ **დაეძინოთ მათ**	

- ლაშა საღამოს ადრე ***იძინებს***.
- ლაშა ყოველთვის ადრე ***იძინებდა.***
- კარგი იქნება, ლაშამ რომ ადრე ***იძინებდეს.***
- ხვალ ლაშა ადრე ***დაიძინებს.***
- მე ვიფიქრე, ლაშა ადრე ***დაიძინებდა.***
- ლაშა ხვალ რომ ადრე ***დაიძინებდეს***, კარგი იქნება.

- ლაშამ გუშინ ადრე ***დაიძინა.***
- ლაშამ დღეს ადრე უნდა ***დაიძინოს.***
- ლაშას ჯერ არ ***დაუძინია.***
- კარგი იქნებოდა, ლაშას რომ დღეს ადრე ***დაეძინა.***
- მინდა, რომ ლაშას დღეს ადრე ***დაეძინოს.***

ზმნა: ცოდნა (to know) Medial voice			construction
Present (აწმყო)	ვიცი მე ის იცი შენ ის **იცის მან ის**	ვიცით ჩვენ ის იცით თქვენ ის **იციან მათ ის**	S erg. O nom.
Imperfect (უწყვეტელი)	ვიცოდი მე ის იცოდი შენ ის **იცოდა მან ის**	ვიცოდით ჩვენ ის იცოდით თქვენ ის **იცოდნენ მათ ის**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვიცოდე მე ის იცოდე შენ ის **იცოდეს მან ის**	ვიცოდეთ ჩვენ ის იცოდეთ თქვენ ის **იცოდნენ მათ ის**	
Future (მყოფადი)	---------- ---------- ----------	---------- ---------- ----------	
Conditional (ხოლმეობითი)	---------- ---------- ----------	---------- ---------- ----------	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	---------- ---------- ----------	---------- ---------- ----------	
Aorist (წყვეტილი)	---------- ---------- ----------	---------- ---------- ----------	
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	---------- ---------- ----------	---------- ---------- ----------	
1st Resultative (I თურმეობითი)	მცოდნია მე ის გცოდნია შენ ის **სცოდნია მას ის**	გვცოდნია ჩვენ ის გცოდნიათ თქვენ ის **სცოდნიათ მათ ის**	S dat. O nom.
2nd Resultative (II თურმეობითი)	მცოდნოდა მე ის გცოდნოდა შენ ის **სცოდნოდა მას ის**	გვცოდნოდა ჩვენ ის გცოდნოდათ თქვენ ის **სცოდნოდათ მათ ის**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	მცოდნოდეს მე ის გცოდნოდეს შენ ის **სცოდნოდეს მას ის**	გვცოდნოდეს ჩვენ ის გცოდნოდეთთ თქვენ ის **სცოდნოდეთ მათ ის**	

- დავითმა კარგად *იცის* ქართული ენა.
- დავითმა *იცოდა* ქართული ენა.
- ნეტავ დავითმა *იცოდეს* ქართული ენა.

- დავითს არ *სცოდნია* ინგლისური ენა.
- კარგი იქნებოდა, დავითს რომ *სცოდნოდა* ინგლისური ენა.
- მე ვსურვებდი, ერთ წელიწადში დავითს კარგად *სცოდნოდეს* ინგლისური ენა.

ზმნა: ლაპარაკი (to speak) Medial voice			construction
Present (აწმყო)	ვლაპარაკობ მე ლაპარაკობ შენ **ლაპარაკობს ის**	ვლაპარაკობთ ჩვენ ლაპარაკობთ თქვენ **ლაპარაკობენ ისინი**	S nom.
Imperfect (უწყვეტელი)	ვლაპარაკობდი მე ლაპარაკობდი შენ **ლაპარაკობდა ის**	ვლაპარაკობდით ჩვენ ლაპარაკობდით თქვენ **ლაპარაკობდნენ ისინი**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვლაპარაკობდე მე ლაპარაკობდე შენ **ლაპარაკობდეს ის**	ვლაპარაკობდეთ ჩვენ ლაპარაკობდეთ თქვენ **ლაპარაკობდნენ ისინი**	
Future (მყოფადი)	ვილაპარაკებ მე ილაპარაკებ შენ **ილაპარაკებს ის**	ვილაპარაკებთ ჩვენ ილაპარაკებთ თქვენ **ილაპარაკებენ ისინი**	
Conditional (ხოლმეობითი)	ვილაპარაკებდი მე ილაპარაკებდი შენ **ილაპარაკებდა ის**	ვილაპარაკებდით ჩვენ ილაპარაკებდით თქვენ **ილაპარაკებდნენ ისინი**	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	ვილაპარაკებდე მე ილაპარაკებდე შენ **ილაპარაკებდეს ის**	ვილაპარაკებდეთ ჩვენ ილაპარაკებდეთ თქვენ **ილაპარაკებდნენ ისინი**	
Aorist (წყვეტილი)	ვილაპარაკე მე ილაპარაკე შენ **ილაპარაკა მან**	ვილაპარაკეთ ჩვენ ილაპარაკეთ თქვენ **ილაპარაკეს მათ**	S erg.
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	ვილაპარაკო მე ილაპარაკო შენ **ილაპარაკოს მან**	ვილაპარაკოთ ჩვენ ილაპარაკოთ თქვენ **ილაპარაკონ მათ**	
1st Resultative (I თურმეობითი)	მილაპარაკია მე გილაპარაკია შენ **ულაპარაკია მას**	გვილაპარაკია ჩვენ გილაპარაკიათ თქვენ **ულაპარაკიათ მათ**	S dat.
2nd Resultative (II თურმეობითი)	მელაპარაკა მე გელაპარაკა შენ **ელაპარაკა მას**	გველაპარაკა ჩვენ გელაპარაკათ თქვენ **ელაპარაკათ მათ**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	მელაპარაკოს მე გელაპარაკოს შენ **ელაპარაკოს მას**	გველაპარაკოს ჩვენ გელაპარაკოთ თქვენ **ელაპარაკოთ მათ**	

- მარიამი კარგად *ლაპარაკობს* ქართულად.
- მარიამი გუშინ დიდხანს *ლაპარაკობდა* ქართულად.
- კარგი იქნება, მარიამი რომ ინგლისურად ისე კარგად *ლაპარაკობდეს*, როგორც ლაპარაკობს ქართულად.
- მარიამი ხვალ ტელევიზიაში ქართულად *ილაპარაკებს*.
- ინგლისური რომ კარგად იცოდეს, მარიამი ინგლისურად *ილაპარაკებდა* ელჩთან.
- ნეტავ მარიამი ელჩთან ქართულად *ილაპარაკებდეს*.

- მარიამმა გუშინ ტელევიზიაში ქართულად *ილაპარაკა*.
- მარიამმა ელჩთან ქართულად უნდა *ილაპარაკოს*.
- მარიამს ელჩთან ინგლისურად არ *ულაპარაკია*.
- მარიამს უნდოდა ელჩთან ქართულად *ელაპარაკა*.
- მე ვისურვებდი, რომ მალე მარიამს ისე კარგად *ელაპარაკოს* ინგლისურად, როგორც ქართულად ლაპარაკობს.

ზმნა: ყიდვა (to buy) Active voice			construction
Present **(აწმყო)**	ვყიდულობ მე მას ყიდულობ შენ მას **ყიდულობს ის მას**	ვყიდულობთ ჩვენ მას ყიდულობთ თქვენ მას **ყიდულობენ ისინი მას**	
Imperfect **(უწყვეტელი)**	ვყიდულობდი მე მას ყიდულობდი შენ მას **ყიდულობდა ის მას**	ვყიდულობდით ჩვენ მას ყიდულობდით თქვენ მას **ყიდულობდნენ ისინი მას**	
Pr. Subjunctive **(აწმყოს კავშ.)**	ვყიდულობდე მე მას ყიდულობდე შენ მას **ყიდულობდეს ის მას**	ვყიდულობდეთ ჩვენ მას ყიდულობდეთ თქვენ მას **ყიდულობდნენ ისინი მას**	**S nom.** **O$_d$ dat.**
Future **(მყოფადი)**	ვიყიდი მე მას იყიდი შენ მას **იყიდის ის მას**	ვიყიდით ჩვენ მას იყიდით თქვენ მას **იყიდიან ისინი მას**	
Conditional **(ხოლმეობითი)**	ვიყიდდი მე მას იყიდდი შენ მას **იყიდდა ის მას**	ვიყიდდით ჩვენ მას იყიდდით თქვენ მას **იყიდდნენ ისინი მას**	
Fut. Subjunctive **(მყოფადის კავშირებითი)**	ვიყიდდე მე მას იყიდდე შენ მას **იყიდდეს ის მას**	ვიყიდდეთ ჩვენ მას იყიდდეთ თქვენ მას **იყიდდნენ ისინი მას**	
Aorist **(წყვეტილი)**	ვიყიდე მე ის იყიდე შენ ის **იყიდა მან ის**	ვიყიდეთ ჩვენ ის იყიდეთ თქვენ ის **იყიდეს მათ ის**	**S erg.** **O$_d$ nom.**
2nd Subjunctive **(II კავშირებითი)**	ვიყიდო მე ის იყიდო შენ ის **იყიდოს მან ის**	ვიყიდოთ ჩვენ ის იყიდოთ თქვენ ის **იყიდონ მათ ის**	
1st Resultative **(I თურმეობითი)**	მიყიდია მე ის გიყიდია შენ ის **უყიდია მას ის**	გვიყიდია ჩვენ ის გიყიდიათ თქვენ ის **უყიდიათ მათ ის**	**S dat.** **O$_d$ nom.**
2nd Resultative **(II თურმეობითი)**	მეყიდა მე ის გეყიდა შენ ის **ეყიდა მას ის**	გვეყიდა ჩვენ ის გეყიდათ თქვენ ის **ეყიდათ მათ ის**	
3rd Subjunctive **(III თურმეობითი)**	მეყიდოს მე ის გეყიდოს შენ ის **ეყიდოს მას ის**	გვეყიდოს ჩვენ ის გეყიდოთ თქვენ ის **ეყიდოთ მათ ის**	

- თამარი ახალ სახლს *ყიდულობს.*
- თამარი შარშან ახალ სახლს *ყიდულობდა,* მაგრამ არ იყიდა.
- თამარი რომ ახალ სახლს *ყიდულობდეს,* გავიგებდი.
- თამარი მალე ახალ სახლს *იყიდის.*
- მე მეგონა, თამარი ახალ სახლს *იყიდდა.*
- ნეტავი თამარი ახალ სახლს *იყიდდეს.*

- თამარმა ახალი სახლი *იყიდა.*
- თამარმა ახალი სახლი მალე უნდა *იყიდოს.*
- თამარს ჯერ არ *უყიდია* ახალი სახლი.
- ნეტავ თამარს ახალი სახლი *ეყიდა.*
- მე ვისურვებდი, თამარს ახალი სახლი მალე *ეყიდოს.*

ზმნა: ფიქრი (to think) Medial voice			construction
Present (აწმყო)	ვფიქრობ მე ფიქრობ შენ **ფიქრობს ის**	ვფიქრობთ ჩვენ ფიქრობთ თქვენ **ფიქრობენ ისინი**	
Imperfect (უწყვეტელი)	ვფიქრობდი მე ფიქრობდი შენ **ფიქრობდა ის**	ვფიქრობდით ჩვენ ფიქრობდით თქვენ **ფიქრობდნენ ისინი**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვფიქრობდე მე ფიქრობდე შენ **ფიქრობდეს ის**	ვფიქრობდეთ ჩვენ ფიქრობდეთ თქვენ **ფიქრობდნენ ისინი**	S nom.
Future (მყოფადი)	ვიფიქრებ მე იფიქრებ შენ **იფიქრებს ის**	ვიფიქრებთ ჩვენ იფიქრებთ თქვენ **იფიქრებენ ისინი**	
Conditional (ხოლმეობითი)	ვიფიქრებდი მე იფიქრებდი შენ **იფიქრებდა ის**	ვიფიქრებდით ჩვენ იფიქრებდით თქვენ **იფიქრებდნენ ისინი**	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	ვიფიქრებდე მე იფიქრებდე შენ **იფიქრებდეს ის**	ვიფიქრებდეთ ჩვენ იფიქრებდეთ თქვენ **იფიქრებდნენ ისინი**	
Aorist (წყვეტილი)	ვიფიქრე მე იფიქრე შენ **იფიქრა მან**	ვიფიქრეთ ჩვენ იფიქრე თქვენ **იფიქრეს მათ**	S erg.
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	ვიფიქრო მე იფიქრო შენ **იფიქროს მან**	ვიფიქროთ ჩვენ იფიქროთ თქვენ **იფიქრონ მათ**	
1st Resultative (I თურმეობითი)	მიფიქრია მე გიფიქრია შენ **უფიქრია მას**	გვიფიქრია ჩვენ გიფიქრიათ თქვენ **უფიქრიათ მათ**	S dat.
2nd Resultative (II თურმეობითი)	მეფიქრა მე გეფიქრა შენ **ეფიქრა მას**	გვეფიქრა ჩვენ გეფიქრათ თქვენ **ეფიქრათ მათ**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	მეფიქროს მე გეფიქროს შენ **ეფიქროს მას**	გვეფიქროს ჩვენ გეფიქროთ თქვენ **ეფიქროთ მათ**	

- მარიამი ბევრს *ფიქრობს*.
- მარიამი ბევრს *ფიქრობდა* საქმეზე.
- ნეტავ მარიამი მხოლოდ საქმეზე *ფიქრობდეს*.
- მარიამი ამ საქმეზე ხვალ *იფიქრებს*.
- აქ რომ იყოს, მარიამი ამ საქმეზე *იფიქრებდა*.
- ნეტავ მარიამი ამ საქმეზე *იფიქრებდეს*.

- მარიამმა ამ საქმეზე ბევრი *იფიქრა*.
- მარიამმა ამ საქმეზე ბევრი უნდა *იფიქროს*.
- მარიამს ამ საქმეზე არ *უფიქრია*.
- მარიამს ამ საქმეზე უნდა *ეფიქრა*, მაგრამ არ უფიქრია.
- მე ვისურვებ, მარიამს ამ საქმეზე ბევრი *ეფიქროს*.

ზმნა: წერა / დაწერა (to write) Active voice			construction
Present (აწმყო)	ვწერ მე მას წერ შენ მას **წერს ის მას**	ვწერთ ჩვენ მას წერთ თქვენ მას **წერენ ისინი მას**	
Imperfect (უწყვეტელი)	ვწერდი მე მას წერდი შენ მას **წერდა ის მას**	ვწერდითჩვენ მას წერდითთქვენ მას **წერდნენ ისინი მას**	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვწერდე მე მას წერდე შენ მას **წერდეს ის მას**	ვწერდეთჩვენ მას წერდეთთქვენ მას **წერდნენ ისინი მას**	S nom. Od – dat.
Future (მყოფადი)	დავწერ მე მას დაწერ შენ მას **დაწერს ის მას**	დავწერთ ჩვენ მას დაწერთ თქვენ მას დაწერენ **ისინიმას**	
Conditional (ხოლმეობითი)	დავწერდი მე მას დაწერდი შენ მას **დაწერდა ის მას**	დავწერდითჩვენ მას დაწერდითთქვენ მას **დაწერდნენ ისინი მას**	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	დავწერდე მე მას დაწერდე შენ მას **დაწერდეს ის მას**	დავწერდეთჩვენ მას დაწერდეთთქვენ მას **დაწერდნენ ისინი მას**	
Aorist (წყვეტილი)	დავწერე მე ის დაწერე შენ მას **დაწერა მან ის**	დავწერეთჩვენის დაწერეთ თქვენ ის **დაწერეს მათ ის**	S erg. Od – nom.
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	დავწერო მე ის დაწერო შენ მას **დაწეროს მან ის**	დავწეროთჩვენის დაწეროთ თქვენ ის **დაწერონ მათ ის**	
1st Resultative (I თურმეობითი)	დამიწერია მე ის დაგიწერია შენ ის **დაუწერია მას ის**	დაგვიწერია ჩვენ ის დაგიწერიათ თქვენ ის **დაუწერიათ მათ ის**	S dat. Od nom.
2nd Resultative (II თურმეობითი)	დამეწერა მე ის დაგეწერა შენ ის **დაეწერა მას ის**	დაგვეწერა ჩვენ ის დაგეწერათ თქვენ ის **დაეწერათ მათ ის**	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	დამეწეროს მე ის დაგეწეროს შენ ის **დაეწეროს მას ის**	დაგვეწეროსჩვენ ის დაგეწეროთ თქვენ ის **დაეწეროთ მათ ის**	

- დავითი წერილს ***წერს***.
- დავითი გუშინ წერილს ***წერდა***.
- ნეტავ ახლა ის წერილს ***წერდეს***.
- დავითი ხვალ წერილს ***დაწერს***.
- ოთახში რომ მარტო იყოს, დავითი წერილს დღეს ***დ*** ***აწერდა***

ზმნა: კითხვა / წაკითხვა(to read)Active voice			construction
Present (აწმყო)	ვკითხულობ მე მას კითხულობ შენ მას კითხულობს ის მას	ვკითხულობთ ჩვენ მას კითხულობთ თქვენ მას კითხულობენ ისინი მას	S nom. O$_d$ – dat.
Imperfect (უწყვეტელი)	ვკითხულობდი მე მას კითხულობდი შენ მას კითხულობდა ის მას	ვკითხულობდითჩვენ მას კითხულობდითთქვენ მას კითხულობდნენ ისინი მას	
Pr. Subjunctive (აწმყოს კავშ.)	ვკითხულობდე მე მას კითხულობდე შენ მას კითხულობდეს ის მას	ვკითხულობდეთჩვენ მას კითხულობდეთთქვენ მას კითხულობდნენ ისინი მას	
Future (მყოფადი)	წავიკითხავ მე მას წაიკითხავ შენ მას წაიკითხავსისმას	წავიკითხავთ ჩვენ მას წაიკითხვათ თქვენ მას წაიკითხავენისინიმას	
Conditional (ხოლმეობითი)	წავიკითხავდი მე მას წავიკითხავდი შენ მას წავიკითხავდა ის მას	წავიკითხავდითჩვენ მას წავიკითხავდითთქვენ მას წავიკითხავდნენ ისინი მას	
Fut. Subjunctive (მყოფადის კავშირებითი)	წავიკითხავდე მე მას წავიკითხავდე შენ მას წავიკითხავდეს ის მას	წავიკითხავდეთჩვენ მას წავიკითხავდეთთქვენ მას წავიკითხავდნენ ისინი მას	
Aorist (წყვეტილი)	წავიკითხე მე ის წაიკითხე შენ მას წაიკითხა მან ის	წავიკითხეთჩვენის წაიკითხეთ თქვენ ის წაიკითხეს მათ ის	S erg. O$_d$ – nom.
2nd Subjunctive (II კავშირებითი)	წავიკითხო მე ის წაიკითხო შენ მას წაიკითხოს მან ის	წავიკითხოთჩვენის წაიკითხოთ თქვენ ის წაიკითხონ მათ ის	
1st Resultative (I თურმეობითი)	წამიკითხავს მე ის წაგიკითხავს შენ ის წაუკითხავს მას ის	წაგვიკითხავსჩვენ ის წაგიკითხავთ თქვენ ის წაუკითხავთ მათ ის	S dat. O$_d$ nom.
2nd Resultative (II თურმეობითი)	წამეკითხა მე ის წაგეკითხა შენ ის წაეკითხა მას ის	წაგვეკითხაჩვენ ის წაგეკითხათ თქვენ ის წაეკითხათ მათ ის	
3rd Subjunctive (III თურმეობითი)	წამეკითხოს მე ის წაგეკითხოს შენ ის წაეკითხოს მას ის	წაგვეკითხოსჩვენ ის წაგეკითხოთ თქვენ ის წაეკითხოთ მათ ის	

- მარიამი წიგნს კითხულობს .
- მარიამი ამ წიგნს გუშინ კითხულობდა.
- შეიძლება ახლა ის წიგნს კითხულობდეს.
- მარიამი ხვალ წაიკითხავს ამ წიგნს.
- ოთახში რომ მარტო იყოს, მარიამი წიგნს დღეს წაიკითხავდა.
- მარიამი რომ ამ წიგნს წაიკითხავდეს, კარგი იქნება.

- მარიამმა ეს წიგნი გუშინ წაიკითხა
- მარიამმა წიგნი უნდა წაიკითხოს.
- მარიამს ეს წიგნი ჯერ არ წაუკითხავს.
- კარგი იქნებოდა, მარიამს რომ ეს წიგნი გუშინ წაეკითხა.
- მე ვუსურვებ, რომ მარიამს ეს წიგნი მალე წაეკითხოს.

ნაწილი 11

დამატებით საკითხავი მასალა

Additional reading texts

თანხმოვანთა სისტემა ქართულში	Consonant System in the Georgian language	268
ანბანისშემდგომი საკითხავი მასალა	Reading materials after the alphabet	272
ანბანისშემდგომი საკითხავი მასალა - ლექსიკონი	Reading materials after the alphabet - Vocabulary	276
ლექსი ქართული ანბანისათვის	Free Verse with the Georgian Alphabet	278
ხალხური, მზე დედაა ჩემი		279
იაკონ გოგებაშვილი, ყაყაჩოსა სიწითლითა		279
ხალხური, თხამ ვენახი შეჭამა		280
გალაკტიონ ტაბიძე, ქარი ქრის		281
ანა და ია		281
ღილი ხილის ყუთში		283
გიგი და ლექსო		285
გალაკტიონ ტაბიძე, ბავშვობის დღეები		287
გალაკტიონ ტაბიძე, რომელი საათია		288
გალაკტიონ ტაბიძე, შეხედე რა ცაა		290
კუდიანი ქუდი		291
ფიდო პაპა და პატიკოს ფაფა		293
გალაკტიონ ტაბიძე, ბავშვობის დღეები		295
გოდერძი ჩოხელი, მთები		296
გურამ რჩეულიშვილი, მე ხომ გუშინ გაგიცანი		297
ჩითის კაბა ჩიტებით		300
რევაზ ინანიშვილი, მირანდუხტ		304

Consonants System in the Georgian language

თანხმოვანთა სისტემა ქართულში

ფ	პ
ფაფა - porridge	პაპა - grandfather
ფირი - film, tape	პირი - mouth
ფური - female of cattle	პური - bread
საფენი - nappy	საპონი - soap

თ	ტ
თარო - shelf	ტარო - corncob
თუში - inhabitant of Tusheti	ტუში - Indian ink
ჩითი - cotton	ჩიტი - bird
თივა - hay	ტივი - float

ქ	კ
ქარი - wind	კარი - door
ქუდი - cap	კუდი - tail
ქულა - mark, point	კულა - wooden vessel for drink
ქანი - ore	კანი - skin
ქერა - blonde	კერა - centre (fair)

ქაქანი - to talk in the manner	კაკანი - to cackle
ქერქი - rind, bark	კერკი - dried fruit
ქეცი -tetter	კეცი -frying pan (earthenware)
ქალია -she is a woman	კალია - grasshopper

ც	წ
ცელი - scythe	წელი - 1. Year; 2.waist.
ცული - axe	წული - child (old form)
ცილი - slander	წილი - share
ცვარი - dew	წვერი - 1. beard; 2. peak.
ცურავს - he swims	წურავს - he squeezes

ჩ	ჭ
ჩალა - straw, hay	ჭალა - grove
ჩირი - dried fruit	ჭირი - plague, misfortune
ჩია - very thin and small	ჭია - worm
ჩაი - tea	ჭა - well
ჩანჩურა - slob	ჭანჭური - kind of plum

კ	ყ
კაკანი - to cackle	ყაყანი - to make a hubbub
კივილი - loud cry (woman's)	ყივილი - to crow (cock's)
კეფა - back of the head	ყეფა - to bark
კვალი - footprint	ყვავილი - flower

გ	ღ
გორი - hill; town in east Georgia	ღორი - pig
გვარი - surname	ღვარი - torrent
გომი - place name	ღომი - hominy
გონიერი - clever	ღონიერი - strong
გერი - stepchild	ღერი - stalk
გუგუნი - to buzz	ღუღუნი - to coo

ღ	ყ
ღია -open	ყია - windpipe
ღელე - small river	ყელი - throat
ღვარი - torrent	ყავარი - lath
ღამე - night	ყამა - dagger

წაიკითხეთ:

თარო - ტარო	ღრმა - ყრმა	ბაბა - ფაფა - პაპა
ქუდი - კუდი	ღორი - ყორე	გუდა - ქუდი - კუდი
გორი - ღორი	ყელი - ხელი	დარი - ტარი - თარი
სარი - ზარი	ყვავი - ხვავი	ძერა - ცერა - წერა
ღრუ - ყრუ	ყმა - ხმა	ჯარი - ჩირი - ჭირი
	ყანა- ხანა	

Reading materials after the alphabet
ანბანისშემდგომი საკითხავი მასალა

ბ	ბებია. აი ბებია. ეს ჩემი ბებიაა. ბაბუა. ჩემი ბაბუა. ჩემი ბაბუა ძალიან კეთილია. ბავშვი. აი ბავშვი. ეს ბავშვი ჩემი ძმაა.
გ	გემი. აი გემი. ეს გემი ძალიან დიდია. გედი. აი გედი. ეს გედი ძალიან ლამაზია. გუგა. გუგა ბიჭია. გუგა ძალიან კარგი ბიჭია.
დ	დედა. აი დედა. დედაჩემი ძალიან ლამაზია. დავითი. ბატონი დავითი. ბატონი დავითი მაღალი კაცია. დემეტრე. დემეტრე ბიჭია. პატარა დემეტრე ჭკვიანი ბიჭია.
ვ	ვარდი. ვარდი ყვავილია. ვარდი ძალიან ლამაზი ყვავილია. ვარ. მე ვარ სალომე. სალომეს ვარდი ძალიან უყვარს. ვეფხვი. ვეფხვი ცხოველია. ვეფხვი გარეული ცხოველია.
ზ	ზაზა. ზაზა ბიჭია. ზაზა ძალიან ღონიერი ბიჭია. ზებრა. ზებრა ცხოველია. ზებრა გარეული ცხოველია. ზღვა. შავი ზღვა. საქართველოში შავი ზღვაა.
თ	თითი. ათი თითი. ადამიანს ათი თითი აქვს. თასი. აი თასი. თასში ღვინო ასხია. ათასი. ათასი გვერდი. წიგნში ათასი გვერდია.

კ	კოტე. კოტე ბიჭია. კოტე ძალიან კარგი ბიჭია. კობა. კობაც ბიჭია. კობა გონიერი ბიჭია. კატო. კატო გოგოა. კატო ძალიან კოხტა გოგოა.
ლ	ლალი. ქალბატონი ლალი. ქალბატონი ლალი ლამაზი ქალია. ლელა. ლელა გოგოა. ლელა სოფელში ცხოვრობს. ლერი. ლერი ბიჭია. ლერი ძლიერი ბიჭია.
მ	მამა. ჩემი მამა. მამაჩემი სამინისტროში მუშაობს. მამია. ბატონი მამია. ბატონი მამია მაღალია. მურმანი. მურმანი კაცია. მურმანი კაცის სახელია.
ნ	ნანა. ნანა გოგოა. ნანა ჭკვიანი გოგოა. ნათია. ეს ნათიაა. ნათია ახალგაზრდა გოგოა. ნინო. ქალბატონი ნინო. ქალბატონი ნინო უნივერსიტეტში მუშაობს.
პ	პეპელა. პეპელა ლამაზია. ჭრელი პეპელა ძალიან ლამაზია. პაპა. პაპა მოხუცია. პეტრე პაპა ძალიან მოხუცია. პური. პური გემრიელია. ცხელი პური ძალიან გემრიელია.
ჟ	ჟურნალი. საინტერესო ჟურნალი. ეს საინტერესო ჟურნალია. ჟირაფი. ჟირაფი ცხოველია. ჟირაფი გარეული ცხოველია. ჟუჟუნა. ჟუჟუნა ქალია. ჟუჟუნა ქალის სახელია.

რ	რეზო. ბატონი რეზო. ბატონი რეზო საინტერესო ადამიანია. რადიო. ეს რადიოა. ეს ძალიან ძველი რადიოა. რვეული. ეს რვეულია. ეს რვეული ჩემია.
ს	საათი. ეს საათია. ეს საათი ძალიან დიდია. სურათი. დიდი სურათი. ეს დიდი სურათი ძალიან ლამაზია. საწოლი. დიდი საწოლი. ეს დიდი საწოლი ჩემია.
ტ	ტატო. ტატო ბიჭია. ტატო ძალიან კარგი ბიჭია. ტასო. ტასო გოგოა. ტასო ძალიან კარგო გოგოა. ტურა. ტურა ცხოველია. ტურა გარეული ცხოველია.
ფ	ფაფა. ფაფა გემრიელია. ბავშვს გემრიელი ფაფა უყვარს. ფილმი. საინტერესო ფილმი. ეს ფილმი ძალიან საინტერესოა. ფერი. ლამაზი ფერი. ეს კაბა ლამაზი ფერია.
ქ	ქუდი. დიდი ქუდი. ეს ქუდი ძალიან დიდია. ქარი. ძლიერი ქარი. დღეს ძლიერი ქარია. ქერა. ქერა თმა. ტასოს ქერა თმა აქვს.
ღ	ღორი. დიდი ღორი. ეს ძალიან დიდი ღორია. ღიმილი. ლამაზი ღიმილი. ანას ლამაზი ღიმილი აქვს. ღონიერი. ღონიერი კაცი. ტასოს მამა ძალიან ღონიერია.

ყ	ყვავილი. ია ყვავილია. ია ძალიან ლამაზი ყვავილია. ყაყაჩო. ყაყაჩო ყვავილია. ყაყაჩო ძალიან ლამაზი ყვავილია. ბაყაყი. ბაყაყი მწვანეა. ბაყაყი წყალში ყიყინებს.
შ	შავი. შავი მანქანა. მე შავი მანქანა არ მომწონს. შორენა. შორენა გოგოა. შორენა გოგოს სახელია. შაქარი. შაქარი ტკბილია. ჩაიში ბევრი შაქარია.
ჩ	ჩანთა. დიდი ჩანთა. ეს დიდი ჩანთა ჩემია. ჩემი. ჩემი ჩანთა. ჩემი ჩანთა ძალიან დიდია. ჩინეთი. ჩინეთი ქვეყანაა. ჩინეთი ძალიან დიდი ქვეყანაა.
ც	ცივი. ცივი წყალი. ეს ძალიან ცივი წყალია. ცირა. ცირა გოგოა. ცირა ძალიან ლამაზი გოგოა. ცხელი. ცხელი ჩაი. ძალიან მინდა ცხელი ჩაი.
ძ	ძიძია. ძიძია ქალია. ძიძია ქალის ქართული სახელია. ძროხა. ძროხა ცხოველია. ძროხა შინაური ცხოველია. ძეხვი. ძეხვი გემრიელია. ზურას ძეხვი ძალიან უყვარს.
წ	წიგნი. ეს წიგნია. ეს ძალიან საინტერესო წიგნია. წყალი. ცივი წყალი. ეს წყალი ძალიან ცივია. წითელი. წითელი კაბა. წითელი კაბა ძალიან ლამაზია.
ჭ	ჭიქა. ეს ჭიქაა. ეს ლამაზი ჭიქაა. ჭამს. ბიჭი ჭამს. ბიჭი საჭმელს ჭამს. საჭმელი. გემრიელი საჭმელი. ეს საჭმელი გემრიელია.

ხ	ხათუნა. ხათუნა გოგოა. ხათუნა ლამაზი გოგოა. ხელი. ორი ხელი. ადამიანს ორი ხელი აქვს. ხუთი. ხუთი ოთახი. სახლში ხუთი ოთახია.
ჯ	ჯვარი. ეს ჯვარია. ეს ლამაზი ჯვარია. ჯოხი. გრძელი ჯოხი.ეს ჯოხი ძალიან გრძელია. ჯაბა. ჯაბა ბიჭია. ჯაბა ძალიან ჭკვიანი ბიჭია.
ჰ	ჰავა. თბილი ჰავა. საქართველოში თბილი ჰავაა. ჰაერი. კარგი ჰაერი. მთაში კარგი ჰაერია. ჰამაკი. კარგი ჰამაკი. ჰამლეტს კარგი ჰამაკი ჰქონდა.

Reading materials after the alphabet

ანბანისშემდგომი საკითხავი მასალა

Vocabulary

გ	გება - grandmother. აი - here is. ეს - This. ჩემი - my. -ა - is. გაბუა grandfather. ძალიან - very; too. კეთილი - kind. გავშვი - child. ძმა - brother.
გ	გემი - ship. დიდი - big. გედი - swan. ლამაზი - beautiful. გუგა - male name. ბიჭი - boy. კარგი - good.
დ	დედა - mother. დედაჩემი - my mother. დავითი - male name. ბატონი - Mister. მაღალი - tall. კაცი - man. დემეტრე - male name. პატარა - little. ჭკვიანი - clever.
ვ	ვარდი - rose. ყვავილია - flower. მე ვარ - I am. სალომე - female name. უყვარს - loves. ვეფხვი - tiger. ცხოველია - animal. გარეული - wild.
ზ	ზაზა - male name. ღონიერი - strong. ზებრა - zebra. ცხოველი - animal. გარეული - wild. ზღვა - sea. შავი ზღვა - Black Sea. საქართველო - Georgia. -ში - in.
თ	თითი - finger. ათი - ten. ადამიანი - man. ადამიანის - dative case. აქვს - has. თასი - bowl. ღვინო - vine. ასხია - filled.

	ათასი - thousand. გვერდი - page. წიგნში - in the book.
კ	კოტე - male name. კარგი - good. კობა - male name. -ც - also, too. გონიერი - smart. კატო - female name. გოგო - girl. კოხტა - elegant.
ლ	ლალი - female name. ქალბატონი - Mrs. ქალი - woman. ლელა - female name. სოფელში - in the village. ცხოვრობს - lives. ლერი - male name. ძლიერი - strong.
მ	მამა - father. მამაჩემი - my father. სამინისტროში - at the ministry. მუშაობს - works. მამია - male name. მაღალი - tall. მურმანი - male name. კაცის - man's. სახელი - name.
ნ	ნანა - female name. ჭკვიანი - clever. ნათია - female name. ახალგაზრდა - young. ნინო female name. უნივერსიტეტში - at university. მუშაობს - works.
პ	პეპელა - butterfly. ჭრელი - motley, colored. პაპა - grandfather. მოხუცია - old man. პეტრე - male name. პური - bread. გემრიელია - delicious. ცხელი - hot.
ჟ	ჟურნალი - magazine. საინტერესო - interesting. ჟირაფი - giraffe. ცხოველია - animal. გარეული - wild. ჟუჟუნა - female name. სახელი - name.
რ	რეზო - male name. ბატონი რეზო. საინტერესო - interesting. რადიო - radio. ეს რადიოა. ძველი - old. რვეული - notebook. ჩემია - is my.
ს	საათი - clock. დიდი - big. სურათი - picture. საწოლი - bed. დიდი - large.
ტ	ტატო male name. კარგი - good. ტასო - female name. ტურა - jackal. ცხოველია - animal. გარეული - wild.
ფ	ფაფა - porridge. გემრიელია - delicious. ბავშვს - child (dat.) უყვარს - loves. ფილმი - film. საინტერესო - interesting. ფერი - color. ლამაზი - nice. კაბა - dress.
ქ	ქუდი - cap. დიდი - large. ქარი - wind. ძლიერი - strong. დღეს - today. ქერა - blond, fair. თმა - hair. ტასო - female name. აქვს - has.
ღ	ღორი - pig. ღიმილი - smile. ლამაზი - beautiful. ანა - female name. აქვს - has. ღონიერი - strong. კაცი - man. ტასო - female name.

ყ	ყვავილი - flower. ია - violet. ყაყაჩო - poppy. ბაყაყი - frog. მწვანეა - green. წყალში - in the water. ყიყინებს- croaking.
შ	შავი - black. მანქანა - car. არ მომწონს - I don't like. შორენა - female name. გოგო - girl. სახელი - name. შაქარი - sugar. ტკბილი - sweet. ჩაი - tea. ბევრი - a lot of, much.
ჩ	ჩანთა - bag. დიდი - big. ჩემი - my. ჩინეთი - China. ქვეყანა - country.
ც	ცივი - cold. წყალი - water. ცხელი - hot. მინდა - I want. ცირა - female name.
ძ	ძიძია - female name. ქალი - women. ქართული - Georgian. ძროხა - caw. ცხოველი - animal. შინაური - domestic. ძეხვი - sausage. გემრიელია - delicious. ზურა male name. უყვარს - loves.
წ	წიგნი - book. საინტერესო - interesting. წყალი - water. ცივი - cold. წითელი - red. კაბა - dress.
ჭ	ჭიქა - glass. ჭამს - eats. ბიჭი - boy. საჭმელს - food. საჭმელი - food. გემრიელი - delicious.
ხ	ხათუნა - female name. ხელი - hand. ორი - two. ადამიანi – man. აქვს - has. ხუთი - five. ოთახი - room. სახლში - in the house.
ჯ	ჯვარი - cross . ჯოხი - stick. გრძელი - long. ჯაბა - male name. ბიჭი - boy. ჭკვიანი - clever.
ჰ	ჰავა - climate. თბილი - warm. საქართველოში - in Georgia. ჰაერი - air. კარგი ჰაერი - fresh air. მთაში - in maintains. ჰამაკი - hammock. ჰამაკი. ჰამლეტს - Hamlet – male name (dat.). ჰქონდა - had.

აბგად ევზათ იკალ მანო პაჟა რასტა უფქა ღაყაშ ჩაცა ძაწა ჭახა ჯაჰა.	Here is the free verse with the Georgian Alphabet (by Akaki Shanidze) in which -ა- is additional, but it makes the pronunciation easy and helps to remember the alphabet by heart easily.

მზე დედაა ჩემი,
მთვარე - მამაჩემი,
ეს წვრილ-წვრილი ვარსკვლავები
და და ძმაა ჩემი.

ხალხური

მზე - sun	ვარსკვლავი - star
დედა - mother	ვარსკვლავები - stars (plural)
მთვარე - the moon	და - sister
მამა - father	ძმა - brother
წვრილი - small	და - and
წვრილ-წვრილი - small (here: plural form)	ხალხური - folklor

ყაყაჩოსა სიწითლითა
ყანა დაუმშვენებია,
ყმაწვილსა კარგი სწავლითა
დედა გაუხარებია.

იაკობ გოგებაშვილი

ყაყაჩო - poppy	დამშვენება - beautify, decorate
წითელი - red	ყმაწვილი - youth
სიწითლე - redness	სწავლა - learning
ყანა - cornfield	გახარება - make glad, happy

თხამ ვენახი ვენახი შეჭამა

ხალხური ლექსი

მოდი, ვნახოთ ვენახი,
რამ შეჭამა ვენახი?
მიველ, ვნახე ვენახი,
თხამ შეჭამა ვენახი.
მოდი, ვნახოთ თხა,
რამ შეჭამა თხა?
მიველ, ვნახე თხა,
მგელმა ჭამა თხა.
მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მგელი,
რამ შეჭამა მგელი?
მიველ, ვნახე მგელი,
თოფმა ჭამა მგელი.
თოფმა მგელი,
მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თოფი,
რამ შეჭამა თოფი?
მიველ, ვნახე თოფი,
ჟანგმა ჭამა თოფი.

ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი,
მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ ჟანგი,
რამ შეჭამა ჟანგი?
მიველ, ვნახე ჟანგი,
მიწამ ჭამა ჟანგი.
მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი,
მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ მიწა,
რამ შეჭამა მიწა?
მიველ, ვნახე მიწა,
თაგვმა ჭამა მიწა.
თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი,

მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.
მოდი, ვნახოთ თაგვი,
რამ შეჭამა თაგვი?
მიველ, ვნახე თაგვი,
კატამ ჭამა თაგვი.
კატამ თაგვი,
თაგვმა მიწა,
მიწამ ჟანგი,
ჟანგმა თოფი,
თოფმა მგელი,
მგელმა თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

Vocabulary	
მოდი - let us	თხამ - goat
ვნახოთ - see	მგელი - wolf
ვენახი - vineyard	თოფი - gun
რამ - what	ჟანგი - rusty
შეჭამა - ate (ჭამა - to eat)	მიწა - earth; ground
მიველ - I came	თაგვი - mouse
ვნახე - I saw	კატა - cat

გალაკტიონ ტაბიძე

ქარი ქრის

ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,
ფოთლები მიქრიან ქარდაქარ,
ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის,
სადა ხარ? სადა ხარ? სადა ხარ?
როგორ წვიმს, როგორ თოვს, როგორ თოვს,
ვერ გპოვებ ვერასდროს, ვერასდროს,
შენი მე სახება დამდევს თან
ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან...
შორი ცა ნისლიან ფიქრებს ცრის...
ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის...

Vocabulary	
ქარი - wind	თოვს - it is snowing
ქრის - it blows	ვერ გპოვებ - I could not find you
ფოთლები - leaves	ვერასდროს - never
მიქრიან - blow away	სახება - image
ქარდაქარ - following the wind	დამდევს თან – pursues me
ხე - tree, ხეთა – trees'	ყოველ დროს, ყოველთვის - always
რიგი - line, row	ყოველგან, ყველგან - everywhere
ჯარი - host of trees	შორი - far
რკალი - bow	ცა - the sky
მოხრა, ხრის - to bend, it bends	ნისლიანი - misty
სად? – Where?	ფიქრები - thoughts
როგორ? - how	ცრის - it is drizzling
წვიმს - it is raining	

ანა და ია

ერთ დიდ სოფელში პატარა გოგო ცხოვრობს. მას ანა ჰქვია. ანას დიდი ოჯახი ჰყავს: მამა, დედა, ორი ძმა, ერთი და, ბებია, ბაბუა და მამიდა.

ანას ძალიან უყვარს ყვავილები. ერთი ყვავილი კი ყველაზე ძალიან უყვარს - პატარა ქოთანში ლამაზი ლურჯი ია. ია ძალიან ლამაზია - სამი ია და ხუთი დიდი მწვანე ფოთოლი. ეს ანას საყვარელი ყვავილია.

ერთხელ ანა სახლში მარტო იყო. დედა ექიმთან წავიდა. მამა სამსახურში იყო, ძმები საბავშვო ბაღში იყვნენ. და სკოლაში იყო, ბებია და ბაბუა ბაზარში

წავიდნენ. იჯდა ანა ოთახში ფანჯარასთან და ქუჩას უყურებდა. ქუჩაში ქარი იყო. უცებ ქარმა კარი გააღო. ანა კარისკენ წავიდა. ახლა ქარმა ფანჯარაც გააღო. ანამ არ იცის, სად წავიდეს. არ იცის, ჯერ კარი უნდა დაკეტოს და მერე ფანჯარა? თუ ჯერ ფანჯარა უნდა დაკეტოს და მერე კარი?

ანამ კარი დაკეტა.

უცებ ანას საყვარელი ყვავილი გადმოვარდა. ქოთანი გატყდა. ანამ ყვავილი ხელში აიღო. ანამ ტირილი დაიწყო.

მეორე დღეს დედამ ანას დიდი ქოთანი უყიდა. ახლა ლამაზი ყვავილი დიდ ქოთანშია. მაგრამ ქოთანში ახლა ორი ია და სამი დიდი მწვანე ფოთოლია.

Vocabulary	
სოფელი - village	ყურება, უყურებდა - to look, was looking, was watching
ოჯახი - family	ქარი, ქარმა - wind (ergative)
ყვავილი, ყვავილები - flower, flowers	უცებ - suddenly
ყველაზე ძალიან - most of all	კარი - door
ქოთანი - pot, earth ware pot	ფანჯარაც - window also, too
ლურჯი - blue	გაღება, გააღო - to open, opened
ფოთოლი - leaf	კარისკენ - towards the door
საყვარელი - dear, loved, beloved	წავიდა - went
ერთხელ - once	არ იცის, სად წავიდეს - doesn't know, where to go
მარტო - alone, only one, lonely	ჯერ - at first, while, till, until
ექიმთან - to the doctor	მერე - after
სამსახურში - at work	თუ - or
იყო - was	უნდა დაკეტოს - must (should) close
საბავშვო ბაღში - kinder-garden	დაკეტვა, დაკეტა - to close, closed
ბაზარში - at the market	(
წასვლა, წავიდნენ - to go, went (pl.)	გატეხვა, გატყდა - to brake, broke
ოთახში - in the room	აღება, ხელში აიღო - to take, took in her hands
ფანჯარა - window	ტირილი დაიწყო - started crying
ფანჯარასთან – at the window	მეორე დღეს - the next day
ჯდომა, იჯდა - to sit, was sitting	ყიდვა, უყიდა - to buy, bought
ქუჩა - street	

ღილი ხილის ყუთში

რა ძნელია მოძებნო ღილი ხილის ყუთში...

აი, ერთხელ რა მოხდა: ბებიამ ანას ძალიან ლამაზი ჟაკეტი აჩუქა: ჟაკეტი თეთრი იყო, მაგრამ სხვადასხვა ფერის თორმეტი ღილი ჰქონდა: პირველი – წითელი, მეორე – ყვითელი, მესამე – მწვანე, მეოთხე – ლურჯი, მეხუთე – თეთრი, მეექვსე –ვარდისფერი, მეშვიდე – ცისფერი, მერვე – სტაფილოსფერი, მეცხრე – ყავისფერი, მეათე – იისფერი, მეთერთმეტე – ვერცხლისფერი, მეთორმეტე – ოქროსფერი... უჰ, ჩამოთვლაც კი ძნელია, მაგრამ მართლა ძალიან ლამაზი იყო: თეთრი ჟაკეტი და ფერადი ღილები.

ერთხელ საღამოს მამა სამსახურიდან მოვიდა და ყუთით ხილი მოიტანა. ანას თავისი ლამაზი ჟაკეტი ეცვა. ძალიან აინტერესებდა, რა იყო ყუთში. ყუთზე დაფარებული ქაღალდი გადასწია და... უცებ ანას წითელი ღილი ხილით სავსე ყუთში ჩავარდა. ყუთში წითელი ვაშლები იყო... აბა, როგორია მოძებნო წითელ ვაშლებში პატარა წითელი ღილი!.. ანა შეწუხებული უყურებდა ხან დედას, ხან – მამას.

– არა უშავს, სათითაოდ ამოვიღოთ ვაშლები და შენს წითელ ღილსაც ვიპოვით, – უთხრა დედამ.

დაიწყეს ვაშლების ამოღება: ერთი ვაშლი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, თერთმეტი, თორმეტი... ასე ამოიღეს ოცდაათი დიდი წითელი ვაშლი. და ღილიც იპოვეს.

მაგრამ, აბა, როგორია მოძებნო წითელი ღილი ხილით სავსე დიდ ყუთში! ძნელია, ანამ კი იპოვა და ახლა მის ჟაკეტს ისევ თორმეტი ფერადი ღილი აქვს: პირველი – წითელი, მეორე – ყვითელი, მესამე – მწვანე, მეოთხე – ლურჯი, მეხუთე – თეთრი, მეექვსე –ვარდისფერი, მეშვიდე – ცისფერი, მერვე – სტაფილოსფერი, მეცხრე – ყავისფერი, მეათე – იისფერი, მეთერთმეტე – ვერცხლისფერი, მეთორმეტე – ოქროსფერი....

Vocabulary	
ღილი - button	ხან - now; sometimes
ხილი - fruit	არა უშავს - here: don't worry
ხილის ყუთი - fruit's box	სათითაოდ - one by one
რა ძნელია - it is so difficult!..	ამოღება, ამოვიღოთ - to take out, take out
მოძებნა, მოძებნო - to look for, (it is so difficult) to look for	პოვნა, ვიპოვით - to find, will find
ერთხელ - once	უთხრა - told
რა - what	დაწყება, დაიწყეს - to start, to begin, started
მოხდა - happened	ამოღება - take out (inf.)
ჩუქება, აჩუქა - to gift, gifted, made a present	ასე - so, like this
სხვადასხვა ფერის - different colors	ამოიღეს - took out
ჩამოთვლა - to list, to enumerate	პოვნა, იპოვა, იპოვეს - to find, found
ძნელია - It's difficult	ფერადი - colored
სამსახურიდან - from work	წითელი - red
ყუთით - with the box	ყვითელი - yellow
მოტანა, მოიტანა - to bring, brought	მწვანე - green
თავისი - her (own)	ლურჯი - blue
ეცვა - put on	თეთრი - white
ყუთზე - on the box	ვარდისფერი - pink, rose-colored
დაფარებული - covered with	ცისფერი - blue, sky-blue
ქაღალდი - paper	სტაფილოსფერი - orange (carrot-colored)
გადაწევა, გადასწია - to move aside, moved aside	ყავისფერი - brown (coffee-colored)
უცებ - suddenly	იისფერი - violet
ხილით - with fruit (instrumental case)	ვერცხლისფერი - silvery
სავსე - full, packed	ოქროსფერი - golden
ჩავარდნა, ჩავარდა - to fall down, fell down, dropped	
როგორია - How is it	
როგორია მოძებნო - it is not easy to find	
შეწუხებული - troubled	
ყურება, უყურებდა - to look, to watch, was watching	

გიგი და ლექსო

გიგი და ლექსო ძმები არიან. ყველა ასე ამბობს: გიგი გონიერია, ლექსო ღონიერია.

ერთხელ მამამ ძმები სათევზაოდ წაიყვანა. მამამ გიგის ანკესი მისცა და უთხრა:

- გიგი, ანკესი დაიჭირე და ჩუმად იყავი. შენ გონიერი ბიჭი ხარ! თევზი მალე მოვა.

ლექსოსთან ერთად კარვის გაშლა დაიწყო. მამამ თქვა:

- აქ კარავი გავშალოთ. მოდი, ლექსო, შენ მომეხმარე, შენ ღონიერი ბიჭი ხარ!

გიგი ნაპირთან ჩუმად იჯდა და ხელში ანკესი ეჭირა. იჯდა და უცდიდა თევზის გამოჩენას.

ლექსო მამას ეხმარებოდა. მამამ კარავი ვერ გაშალა. ლექსომ უთხრა:

-აი, ასე უნდა, მამა.

მამამ თქვა:

- ლექსო, შენ ღონიერი და ძალიან გონიერი ბიჭი ხარ.

უცებ გიგიმ იყვირა:

- თევზი, ძალიან დიდი თევზი!

ამოსწია ანკესი გიგიმ და ნაპირზე ძალიან დიდი თევზი დავარდა.

მამა გიგისთან მივიდა და უთხრა:

- გიგი, შენ გონიერი ბიჭი ხარ და ასევე ძალიან ღონიერი, რა დიდი თევზი დაიჭირე!

ამის შემდეგ ყველა ამბობს:

- გიგი ძალიან გონიერი და ღონიერია!
- ლექსო ძალიან ღონიერი და გონიერია!

Vocabulary	
ძმა, ძმები - brother, brothers	დაწყება, დაიწყო - to start, to begin, started
ყველა - everybody	მოდი - come
ასე ამბობს - so say	მოხმარება, მომეხმარე - to help, help me
გონიერი - clever	ნაპირი, ნაპირთან - bank, at the bank
ღონიერი - strong, powerful	დაჭერა, ეჭირა - to hold, was holding
ერთხელ - once	ჯდომა, იჯდა - to sit, was sitting
სათევზაოდ - for fishing	ცდა, უცდიდა - to wait, was waiting for
წაყვანა, წაიყვანა - to take with, took with him	გამოჩენა(ს) - appearance
ანკესი - rod, fishing rod	მოხმარება, ეხმარებოდა - to help, was helping
მიცემა, მისცა - to give, gave	გაშლა, ვერ გაშალა - to put up, could not put up the tent
თქმა, უთხრა - to tell, told	ასე უნდა - You should do such a way, so...
დაიჭირე - hold!	უცებ - suddenly
ჩუმად იყავი - Be silent!	ყვირილი, იყვირა - to shout, shouted
თევზი - fish	ამოწევა, ამოსწია - to lift, lifted, raised
მალე - soon	დავარდნა, დავარდა - to fall down, fell down
მოვა - will come	ასევე - also, too, as well
ლექსოსთან ერთად - together with Lexo	ამის შემდეგ - after this
კარავი (კარვის) – tent (genitive)	თქმა, ამბობს - to say, says
კარვის გაშლა - to put up a tent	

გალაკტიონ ტაბიძე

ბავშვობის დღეები

გაფრინდა ბავშვობის დღეები.
მინდვრები, ჭალები, ტყეები,
უეცრად მოვიდა შავებით
სხვა ბავშვი შორეულ დაბიდან.
მწუხარე ფერხულში ჩავებით
და თვალი ცრემლებმა დაბინდა,
ბალახი, მდინარე, ხეები,
დღეები, ბავშვობის დღეები.

Vocabulary	
ბავშვობა, ბავშვობის - childhood (genitive)	მწუხარე - sorrowful
დღე, დღეები - day, days	ფერხული - round dance
გაფრენა, გაფრინდა - to fly, flew	ჩაბმა, ჩავებით - were involved, here: were involved, started
მინდორი, მინდვრები - field, fields	თვალი - eye
ჭალა, ჭალები - grove	ცრემლი, ცრემლები - tear, tears
ტყე, ტყეები - forest, forests	დაბინდა (= დაფარა) – here: to be covered
უეცრად (= უცებ) – suddenly	ბალახი - grass
შავებით - in blacks	მდინარე - river
სხვა - other, another	ხე, ხეები - tree, trees
შორეულ(ი) – distant, far	
დაბა - smal town	
დაბიდან - from town, here: place	

გალაკტიონ ტაბიძე

რომელი საათია?

ახლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანაა.
გულში მწუხარებამ ღამე გაათია...
მაინც არ მასვენებს მწარე სინანული,
რომელი საათია? რომელი საათია?
ვდგევარ ფანჯარასთან, ღამე არ იცვლება,
მთელი შემოდგომა თავზე დამათია.
ახლა მხოლოდ სამი იყოს, შეიძლება.
რომელი საათია? რომელი საათია?
სამის, შეიძლება, არის მესამედი,
მაგრამ გაიხედავ, მაინც წყვდიადია,
კივის სადგურიდან ზარი მეცამეტე -
რომელი საათია? რომელი საათია?
ფიქრში გახვეულა ბნელი დერეფანი,
ღამის მეეტლე რომ ვეღარ დაატია.
ისევ ნერვიულად რეკავს ტელეფონი,
რომელი საათია? რომელი საათია?
ღმერთო, როგორ მოხდა, წვიმა მოსისხასი
თითქო შეუწყვეტი კუპრის ნაკადია,
აღარ გათენდება ღამე საზიზღარი!
რომელი საათია? რომელი საათია?
იყო შარლ ბოდლერი: "მწარე და ძვირფასი
თროგბის საათია, ღვინის საათია!" -
ასე იძლეოდა პასუხს შეკითხვაზე:
რომელი საათია?

Vocabulary	
ახლა - now	ბნელი - dark
რა თქმა უნდა - of course	დერეფანი - corridor
ძლიერ (= ძალიან) – very, too	მეეტლე - cabman
გვიანია - late, it is late	რომ -which, that
სული (სულში) - soul, spirit; in soul	ვეღარ - more, not any more
მწუხარება - sorrow	დაატია - here: did not allowed to stay (დატევა - capacity)
ღამე - night	
გათევა, ღამე გაათია - to spend night, spent night	ისევ - again
მაინც - anyway	ნერვიულად - nervously
არ მშორდება - move of away	(და)რეკვა, რეკავს - to call, to ring; is ringing
მწარე - hard, bitter	ღმერთო - O, my God!
სინანული - regret, feeling of regret	როგორ მოხდა - how did it happen
რომელი საათია? – What time is it?	წვიმა - rain
დგომა, ვდგევარ / ვდგავარ - to stand, I am standing	მოსისხარი - downfall rain
ფანჯარასთან - at the window	თითქოს - as if
შეცვლა, არ იცვლება - to change, doesn't change	შეუწყვეტი - Without interruption
მთელი - all, the whole of	კუპრი, კუპრის - tar (gen.)
შემოდგომა - Autumn	ნაკადი - flow, stream
თავზე დამათია - here has not slept all night	აღარ - not any more
მხოლოდ - only	გათენება, გათენდება - will be daylight
იყოს - can be, must be	საზიზღარი - disgustful
შეიძლება - can	შარლ ბოდლერი - French poet
გახედვა, გაიხედავ - look out (of the window)	მწარე - bitter,
წყვდიადია - darkness, blackness	ძვირფასი - dear, dearest
კივილი, კივის - to cry, crying, shouting	ღვინო, ღვინის - wine (gen.)
სადგური - station	თრობა, თრობის - drink hard, drink deep (gen.)
სადგურიდან - from the station	პასუხი - answer
ზარი - bell	შეკითხვა - question
ფიქრი, ფიქრში - though, in thoughts	ასე იძლეობა პასუხს შეკითხვაზე - on the question he answered so...
გახვევა, გახვეულა - to wrap, wrapped up	

გალაკტიონ ტაბიძე

***

შეხედე რა ცაა! –

ესაა, რაცაა.

შეხედე ამ მხარეს! –

ზღვით დილა გვახარებს.

შეხედე რა ზღვაა! –

ო, ეს ზღვა სულ სხვაა,

გულია, მიწაა...

რა ცაა, რა ცაა!

Vocabulary	
შეხედვა, შეხედე - to look, Look!	დილა - morning
რა - what	გახარება, გვახარებს - to be happy, makes us happy
ცა - sky	სულ სხვაა - makes perfect view, quite another...
ეს - this	გული - heart
ესაა რაცაა - this is what it is	მიწა - earth
ამ - this (dative case form)	რა ცაა! – what a (nice) sky!
მხარე, მხარეს - land (dat.)	
ზღვა, ზღვით - sea (instrumental case form)	

კუდიანი ქუდი

ქეთი პატარა გოგოა. ერთხელ ქეთიმ გზაში კნუტი იპოვა და სახლში მოიყვანა. კნუტი მალე ლამაზი კატა გახდა. ქეთიმ კატას კატო დაარქვა და ახლა ყველა ასე ეძახის: ქეთის კატა კატო.

კატო ძალიან ცელქი კატაა. ძალიან ხშირად აცინებს ოჯახის წევრებს. ერთხელ ასეთი რამ მოხდა:

ქეთის მამასთან უცხოეთიდან ერთი სტუმარი ჩამოვიდა. ძალიან მაღალი კაცი იყო და თავზე დიდი ქუდი ეხურა. ერთხელ მამა და სტუმარი სახლში გვიან დაბრუნდნენ. დედამ მაგიდის გაწყობა დაიწყო – ვახშამი უნდა ეჭამათ. სტუმარმა ქუდი სკამზე დადო და აბაზანაში შევიდა ხელების დასაბანად.

უცებ ქეთიმ ოთახიდან ყვირილი დაიწყო:

– დედა, მამა, ნახეთ ჩვენი სტუმრის ქუდი დადის!..ქუდს კუდი აქვს!..

დედა და მამა სამზარეულოდან გამოიქცნენ და ოთახში შემოსულებმა სიცილი დაიწყეს: სტუმრის დიდი ქუდი კატა კატოს ეხურა თავზე, თვითონ კატა აღარ იყო, მაგრამ ქუდიდან კატოს გრძელი კუდი ჩანდა.

Vocabulary	
ქეთი - female name	მაგიდის გაწყობა - set the table
პატარა - little	დაწყება, დაიწყო - to begin, began
გოგო - girl	ჭამა, უნდა ეჭამათ - to eat, have to eat
ერთხელ - once	სტუმარმა - guest (ergative case)
გზა, გზაში - way; here: on her way	სკამი, სკამზე - chair, on the chair
კნუტი - kitten	დადება, დადო - to put down, put down
პოვნა, იპოვა - to find, found	აბაზანა, აბაზანაში - bathroom, in the bath room
სახლში - at home	ხელების დასაბანად - to wash his hands
მოყვანა, მოიყვანა - to bring, brought	დაბანა, იბანს - to wash; is washing
კატა - cat	უცებ - suddenly
გახდა - became	ყვირილი - cry, shout
კატო - female name	ნახვა, ნახეთ - to see, see, look
დარქმევა, დაარქვა - name, to give a name, was named	დადის - is walking
დაძახება, ეძახის - call	გამოქცევა, გამოიქცნენ - to run, run
ძალიან - very, very much	შემოსულები, შემოსულებმა - entered in room (ergative case)
ცელქი - playful, naughty	
ხშირად - often	სიცილი - laugh
გაცინება, აცინებს - to make laugh	სტუმრის - guest (gen.)
ოჯახის წევრი, ოჯახის წევრები - family members	თვითონ - himself
ერთხელ - once	აღარ - no more
ასეთი - such	ქუდიდან - from the cap
რამ, რამე - anything; here: thing	გრძელი - long
მოხდა - happened	კუდი - tail
უცხოეთიდან - from abroad	გამოჩენა, ჩანდა - to look out; looked
სტუმარი - guest	
ჩამოვიდა - came	
მაღალი - tall	
კაცი - man	
თავზე - on the head	
ქუდი - cap	
დახურვა, ეხურა - to wear, was wearing	
დაბრუნება, დაბრუნდნენ - to come back, came back	

ფიდო პაპა და პატიკოს ფაფა

ფიდო პაპას ფრიდონი ჰქვია, მაგრამ ყველა ფიდო პაპას ეძახის – დიდიც და პატარაც. ეს სახელი მისმა შვილიშვილმა, პატარა პატიკომ, დაარქვა და მერე ყველას მოეწონა.

ფიდო პაპა და პატიკო დიდი მეგობრები არიან. ხშირად ერთად ჭამენ. პატიკოს ფაფის ჭამა არ უყვარს, მაგრამ ფიდო პაპასთან ფაფასაც გემრიელად მიირთმევს. ფიდო პაპა ფაფის ჭამისას ისეთ ზღაპრებს უყვება, ისეთ ზღაპრებს, რომ ფაფა უცებ თავდება. დედასთან ასე არ არის, ამიტომ ფაფის ჭამა ფიდო პაპასთან უყვარს პატიკოს.

ერთხელ დედამ დიდი თეფშით დაუდგა ფაფა ფიდო პაპას და პატიკოს. თვითონ მეორე ოთახში გავიდა. იქ დედას მეგობარი იყო და დედა მას ელაპარაკებოდა. ფიდო პაპამ ზღაპარი დაიწყო. ეს ზღაპარი ერთ მონადირეზე იყო. მონადირე ტყეში წავიდა და იქ დიდი დათვი შეხვდა. მონადირეს თოფი არ ჰქონდა, მაგრამ დიდი ჯოხი აიღო და თავში ჩასცხო დიდ დათვს, აი ასეო... – ხელი გაიქნია ფიდო პაპამ. პატიკომაც გაიქნია ხელი და... უცებ პატიკოს ფაფა თავისი თეფშიანად იატაკზე დავარდა. ფაფა დაიქცა. ფიდო პაპა და პატიკო უცებ გაჩუმდნენ. ხან თეფშს უყურებენ, ხან ერთმანეთს. მერე სიცილი დაიწყეს. ჩუმად გავიდნენ აბაზანაში, იატაკის ჯოხი და ტილო გამოიტანეს. იატაკიდან ფაფა სიცილით მოწმინდეს. პატიკოც იქ იყო და პაპას ეხმარებოდა. მერე ქვაბში დარჩენილი ფაფა სხვა თეფშზე ამოიღეს და ზღაპარიც გააგრძელეს. როცა დედა შემოვიდა სამზარეულოში, ზღაპარიც დამთავრებული იყო და ფაფაც. დედას ძალიან გაუხარდა:

– აი, რა კარგი ბიჭები ხართ, როგორ ბევრი ფაფა შეჭამეთ! – სიცილით უთხრა პატიკოს და ფიდო პაპას.

დედას ფაფის ამბავი არ გაუგია. აი, ასეთი მეგობრები არიან პატიკო და ფიდო პაპა.

Vocabulary	
ფრიდონი, ფიდო - male name	ჯოხი - stick
პაპა, პაპას - grandfather (dat.)	აღება, აიღო - to take, took
ჰქვია - is named	თავი, თავში - in the head
მაგრამ - but	ჩასცხო - hit
ყველა - everybody	აი, ასეო - like this
დაძახება, ეძახის - to call; call	ხელი გაიქნია - waved his hand
დიდიც და პატარაც - adults and little as well	პატიკომაც - Patiko as well (ergative)
სახელი - name	თავისი - his own
მისი, მისმა - his (ergative)	თეფშიანად together with plate
შვილიშვილი - grandchild	იატაკი, იატაკზე - on the floor
პატიკო - male name (nickname)	დავარდნა, დავარდა - to fall down, fell
დარქმევა, დაარქვა - to give the name; gave the name	დაქცევა, დაიქცა - spill, spilled
მერე - after	გაჩუმება, გაჩუმდნენ - keep silent, kept silent
მოწონება,მოეწონა - to like, liked	ხან - now here, now there
მეგობარი, მეგობრები - friend (pl.)	ყურება, უყურებენ - to look, looked
ფაფა, ფაფის - poridge (gen.)	ერთმანეთს უყურებენ - looked each other
ჭამა - to eat	სიცილი - laugh
პაპასთან - with grandfather	ჩუმად - silently
გემრიელად - appetizingly	აბაზანაში - in the bathroom
მიირთმევს - eats (polite verb)	იატაკის ჯოხი - stick floor
ჭამისას - mealtimes, eating	ტილო - linen
ზღაპარი, ზღაპრებს - tale (dat. pl.)	გამოტანა, გამოიტანეს - take out, took out
უცებ - suddenly	იატაკიდან - from the floor
გათავება, თავდება - to finish, finishes	მოწმენდა, მოწმინდეს - to clean, cleaned
ამიტომ - that's why	დახმარება, ეხმარებოდა - to help, helped
უყვარს - loves	ქვაბი, ქვაბში - in the pot
თეფში, თეფშით - plate (instrumental)	დარჩენილი - was left
დადგმა, დაუდგა - to put, place	სხვა - other, another
თვითონ - himself	ამოღება, ამოიღეს -to take out, took out
ლაპარაკი, ელაპარაკებოდა - to talk, talked	გაგრძელება, გააგრძელეს - to continue, continued
დაწყება, დაიწყო - to begin, began	სამზარეულო, სამზარეულოში - in the kitchen
მონადირე, მონადირეზე - about hunter	დამთავრებული - finished
ტყე, ტყეში - in the forest	გაუხარდა - was happy
დათვი - bear	ამბავი - story
შეხვედრა, შეხვდა - to meet, met	გაგება, არ გაუგია - to hear, not heard of
თოფი - gun	
ჰქონდა - had	

გალაკტიონ ტაბიძე

წყალტუბოდან ქუთაისში...

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს, ვინა ხარო,
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,
არ უთხრა კი - ვისი,
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

Vocabulary	
წყალტუბო, წყალტუბოდან - The small city in the west of Georgia	პასუხი, უპასუხე - to answer, answer him
ქუთაისი, ქუთაისში - The big city in the west of Georgia	რომ - that
მიმავალი, მიმავალო - going; here: blowing	სუნთქვა - breething
ქარი, ქარო - wind (vocative case form)	თქმა, უთხრა - to tell, told
თუ - if	კი -
მაისი, მაისის - May (genitive case form)	ვისი - whose
ქუთაისი, ქუთაისმა - Kutaisi (genitive case form)	ისე, ისეც - here: anyway
შეკითხვა, გკითხოს - to ask, asks you	გრძნობა, იგრძნობს - to feel, will feel
ვინ, ვინა - who (with emphatic particle -ა)	ჩემი - my
ხარ, ხარო - are (you) (with indirect speech particle -ო)	

გოდერძი ჩოხელი

მთები

მთები,
საწუთროს დევები,
მხარგაშლილები, მაღლები,
არაგვზე წყლის დასალევად
ჩამოსულები,
დამსხდრები.

Vocabulary	
მთა, მთები - mountain (pl.)	არაგვი, არაგვზე - river Aragvi
საწუთრო - transient world	წყალი, წყლის - water (genitive)
დევი, დევები - giant, devi, Georgian fairy tale character	დალევა, დასალევად - to drink, for drinking
მხარი - shoulder	ჩამოული, ჩამოსულები - come down
გაშლილი - spread	დასხდომა, დამსხდარი, დამსხდრები - to sit, sitting (pl.)
მხარგაშლილი, მხარგაშლილები - here: big	
მაღალი, მაღლები - high, tall (pl.)	

გურამ რჩეულიშვილი

მე ხომ გუშინ გაგიცანი..

- ხედავ, რა ახლოა. -აბა? -აგერ, აგერ იქ. -როდის მივალთ? -ერთ საათში. -მე არ მინდა. -რატომ? -მეშინია. -რისი? -არაფრის, ისე. -რა ისე? -ნუ წავალთ, რა. -აბა, რა ვქნათ. -აქ დავსხდეთ. -კარგი. მდელო იყო მწვანე. ბალახი რბილი. -იცი, რა? -არა. -როგორ გითხრა, არვიცი. -რა უნდა მითხრა? -იცი, რა? -ხო გითხარი, არა-მეთქი, ოი, რა დიდი ხელი გაქვს?! -არა, რას ამბობ. -არა, კი; ღონიერი ხარ? -არა, რას ამბობ. -რა არა, ნახე, რა კუნთები გაქვს. -იცი, რა? -არა, ხო გითხარი. -წამო რა, იქ. -სად? -აი იქ, წეღან რომ მივდიოდით. -მეშინია. -რისი? -არ ვიცი.	მე ხომ გუშინ გაგიცანი - I got acquainted with you only yesterday გაცნობა, გაგიცანი - to get acquainted with, I got acquainted with you ხომ - is that... (შე)ხედვა, ხედავ - to look, look ახლო - near აბა? – interjection: here: let me see აგერ - here (is) რატომ - why? შიში, შეშინება, მეშინია -fear, frighten, scare, I am afraid, I am scared რისი - what (for what) ისე - so რა ვქნათ? - What to do? დასხდომა, დავსხდეთ - to sit, let us sit მდელო - meadow ბალახი - grass რბილი - soft როგორ გითხრა - How to tell მითხრა - tell me -მეთქი - particle for indirect speech რას ამბობ - what are you talking about? ღონიერი - strong ნახვა, ნახე - to look, look კუნთი, კუნთები - muscle, muscles წამო (= წამოდი) – come with me რა - 1. what;2. modal particle, express request წეღან - recently

-აქ არ გეშინია?
-აქ არა.
ბიჭმა თავის თათში მოიქცია გოგოს ხელი, მერე მოუჭირა.
-მტკივა, იცი!
-რათა?
-იმიტომ, რომ ღონიერი ხარ, თანაც ამხელა ხელი გაქვს.
-ჰო, შენ პატარა მტევანი გაქვს.
-მეკი, ნახე, რა თხელია.
-აბა?
-აი.
-ჰო, მართლაც, რა თხელია, მეშინია, არ მოგტეხო.
-არც ისე სუსტია, შენ რომ გგონია.
-გინდა გატკინო?
-აბა, სცადე.
-არა გტკივა?
-არა.
-არც ახლა?
-არა.
-არც ახლა?
-არა.
-აბა, რატომ წითლდები?
-ხო ვითმენ, შენ რა გინდა.
-კარგი, გვეყო, აღარ გატკენ.
-როგორც გინდა. მართლა, იცი, რა?
-რა?
-აბა, მარცხენათი თუ მატკენ მარცხენას.
-კარგი.
-არა მტკივა.
-აბა ცრემლი რა არის?
-არ ვიცი.
-როგორ?
-ისე, არ ვიცი.
-იცი, რა?
-არა.
-ცრემლებს ვერ ვიტანთ, მეცოდები.
-მოვიწმინდო?
-არა.

თათი (აქ: =ხელი) – paw pad, here: hand
მოქცევა, მოიქცია - here: put (the boy put the girl's hand in his hands)
მერე - after
მოჭერა, მოუჭირა - to tighten; tightened
ტკენა, მტკივა - hurt, pain; It hurts me, I feel a pain
რათა (= რატომ) – why?
თანაც - and (besides)
ამხელა - such a (big)
მტევანი (= ხელი) – here: hand
თხელი - thin
მოტეხვა, მოგტეხო - to break; I'll break you
არც ისე - not so
სუსტი - weak, feeble
შენ რომ გგონია - as you think
ტკენა, გატკინო - hurt, pain; I made hurt you აბა, სცადე - try it
ტკივილი, გტკივა - hurt, pain, it hurts you, you feel a pain
გაწითლება, წითლდები - to become red; you became red
მოთმენა, ვითმენ - endure; I endure
გვეყო (=გვეყოფა) – it is enough to us
აღარ გატკენ - I'll not make you hurt any more
აღარ - any more
მართლა - really
მარცხენა - left
მტკივა - it hurts me
ცრემლი - tear
ვერ ვიტან - I hate
შეცოდება, მეცოდები - to have pity on somebody, I have pity on you
მოწმენდა, მოვიწმინდო - to wipe, wipe (my tears)

- რათა?
- მე თვითონ მოგწმენდ.
-ვაჟა!
-რა?
-ვაჟა!! თვალებზე კოცნა არ ვარგა, ცუდი ნიშანია.
-აბა რა ვქნა, ცრემლს ვინ დაგიშრობს?
-არ გინდა, სირცხვილია ასე.
-ვისი?
-არავისი, ისე.
-რა ისე?
-სირცხვილია, გეუბნები.
-განა ვინმე გვიყურებს?
-არა.
-აბა?
-შენი!
-ჩემი?
-ჰო.
-რათა?
-რა უნდა თქვა, მე ხომ გუშინ გაგიცანი.
-მერე?
-არ ვიცი, განა ასე ხდება?
-არც მე ვიცი, ალბათ.
-ვაჟა!
-რა?
-მართლა აკეთებ მაგას?
-რას?
-მაგას.
-ჰო.
-შენი არა მჯერა, მეკი მართლა ვიღებ, ვაჟა, ჰო.
-კიდე ტირი?
-არ ვიცი.
-მომეყრდენი, აი ასე.
-ვაჟა!
-რა?
-თვალებში კოცნა არ ვარგა.
ვაჟი ყვრიმალს დააცხრა, მერე ტუჩებს.
-ვაჟა!
-რა?
-სირცხვილია.
-ვისი?
-შენი.
-ჩემი რატომ?
-ისე, არვიცი; მე ხომ გუშინ გაგიცანი.

მე თვითონ - myself
მოწმენდა, მოგწმენდ - to wipe, I'll wipe you
ვაჟა - male name
თვალები, თვალებზე - eyes, on the eyes
არ ვარგა (=არ არის კარგი) – it isnotgood
კოცნა - to kiss
ცუდი - bad
ნიშანი - sign
დაშრობა, დაგიშრობს - to dry; will dry
სირცხვილია - shame
არავისი - nobody's
გეუბნები - I am telling
განა - interrogative particle, express surprise
განავინმეგვიყურებს? - Is someone watching us?
ვინმე - somebody
ყურება, გვიყურებს - to look, look us
რა უნდა თქვა - what will you say
მოხდენა, ხდება - to happen, it happens so
ალბათ - probably
კეთება, აკეთებ - to do, you do
მაგას - it
დაჯერება, მჯერა - to believe, I believe
მიღება, ვიღებ - to accept, I accept it
კიდე (=კიდევ) - again
ტირილი, ტირი - to cry, here: are you crying again?
მიყრდნობა, მომეყრდენი - to lean on, lean on me
ყვრიმალი - cheek
დაცხრომა, დააცხრა - here: to kiss passionately
ტუჩი, ტუჩები - lip, lips

ჩითის კაბა ჩიტებით[1]

თაიას დაბადების დღე მარტში აქვს. მარტში ხან ძალიან ცივა, ხან კარგი ამინდებია[2]. თაიას დაბადების დღეზეც ხან ძალიან ცივა, ხან თბილა. ერთხელ[3] თოვლიც[4] კი იყო. მარტს რას გაუგებ[5]...

თაიას ძალიან უყვარს თავისი დაბადების დღე. როცა[6] პატარა იყო, ყველა[7] სათამაშოს[8] ჩუქნიდა[9]. თან[10] ბევრი სტუმარი მოდიოდა, დედიკოს და მამიკოს[11] მეგობრები. ახლა მისი[12] მეგობრები მოდიან დაბადების დღეზე. წელს[13] კი საბავშვო ცენტრში[14] იყვნენ, ბევრი იცინეს[15], ითამაშეს[16] და იხალისეს[17].

საღამოს სახლში ბებიკო და ბაბუკო ესტუმრა[18] თაიას. ძალიან გაუხარდა[19]. ეს ძველ დაბადების დღეს ჰგავდა[20], როცა სახლში მოდიოდნენ სტუმრები და ყოველი[21] ზარის დარეკვაზე[22] იცოდა[23] თაიამ, ახალი სტუმარი მოვიდოდა[24] და ახალ საჩუქარს[25] მოუტანდა[26]. ახლაც[27] ბებიკო და ბაბუკო მოვიდნენ, მაგრამ საჩუქრის დიდი ყუთი[28] ხელში არ ეჭირათ[29]. თაიას ცოტა[30] კი

---

[1] ჩითის კაბა ჩიტებით - cotton dress with the birds
[2] ამინდი, ამინდები - weather (pl.)
[3] ერთხელ - once
[4] თოვლი - snow; თოვლიც კი - even snow
[5] მარტს რას გაუგებ - you never can understand what kind of weather will be in March
[6] როცა - when (conjunction)
[7] ყველა - everybody
[8] სათამაშო, სათამაშოს - toy (dat.)
[9] ჩუქება, ჩუქნიდა - to present, gave presents
[10] თან - with this; here: at the same time
[11] დედიკო, მამიკო, ბებიკო, ბაბუკო - diminutive forms; nouns with diminutive suffix
[12] მისი - her; თავისი - her own
[13] წელს - this year
[14] საბავშვო ცენტრი, საბავშვო ცენტრში - children's center, at the children's center
[15] სიცილი, იცინეს - to laugh, laughed
[16] თამაში, ითამაშეს - to play, played
[17] ხალისი, იხალისეს - cheerful, they spent time cheerfully
[18] სტუმრობა, ესტუმრა - to visit, visited
[19] სიხარული, გახარება, გაუხარდა - gladness, was glad (happy)
[20] მსგავსება, ჰგავდა - likeness, looked like
[21] ყოველი - every, each
[22] ზარის დარეკვა, ზარის დარეკვაზე - to call (the ring)
[23] ცოდნა, იცოდა - to know, knew
[24] მოვიდოდა - would come
[25] საჩუქარი, საჩუქარს - present, gift
[26] მოტანა, მოუტანდა - to bring, would bring
[27] ახლაც - now as well
[28] ყუთი - საჩუქრის ყუთი - box, present box
[29] ხელში არ ეჭირათ - did not hold in their hands
[30] ცოტა - a little bit

გაუკვირდა[31], მაგრამ ხომ არ იტყოდა[32]?!... დიდი ტორტის ნაჭრები[33] გამოიტანეს[34], ჩაი დაისხეს[35] და სუფრას შემოუსხდნენ[36]. დედიკომ კონიაკის პატარა სასაცილო[37] ჭიქებიც[38] დადგა[39] მაგიდაზე, მამიკომ კი ძველი კონიაკი გამოიტანა, ასე ეძახდა[40]: ჩემი ძველი კონიაკი. ბაბუკომ სადღეგრძელო[41] დალია, თაიას სადღეგრძელო, დაბადების დღე მიულოცა და დალოცა[42]. მერე ასე უთხრა:

– თაია, შენ ახლა დიდი გოგო ხარ, ათი წლის... ნახე რამდენია... – ორივე ხელი გაშალა[43] ბაბუკომ. – ჰოდა[44], საჩუქარიც უკვე შეგიძლია[45] შენ თვითონ იყიდო, რაც შენ მოგეწონება, ის. კარგი? გინდა?

თაიას ძალიან მოეწონა ეს აზრი[46], მაგრამ მაინც დედიკოს შეხედა[47]. დედიკო გაღიმებული[48] უყურებდა.

– მაღაზიებში წამყვები[49], დე[50]? – მაინც ჰკითხა[51] დედას.

– აბა რა[52], აუცილებლად[53] წაგყვები... ერთად წავიდეთ საყიდლებზე![54].. გაიცინა[55] დედამ...

ის საღამო ლამაზად გავიდა. მამიდაც მოვიდა სტუმრად და კარგი დაბადების დღე გამოვიდა[56].

---

[31] გაკვირვება, გაუკვირდა - to surprise, was surprised
[32] ხომ არ იტყოდა - would not say
[33] ნაჭერი, ნაჭრები - piece, pieces (pl.)
[34] გამოტანა, გამოიტანეს - to bring, brought (from...)
[35] დასხმა, დაისხეს - to pour, poured
[36] შემოსხდომა, შემოუსხდნენ - to sit, sat (around)
[37] სასაცილო - funny
[38] ჭიქა, ჭიქები - glass, glasses (pl.)
[39] დადგმა, დადგა - to put, put (on)
[40] დაძახება, ეძახდა - to call (to give the name), called
[41] სადღეგრძელო - toast
[42] დალოცვა, დალოცა - to bless, blessed
[43] გაშლა, გაშალა - to unbend; here: he showed by both hands
[44] ჰოდა - interjection
[45] შეგიძლა - you can
[46] აზრი - idea
[47] შეხედვა, შეხედა - to look, looked
[48] გაღიმებული - smiled
[49] წაყოლა, წამყვები - accompany, to go with somebody, accompany me
[50] დე (=დედა) – short form for mom
[51] (შე)კითხვა, ჰკითხა - to ask, asked
[52] აბა რა - interjection: of course
[53] აუცილებლად - definitely
[54] ერთად წავიდეთ საყიდლებზე - let's go together for shopping
[55] გაცინება, გაიცინა - to laugh, laughed
[56] კარგი დაბადების დღე გამოვიდა - I was good birthday

მეორე დღეს დედა და თაია მაღაზიებში[57] წავიდნენ. ბევრი იარეს[58]. ხან დედიკოს არ მოსწონდა, ხან თაიას. ბოლოს[59] ერთ მაღაზაიში შევიდნენ, პატარა მანეკენ გოგონას ულამაზესი[60] გრძელი კაბა ეცვა. ძალიან ლამაზი ფერადი[61] ჩიტები ეხატა[62]...

–აი, ეს არის ჩითის კაბა ჩიტებით... ნახე[63] რა ლამაზია! – კაბა ორივეს[64], დედიკოსაც და თაიასაც ერთნაირად[65] მოეწონათ.

–ჩითი რა არის, დე? – იკითხა თაიამ.

–ჩითი ბამბის ქსოვილს[66] ჰქვია, ასე ეძახდნენ[67] ადრე[68].

–ჰო, მართლა[69] ძალიან ლამაზია, ძალიან მომწონს... ჩითის კაბა ჩიტებით... ასე დავარქვათ[70] და ვიყიდოთ[71], კარგი[72]? – თაიამ დედას შეხედა და ხვეწნის ნიშნად[73] ყელზე თითები მიიდო[74].

–კარგი, ვიყიდოთ.

მაგრამ ასე ადვილი[75] არ იყო ყველაფერი. კაბა იმაზე ძვირი აღმოჩნდა[76], ვიდრე[77] ნაჩუქარი[78] ფული იყო. მაგრამ დედიკომ გამყიდველს რაღაც[79] უთხრა და გამყიდველმაც თაიას უცებ[80] გუშინდელი[81] დაბადების დღე მიულოცა[82], მერე კი უცნაური[83] რამე უთხრა:

---

[57] მაღაზია, მაღაზიებში - shop, in shops
[58] ბევრი იარეს - they walked much
[59] ბოლოს - at last
[60] ლამაზი, ულამაზესი - beautiful, the most beautiful
[61] ფერადი - colored
[62] დახატვა, ეხატა - to paint, was painted
[63] ნახვა, ნახე - to look, look
[64] ორივეს - both of them
[65] ერთნაირი, ერთნაირად - identical, equal
[66] ბამბის ქსოვილი - cotton fabric
[67] დაძახება, ეძახდნენ - to call, called, here: gave name
[68] ადრე - early, here: in old time
[69] მართლა - really
[70] დარქმევა, დავარქვათ - to give name, gave name
[71] ყიდვა, ვიყიდოთ - to buy, bought
[72] კარგი - OK
[73] ხვეწნის ნიშნად - to express a great request
[74] ყელზე თითები მიიდო - she put the fingers to her throat
[75] ადვილი - easy
[76] იმაზე ძვირი აღმოჩნდა - was more expensive
[77] ვიდრე - then
[78] ნაჩუქარი - gifted
[79] რაღაც - something
[80] უცებ - suddenly
[81] გუშინდელი - yesterday's
[82] მილოცვა, მიულოცა - congratulation, congratulated
[83] უცნაური - strange

–ამ კაბას იმ ფასად მოგცემთ[84], რამდენიც შენ გაქვს და ეს ჩვენგანაც[85] იქნება შენი დაბადების დღის საჩუქარი!

დედასაც გაეცინა და თაიასაც. გამყიდველმა დიდ ლამაზ პარკში[86] ჩაუდო[87] ლამაზი ჩიტებიანი[88] ჩითის კაბა და მაღაზიიდან ბედნიერები გამოვიდნენ.

იმის შემდეგ, როცა[89] თაია ამ კაბას იცვამს[90], ყოველთვის[91] ახსენდება[92]: ეს ლამაზი ჩითის კაბა ჩიტებით პირველი კაბაა, რომელიც[93] თვითონ იყიდა, თან საყვარელი ადამიანებისგან[94] და უცნობი კეთილი[95] გამყიდველისგან ნაჩუქარი!

---

[84] იმ ფასად მოგცემ - I'll give for that price
[85] ჩვენგანაც - form us
[86] პარკი, პარკში - plastic bag, in the plastic bag
[87] ჩადება, ჩაუდო - to put into, put into
[88] ჩიტებიანი - with birds
[89] როცა - when
[90] ჩაცმა, იცვამს - to wear, is wearing
[91] ყოველთვის - always
[92] გახსენება, ახსენდება - to remember, remembers
[93] რომელიც - which, what
[94] ადამიანი, ადამიანებისგან - human being, here: person, from the persons (pl.)
[95] კეთილი - kind

რევაზ ინანიშვილი

მირანდუხტ

მაღაზიაში სამი განყოფილება[1] იყო, სამი გამყიდველი[2] მუშაობდა[3], ორი ქალი - მარო და მარგალიტა, ერთიც კიდევ კაცი - გერონტი.

შემოვიდა პატარა გოგონა. იქნებოდა[4] ათი თუ თერთმეტი წლისა, გერონტის განყოფილებასთან მივიდა, მოხუც ქალს ჰკითხა:

- ბოლო[5] თქვენ ბრძანდებით?

- მე ვარ, შვილო[6].

გოგონა მორჩილად[7] გაჩერდა[8] მის უკან[9].

რიგი[10] დიდი არ იყო, ხუთი თუ[11] ექვსი კაცი. არც ბევრ-ბევრს[12] ყიდულობდნენ. სწრაფად[13] მიიწევდნენ წინ[14].

მოხუცმა ქალმა ააწონინა[15] ნახევარი კილო ძეხვი[16] „მოყვარულთა“, ორასი გრამი ყველი „რუსეთული“, გამოართვა[17] ერთიც ორმოცდაორ კაპიკად ღირებული[18] მდოგვი[19]. გერონტიმ მარჯვედ[20] ჩამოყარა[21] კოჭები საანგარიშოზე[22] და მოხუც ქალს უთხრა:

- ორი და ოთხმოცი! - მოხუცმა ქალმა სამმანეთიანი[23] მიაწოდა[24].

- ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, - თქვა პატარა გოგონამ.

---

[1] განყოფილება - section
[2] გამყიდველი - seller
[3] მუშაობა, მუშაობდა - work, worked
[4] იქნებოდა - would be
[5] ბოლო - the last
[6] შვილი, შვილო - child, my child - address form
[7] მორჩილი, მორჩილად - obedient, obediently
[8] გაჩერება, გაჩერდა - to stop, stopped
[9] უკან - back; behind
[10] რიგი - line, stand in line
[11] თუ - or
[12] ბევრ-ბევრს - many, much
[13] სწრაფი, სწრაფად - quick, quickly
[14] მიიწევდნენ წინ - moved forward
[15] აწონვა, ააწონინა - weigh, asked to weigh
[16] ძეხვი - sausage
[17] გამორთმევა, გამოართვა - to take, took
[18] ორმოცდაორ კაპიკად ღირებული - cost for 42 cent
[19] მდოგვი - mustard
[20] მარჯვე, მარჯვედ - adroit, adroitly
[21] ჩამოყრა, ჩამოყარა - to throw down, threw down
[22] კოჭები საანგარიშოზე - old style of calculator
[23] სამმანეთიანი - three manat
[24] მიწოდება, მიაწოდა - to give, to pass; passed

- როგორა?[25] - წინ წამოიწია[26] გერონტიმ.
- ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, - მშვიდად[27] გაიმეორა[28] გოგონამ.
გერონტი შეშფოთდა[29].
- შენა, გოგო, რას გეტყვი[30], იცი?
- ვიცი.
- რა იცი, რა!
- რა და... ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკია და არა ოთხმოცი.
გერონტი საანგარიშოს ეცა[31].
- მანეთი და ორმოცდახუთი - ძეხვი, ორჯერ[32] ოცდაჩვიდმეტი - ყველი,
ორმოცდაორი - მდოგვი.
- ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი, - თქვა ისევ გოგონამ.

აწითლებულმა[33] გერონტიმ საანგარიშოს კოჭები უკან გაყარა და ხელახლა[34] დაიწყო ანგარიში[35]. ორი მანეთი და სამოცდაერთი კაპიკი გამოუვიდა[36].

- ცოტა სწრაფად, სწრაფად! - დაიძახა[37] ბოლოდან სათვალიანმა[38] კაცმა.
გერონტიმ ხნიერ[39] ქალს ხურდები[40] მოუკრიფა[41] და გოგონას მიაჩერდა[42].
- შენ რა გინდა, ისა თქვი[43]!
- ნუ მიწყრებით[44], - უთხრა გოგონამ. გერონტი აიმართა[45], გოგონას დააკვირდა[46]. ერთი სიფრიფანა[47] გოგონა იყო, მქრქალ-ცისფერთვალებიანი[48] და

---

[25] როგორა (= როგორ), შენა (=შენ),ისა (=ის), იმიტომა (=იმიტომ) – forms with emphatic -ა, dialect forms
[26] წამოწევა, წამოიწია - move a little, moved a little
[27] მშვიდი, მშვიდად - quiet, calm; quietly, calmly
[28] გამეორება, გაიმეორა - repeat, repeated
[29] შეშფოთება, შეშფოთდა - worry, worried
[30] თქმა, გეტყვი - to say, I'll say
[31] ცემა, ეცა - here: to take quickly, took quickly
[32] ორჯერ - two times
[33] გაწითლება, აწითლებულმა - become red; reddened
[34] ხელახლა - anew, again
[35] ანგარიში - calculation
[36] გამოუვიდა - here: it was
[37] დაძახება, დაიძახა - to call, called
[38] სათვალიანი - with glasses
[39] ხნიერი, მოხუცი - old person
[40] ხურდა, ხურდები - small change
[41] მოკრეფა, მოუკრიფა - here: to gather, gathered
[42] მიჩერება, მიაჩერდა - to look straight, he looked straight at
[43] თქმა, თქვი - to say, say!
[44] ნუ მიწყრებით - don't be angry with me!
[45] ამართვა, აიმართა - get up, rise; he got up, rose
[46] დაკვირვება, დააკვირდა - to keep one's eye; he kept his eye
[47] სიფრიფანა - here: thin
[48] მქრქალ-ცისფერთვალებიანი - here: light-blue-eyed

ცოტა ცხვირაპრეხილი[49]. მარცხენა ხელში ბადურა[50] ეკავა[51], მარჯვენაში[52] - ხუთმანეთიანი და კარაქის ტალონი[53]. ძალიან მშვიდად იდგა[54].

- მიბრძანე, რა მოგართვა[55]! - მორჩილება გაითამაშა[56] გერონტიმ.

- მომეცით[57] ორას ორმოცდაათი გრამი ძეხვი, ორასი გრამი ყველი „შვეიცარული“, ერთი ტალონისაც კარაქი.

გერონტიმ იწვალა[58] და ძლივს[59] შეასრულა[60] ზუსტად[61] ორას ორმოცდაათ გრამად ძეხვი, მერე - ორასად ყველი. კარაქს აწონა არ უნდოდა[62], დაფასოებული[63] იყო, ორას-ორას გრამად. სამი ცალი[64] მიაწოდა[65] გოგონას. საანგარიშოს მისწვდა[66], ფრთხილად[67] ჩამოყარა კოჭები[68]. გაუბედავად[69] თქვა:

- სამი და სამოცდაათი.

- სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

- ვახ, კაცო[70]! - წამოიძახა[71] გერონტიმ. ისევ დააპირა[72] ანგარიში. გადაიფიქრა[73], - მომეცი[74], შვილო, რამდენიც გინდა, და წადი[75], სამუშაო მაქვს მე.

- აიღეთ[76] სამი მანეთი და სამოცდაშვიდი კაპიკი.

გერონტიმ ზუსტად დაუბრუნა[77] ხურდა. გოგონა წავიდა. ყველანი[78] უყურებდნენ. ხომ პატარა იყო და სიფრიფანა, რაღაც ქალბატონურად

---

[49] ცხვირაპრეხილი - ცოტა ცხვირაპრეხილი - here: a little bit nosed
[50] ბადურა - net-beg, string-bag
[51] დაკავება, ეკავა - hold, (she) held
[52] მარცხენა - left; მარჯვენა - right
[53] ტალონი - coupon
[54] მშვიდად იდგა - quietly was standing
[55] მიბრძანე, რა მოგართვა - polite phrase: tell me, what would you like...
[56] მორჩილება გაითამაშა - he acted obediently, he played obedience
[57] მოცემა, მომეცით - to give, give me
[58] წვალება, იწვალა - torture, tortured
[59] ძლივს - hardly
[60] შესრულება, შეასრულა - comply, complied
[61] ზუსტად - exactly
[62] აწონა არ უნდოდა - it didn't need to weigh
[63] დაფასოებული - packaged
[64] სამი ცალი - three piece
[65] მიწოდება, მიაწოდა - to give to, gave to
[66] საანგარიშოს მისწვდა - he took old fashion calculator
[67] ფრთხილად - carefully
[68] ჩამოყარა კოჭები - here: started calculation
[69] გაუბედავად - timidly
[70] ვახ, კაცო - interjection
[71] წამოძახება, წამოიძახა - to cry, cried
[72] დაპირება,დააპირა - intend to (calculation), be about to (calculation again)
[73] გადაფიქრება, გადაიფიქრა - change one's mind, changed his mind
[74] მოცემა, მომეცი - to give, give me
[75] წასვლა, წადი - go! (imp.)
[76] აღება, აიღეთ - to take, take, please

მიდიოდა[79]. წელში გამართული[80], სწორი, ქერა თმა „ცხენის კუდად“ ჰქონდა შეკრული უკან[81].

- დედა ეყოლება მაგას... ჩემს მტერს[82]! - თქვა კამოდივით განიერმა[83] ქალმა.

- მშვენიერი[84] გოგონაა, - ჩაილაპარაკა[85] ვიღაცამ[86].

- როგორ?

არავინ ამოიღო ხმა[87].

- მე შვილიშვილი[88] მყავს მაგაზე დიდი[89], თავს მაღლა ვერ ააღებინებ უფროსებთან[90], - გვერდზე მდგომს[91] ეუბნებოდა[92] თითქოს[93] რაღაც[94] ტვირთით მხრებდამძიმებული[95] ჭაღარა[96] ქალი.

- ჩემს გოგონასაც.

- აღზრდაა[97] ყველაფერი[98].

გერონტისთვის ჯერაც არ გაევლო სიბრაზეს[99]. ხელები უკანკალებდა[100].

- კარგი მაშინ ვიქნებოდი[101], სულაც რომ არ მიმეცა არაფერი[102]. რატომ გზავნიან[103] მაღაზიაში მაგოდენებს[104]? დედა არა ჰყავთ, მამა არა ჰყავთ?

- არ სცალიათ[105].

---

[77] დაბრუნება, დაუბრუნა - to return, returned
[78] ყველა, ყველანი - everybody (pl.)
[79] რაღაც ქალბატონურად მიდიოდა - she was going like a lady
[80] წელში გამართული -
[81] „ცხენის კუდად“ ჰქონდა შეკრული უკან - she had ponytail hear
[82] დედა ეყოლება მაგას... ჩემს მტერს... – I wouldn't wish this even on my worst enemy
[83] კამოდივით განიერი - wide as a cupboard.
[84] მშვენიერი - beautiful, fine.
[85] ჩალაპარაკება, ჩაილაპარაკა - to say, said in a low voice
[86] ვიღაცა, ვიღაცამ - somebody (ergative)
[87] ამოღება ხმის, ამოიღო ხმა - here: (nobody) said anything
[88] შვილიშვილი - grandchild
[89] მაგაზე დიდი - older then she / her
[90] თავს მაღლა ვერ ააღებინებ უფროსებთან - you cannot force her to say even word with old people
[91] გვერდზე მდგომი, გვერდზე მდგომს - standing aside
[92] თქმა, ეუბნებოდა - to say, said
[93] თითქოს - as if, as though
[94] რაღაც - something
[95] ტვირთით მხრებდამძიმებული - here: like she was caring heavy luggage
[96] ჭაღარა - grey (hair)
[97] აღზრდა - upbringing, to bring up
[98] ყველაფერი - everything
[99] ჯერაც არ გაევლო სიბრაზეს - here: he was still angry
[100] კანკალი, უკანკალებდა - shake; was shaking
[101] კარგი მაშინ ვიქნებოდი - I would be better
[102] სულაც რომ არ მიმეცა არაფერი - if I hadn't given anything
[103] გაგზავნა, გზავნიან - to send, they are sending (her)
[104] მაგოდენა, მაგოდენებს - here: like her age
[105] არა სცალიათ - they have no time

- კარგით რა, რა არ სცალიათ!

- თან საქმე[106], ამხანაგებო[107], თან საქმე! - დაიბოხა[108] ვიღაცამ[109] ხმა[110].

და, აი, იმ დღიდან დაიწყო[111]:

გამოჩნდებოდა[112] გოგონა და გამყიდველი ქალები, მარო და მარგალიტა, სიცილით ამცნობდნენ[113] გერონტის:

- მოდის, გერონტი, მოდის.

გერონტი იხტიბარს არ იტეხდა[114].

- მოვიდეს და მოვიდეს[115].

- მაგრად დადექი[116].

- მაგისთანები[117] მინახავს[118], - მაგრობდა[119] გერონტი, მაგრამ მაინც ეტყობოდა[120], ძალიან ღელავდა[121].

გოგონას პლასტმასის წითელი ბადურა ყოველთვის მარცხენა მკლავზე[122] ეკიდა[123]. გრძელი, ფარფარა[124] ქვედატანი[125] სანახევროდ[126] უფარავდა[127] წვივებს[128]. კი არ მოდიოდა, მოზრძანდებოდა. სულ არ ატოკებდა[129] მხრებს[130]. შემოვიდოდა მაღაზიაში, შემოანათებდა[131] თითქოსდა არაფრის მეტყველ თვალებს[132]. გამყიდველი ქალები გაცქაფულები[133] იყვნენ - აინტერესებდათ[134],

---

[106] თან საქმე - here: be active!
[107] ამხანაგი, ამხანაგებო - comrade!
[108] დაბოხება, დაიბოხა - to say with a deep voice, said with a deep voice
[109] ვიღაცა, ვიღაცამ - somebody
[110] ხმა - voice
[111] იმ დღიდან დაიწყო - started from this day
[112] გამოჩენა, გამოჩნდებოდა - to appear, appeared
[113] სიცილით ამცნობდნენ - they said with a laugh
[114] იხტიბარს არ იტეხდა - (idiom) he doesn't show his fear
[115] მოსვლა, მოვიდეს - to come, here: let her come, I never mind
[116] მაგრად დადექი - here: Keep cool!
[117] მაგისთანა, მაგისთანები - here: like her
[118] ნახვა, მინახავს - to see, I saw
[119] მაგრობდა - here: he was cool
[120] დატყობა, ეტყობოდა - it seems; you could see
[121] ღელვა, ღელავდა - to excite, he was excited
[122] მკლავი - arm
[123] დაკიდება, ეკიდა - to hang, was hanging
[124] ფარფარა - here: wide
[125] ქვედატანი - skirt
[126] სანახევროდ (<ნახევარი) – half-and-half (half)
[127] დაფარვა,უფარავდა - to cover, covered
[128] წვივი, წვივები - shin, shins (dative)
[129] გატოკება, ატოკებდა - to move, moved
[130] მხარი, მხრები, მხრებს - shoulder, shoulders (dative)
[131] მემონათება, შემოანათებდა - here: to bring light, brought light
[132] თითქოსდა არაფრის მეტყველ თვალებს - If anything expressive eyes
[133] გაცქაფული, გაცქაფულები - here: with a great attention
[134] ინტერესი, აინტერესებდათ - interest, were interested in

ახლა რა მოხდებოდა[135]. გოგონა გერონტისთან მივიდოდა, გაჩერდებოდა მშვიდად.

- მომეცით... სამას სამოცი გრამი ძეხვი.

- დაიწყო ახლა... - ხელებს უმწეოდ[136] ჩაუშვებდა[137] გერონტი. მარო და მარგალიტა უკვე სიცილით იგუდებოდნენ[138].

- თქვენს სასწორს[139] ათგრამიანი დანაყოფებიც[140] აქვს. სამას სამოცი გრამი ძეხვი, ორას ოცდაათი გრამი ყველი.

- კარგი რა, გოგო, კარგი. ან ორასი თქვი, ან სამასი. სადისტი[141] ხარ, რა ხარ?

- სადისტი რას ნიშნავს[142]?

- მწვალებელს, მტარვალს[143], - ხმას უწევდა[144] გერონტი.

- გმადლობთ. დავიხსომებ[145] ამ სიტყვას.

მარო და მარგალიტა ცხვირსახოცებს[146] ეძებდნენ[147] ცრემლების მოსაწმენდად[148]. გერონტი წვალობდა[149], აწონაზედაც წვალობდა, ანგარიშითაც ვეღარ ანგარიშობდა. რას რამდენი უნდოდა, გოგონა ჰკარნახობდა[150]. გერონტი უსინათლოსავით[151] ართმევდა[152] ფულს, კანკალით უბრუნებდა ხურდას და, გოგონა რომ წავიდოდა, ნიათგამოცლილი[153] ჯდებოდა[154].

- ვახ, კაცო, ზოგი[155] რა მრუდე ვარსკვლავზე დაებადება დედას[156], - წინსაფრის[157] კალთას[158] იდებდა[159] დაცვარულ შუბლზე[160].

---

[135] ახლა რა მოხდებოდა - what would happen now
[136] უმწეო, უმწეოდ - helplessly
[137] ჩაშვება, ჩაუშვებდა - to put down, put down
[138] სიცილით იგუდებოდნენ - here: were laughing to death
[139] სასწორი, სასწორს - scale
[140] ათგრამიანი დანაყოფები - ten-grams units
[141] სადისტი - sadistic
[142] რას ნიშნავს - what does it mean?
[143] მწვალებელი, მტარვალი (= სადისტი) – torturer, tyrant, despot
[144] ხმას უწევდა - here: speaking loudly
[145] დახსომება, დავიხსომებ (=დამახსოვრება, დავიმახსოვრებ) – to remember, I will remember
[146] ცხვირსახოცი, ცხვირსახოცები, ცხვირსახოცებს - handkerchief (plural, dative)
[147] ძებნა, ეძებდნენ - look for; were looking for
[148] ცრემლების მოწმენდა, ცრემლების მოსაწმენდად - wiping tears
[149] წვალება, წვალობდა - torture, was torturing
[150] კარნახი, კარნახობდა - to dictate; was dictating
[151] უსინათლო, უსინათლოსავით - like a blind
[152] გამორთქმევა, ართმევდა - to take, took
[153] ნიათგამოცლილი - exhausted, very tired
[154] დაჯდომა, ჯდებოდა - to sit, he was sitting
[155] ზოგი - some
[156] რა მრუდე ვარსკვლავზე დაებადება დედას - some are born with wrong star
[157] წინსაფარი, წინსაფრის - apron (gen.)

მარო და მარგალიტა ურჩევდნენ[161]:

- სხვაგან უნდა გადახვიდე[162], გერონტი, თორემ[163] აქ რაღაცა დაგემართება[164].

- დამემართა და ეგ არის. ვეღარაფერს ვანგარიშობ. მეჩვენება[165], რომ სულ მეშლება[166]. ეგ მოფსრიტული[167] კი თვალს არ დაახამხამებს[168]. ნამდვილი ჯადო[169] აქვს თვალებში.

გავიდოდა ორიოდე დღე[170], დამშვიდდებოდა[171] გერონტი და ისევ გამოჩნდებოდა[172] გოგონა, ისევ მშვიდი ქალბატონივით შემოდიოდა მაღაზიაში. გერონტი საბრძოლო პოზაში დგებოდა[173], მარო და მარგალიტა სეირის საყურებლად ემზადებოდნენ[174]. გოგონა იწყებდა[175]: - სამას სამოცდაათი

- ეს, ორას ოთხმოცი - ის, ას ოცდაათი...

გერონტი მთლად მოსაწყლდებოდა[176].

- მოდი რა, მუქთად წაიღე[177] ყველაფერი.

- მუქთად რატომ?

- დედა არა გყავს? დედა მოვიდეს შენ მაგივრად[178].

- დედას სხვა საქმეები[179] აქვს.

- მაშინ გავიგებ[180], რომელ სკოლაში სწავლობ, და ჩემი ფეხით[181] მივალ დირექტორთან.

- როგორც გენებოთ[182].

---

[158] კალთა, კალთას - hem (of a skirt)
[159] დადება, იდებდა - put
[160] დაცვარული -sweaty ; დაცვარულ შუბლზე - on the sweaty forehead
[161] რჩევა, ურჩევდნენ - advice, advising
[162] სხვაგან უნდა გადახვიდე - you should move to another place
[163] თორემ - or, else
[164] რაღაცა დაგემართება - something will happen with you
[165] მეჩვენება - it presents myself
[166] სულ მეშლება - I always make mistake; სულ - always; მეშლება - I make mistake
[167] მოფსრიტული - iron.: little
[168] თვალს არ დაახამხამებს - here: nothing change with her
[169] ნამდვილი ჯადო - really sorcery
[170] გავიდოდა ორიოდე დღე - passed two days
[171] დამშვიდება, დამშვიდდებოდა - calm, calmed
[172] გამოჩენა, (ისევ) გამოჩნდებოდა - appear, again appeared
[173] საბრძოლო პოზაში დგებოდა - here: was ready for fighting
[174] სეირის საყურებლად ემზადებოდნენ - were ready to see a show
[175] დაწყება, იწყებდა - to begin, began
[176] საწყალი, მოსაწყლება, მოსაწყლდებოდა - poor, to became poor, became poor
[177] წაღება, მუქთად წაიღე - to take; here: take free (without payment)
[178] შენ მაგივრად - instead of you
[179] საქმე, საქმეები - affair, affairs
[180] გაგება, გავიგებ - to understand, I'll understand
[181] ჩემი ფეხით - on my foot

მაგრამ გერონტის აღარ დასჭირდა[183] სკოლაში წასვლა. წავიდა ერთ დღეს გოგონა და წავიდა. აღარ გამოჩენილა[184] თითქმის[185] ორ თვეს. მარო და მარგალიტა ულოცავდნენ[186] გერონტის:

- გადარჩი[187], გერონტი, გადარჩი.

გერონტი აღარაფერს ამბობდა. ის კი აშკარად ეტყობოდა[188], დამშვიდდა[189]. სახეც დაუმშვიდდა. თითქოს უფრო სუფთადაც[190] იპარსებოდა[191], სუფთადაც იცვამდა[192]. ჰალსტუხის[193] გაკეთებაც[194] კი დაიწყო. ლამაზად ივარცხნიდა[195] ჭაღარა თმას. მყიდველებთანაც უფრო თავაზიანი გახდა[196].

ერთი-ორჯერ მოატყუეს[197] მარომ და მარგალიტამ, მოდის, მოდისო. გერონტი წითლდებოდა. მერე, რომ ნახავდა, ატყუებდნენ, წელში სწორდებოდა[198], მოვიდესო.

*

შემოდგომის თბილი დღეები ზამთრისპირის[199] ცივმა დღეებმა შეცვალა[200]. დაუბერა ქარმაც[201]. ქუჩები ჩამოცვენილი[202] ფოთლებით აივსო[203]. მეეზოვეები[204] ლანძღავდნენ[205] ქარს. ერთ დილას კი, ქარი რომ ჩადგა[206], თოვლიც წამოვიდა[207].

---

[182] როგორც გენებოთ - as you like
[183] დაჭირვება, აღარ დასჭირდა - to need, don't need any more
[184] გამოჩენა, აღარ გამოჩენილა - to appear, did not appear any more
[185] თითქმის - almost
[186] მილოცვა, ულოცავდნენ - congratulate, congratulated
[187] გადარჩენა, გადარჩი - save, you are saved
[188] აშკარად, აშკარად ეტობოდა - evidently, it seemingly very clear
[189] დამშვიდება, დამშვიდდა - calm, calmed
[190] სუფთად, სუფთადაც - cleanly, also cleanly
[191] გაპარსვა, იპარსებოდა - shave,
[192] ჩაცმა, იცვამდა - shaved
[193] ჰალსტუხი - necktie (gen.)
[194] გაკეთება - to make. here: to tie
[195] დავარცხნა, ივარცხნიდა - to comb (his) hair, he combed his hair
[196] უფრო თავაზიანი გახდა - he became more polite
[197] მოტყუება, მოატყუეს; ატყუებდნენ - deceive, they deceived him
[198] გასწორება, წელში სწორდებოდა - rise
[199] ზამთრისპირი - here: before winter weather
[200] შეცვლა, შეცვალა - to change, changed
[201] დაუბერა ქარმაც - the wind blew
[202] ჩამოცვენილი - thrown down
[203] ავსება, აივსო - to fill, filled
[204] მეეზოვე, მეეზოვეები - yard-keeper
[205] ლანძღვა, ლანძღავდნენ - to curse, cursed
[206] ქარი რომ ჩადგა - when the wind stopped
[207] თოვლიც წამოვიდა - started snow-fall

მოფარფატებდნენ[208] ბრტყელ-ბრტყელი[209] ფიფქები[210], მაგრამ ძირს ეცემოდნენ თუ არა, დნებოდნენ[211]. და აი, ამ თოვაში[212] გამოჩნდა[213] გოგონა. თბილი, გრძელი პალტო ეცვა, თბილი, ნაქსოვი[214] ქუდი ეხურა[215], თითქმის[216] წარბებამდე ჩამოწეული[217], თბილი. მაღალყელიანი[218] ფეხსაცმელებით ისევ მშვიდად მოაბიჯებდა[219], მხრებს არ მოატოკებდა[220]. გერონტიმ რომ გოგონა დაინახა, მაშინვე გაწითლდა, მაგრამ მაინც გაიღიმა. მარომ და მარგალიტამ დაიძახეს[221]:

- ძვირფასი[222] სტუმარი გვესტუმრა[223]!

გოგონამ ქალებს მქრქალი[224] ღიმილით გახედა[225] და გერონტის მიუახლოვდა[226]. გერონტი რაღაცას წონიდა, მაგრამ სასწორს კი არა, გოგონას უყურებდა და უღიმოდა.

- როგორა ბრძანდებით? - მოიკითხა[227] გოგონა დიდივით[228].

გოგონაც უღიმოდა გასაოცარი[229] ლამაზი ღიმილით. გასაოცარი ლამაზი ტუჩ-კბილი[230] ჰქონდა, გასაოცარი ლამაზი კეთილი[231] თვალები, რაღაც ნათელი ედგა მთელ სახეზე[232].

- თქვენ ხომ კარგად? მე ავად გახლდით[233], ქუნთრუშა[234] მქონდა, ახლა კარგად ვარ.

---

[208] ფარფატი, მოფარფატებდნენ - to fly, flew
[209] ბრტყელი, ბრტყელ-ბრტყელი - flat
[210] ფიფქი, ფიფქები - snowflake
[211] ძირს ეცემოდნენ თუ არა, დნებოდნენ - they were melting as soon as fell down
[212] თოვა, თოვაში - snow, in snow
[213] გამოჩენა, გამოჩნდა - appear, appeared
[214] ნაქსოვი - knitted
[215] დახურვა, ეხურა (ქუდი) – to wear, was wearing
[216] თითქმის - almost, nearly
[217] წარბებამდე ჩამოწეული - down up to eyebrow
[218] მაღალყელიანი - top-boots
[219] მშვიდად მოაბიჯებდა - she was walking calmly
[220] მხრებს არ მოატოკებდა - she didn't move her shoulders
[221] დაძახება, დაიძახეს - call, called, yelled
[222] ძვირფასი - darling, dear, dearest
[223] სტუმარი გვესტუმრა - guest visited
[224] მქრქალი, მქრქალი ღიმილით - here: with light smile
[225] გახედვა, გახედა - to look at, looked at
[226] მიუახლოვდა - came nearer
[227] მოკითხვა, მოიკითხა - to tell greetings, told greetings
[228] დიდი, დიდივით - like adult
[229] გასაოცარი - wonderful
[230] ტუჩ-კბილი - lips and teeth
[231] კეთილი - kind
[232] რაღაც ნათელი ედგა მთელ სახეზე - there was a bright spirit on her face
[233] ავად გახლდით - I was ill (polite form)
[234] ქუნთრუშა - scarlet fever

- ვაახ! - წამოიძახა გერონტიმ, - აკი არ მიკვირდა?![235]

- რა გიკვირდათ?[236]
- რომ აღარ ჩანდით.[237]
- აღარ გაწვალებდით?[238]
- არა, ეს რა წვალებაა. შენ კარგად იყავი და ეგეთი[239] წვალება რა წვალებაა.
- დღეიდან სულ კარგად მოვიქცევი.[240]
- ადრეც რა, რით იქცეოდი ცუდად![241]

გოგონას ეცინებოდა[242].

მარო და მარგალიტა სახტად დარჩენილები[243] იყურებოდნენ.

- დღეს მომეცით ორასი გრამი „შვეიცარული“ ყველი, ორასი გრამი ძეხვი.
- სერვილადი? სერვილადი მაქვს. - გერონტიმ დახლქვეშიდან[244] სერვილადი გამოიღო, თან იცინოდა, - ორას სამოცი გრამი აღარ გინდა ან ას ოთხმოცდაჩვიდმეტი?
- არა, აღარ არის საჭირო[245], - იცინოდა გოგონაც.
- ვახ, ეგრე ცოტას რომ ჭამ, იმიტომა ხარ გამხდარი[246].
- ჩემი გასუქება[247] არ შეიძლება, ისედაც[248]... - გოგონამ ლოყები დაბერა.[249]
- რატომ? რატომ?
- ბალერინა უნდა გავხდე.
- ვახ, ოპერაში?
- თუკი შევძლებ[250], ოპერაში.
- შენ რას არ შეძლებ. შენ რას არ შეძლებ, - გერონტი წელში გაიშალა, - თუ რამე ისეთი იყოს, მე ნუ მომერიდები.[251] მე აქა ვარ.

---

[235] აკი არ მიკვირდა? – here: I was wonder.
[236] გაკვირვება, გიკვირდათ - to wonder, surprise; what wonder?
[237] რომ აღარ ჩანდით - you didn't appear
[238] წვალება, გაწვალებდით - torture, tortured
[239] ეგეთი - like that
[240] დღეიდან სულ კარგად მოვიქცევი - I'll behave well form today
[241] ადრეც, რა, რით იქცეოდი ცუდად - early, what, why did you behave badly? here: you didn't behave badly
[242] სიცილი, ეცინებოდა, გაიცინა, იცინოდა - laugh, laughed
[243] სახტად დარჩენილი (=გაკვირვებული) - surprised
[244] დახლქვეშიდან - under the counter
[245] აღარ არის საჭირო - here: here is not any necessity (need)
[246] გამხდარი - thin
[247] გასუქება - put on weight
[248] ისედაც - here: as it is
[249] ლოყები დაბერა - she inflated her cheeks
[250] თუკი შევძლებ - if I can do it
[251] მორიდება, ნუ მომერიდები - don't hesitate

- გმადლობთ, გმადლობთ, - გოგონა ქვემოდან შეჰყურებდა[252] და უცინოდა. - აი, რა კარგი ბრძანდებით ახლა. აღარ მიმართოთ აღარავის წყრომით. მით უფრო - ქალებს[253].

- მეე? წყრომით?

გოგონამ ლამაზად გახვეული[254] ყველი და ძეხვი ჩანთაში ჩაიწყო.[255] ხელი მაღლა ასწია[256] და ღიმილით წავიდა კარისკენ[257]. კართან მისულს[258] გერონტიმ დაუძახა:

- სახელი რა გქვია, სახელი.

- მირანდუხტ.

- ესე იგი, მირა.

- არა.

- მირანდა?

- არა, მირანდუხტ.

- ვაახ!

გოგონამ ისევ ასწია ლამაზი ხელი და თითების ქნევით[259] გავიდა თოვაში. მარო და მარგალიტა ცხვირჩამოშვებულები[260] იდგნენ[261]. შესვენებაზე,[262] მცირე ტაბლას[263] რომ მიუსხდნენ[264] ქალები და გერონტი, გერონტიმ თქვა:

- რა არის ადამიანი![265] ხომ მაბრაზებდა[266] ეგ გოგო. მაბრაზებდა, მაგრამ თანაც მაფხიზლებდა.[267] რაც ეგ გამოჩნდა,[268] აშკარად დავინახე[269] ჩემი გოგონების

---

[252] ქვემოდან შეჰყურებდა - she looked form down

[253] აღარ მიმართოთ აღარავის წყრომით, მით უფრო ქალებს - don't speak to anyone with irritation, especially with women

[254] გახვეული - wrapped up

[255] ჩაწყობა, ჩაიწყო - put into

[256] ასწია - raise her hand

[257] კარისკენ - towards the door

[258] კართან მისულს - here: when she was close to the door

[259] თითების ქნევით - shaking her fingers

[260] ცხვირჩამოშვებულები - nose down; here: sad

[261] დგომა, იდგნენ - to stand, were standing

[262] შესვენება, შესვენებაზე - brake, on the brake

[263] მცირე ტაბლა, მცირე ტაბლას - a small table

[264] მისხდომა, მიუსხდნენ - sat around (the table)

[265] ადამიანი - man, human being

[266] გაბრაზება, მაბრაზებდა - irritate, irritated

[267] გამოფხიზლება, მაფხიზლებდა - to sober down

[268] გამოჩენა, გამოჩნდა - to appear, appeared

[269] აშკარად დავინახე - I saw very clearly

ნაკლოვანებები.[270] ცეცხლის კალოში ვაყენებ[271] - ან სიარული ისწავლონ, ან თავდაჭერა.[272] მეცა... მეცა ვზივარ[273] და სულ ვანგარიშობ.[274]

მარომ და მარგალიტამაც აღიარეს:[275]

- გენიალური გოგოა! - და ერთად ჩააწეს პურები ქონიან ტაფაში.[276]

- ნამდვილი გენიოსი. როგორ ანგარიშობს, ხო იცით, მანქანასავით. რა-ტა-ტა-ტა-ტა-და - ზუსტად!

იმ დღიდან დიდი მეგობრები არიან მირანდუხტი და გერონტი. გერონტის რაღაც-რაღაცები[277] აქვს ხოლმე გადანახული[278] მირანდუხტისთვის.

ერთი ეგ არის, ჯერჯერობით[279] ვეღარაფერი მოაწონა.[280] მირანდუხტი ისევ იმას ყიდულობს, რაც დახლებშია გამოწყობილი...[281] და კიდევ ერთიც - გერონტის უნდა, თავის გოგოებთან მიიპატიჟოს[282] მირანდუხტი ნახალოვკაში,[283] ვერ კი გაუბედავს.[284] გერონტის ხის[285] სამსაფეხურიანი[286] პატარა სახლი უდგას[287] პატარა ბაღში. მირანდუხტი კი, - ასე ეჩვენება,[288] - სულ მარმარილოს[289] კიბეებზე[290] დაბრძანდება[291] აღმა-დაღმა[292] და მომხიბვლელად[293] უქნევს[294] შემხვედრებს[295] პატარა, ლამაზ ხელს. როგორია ასეთი გოგონას ნახალოვკაში სტუმრობა?!

ოოოო!..

---

[270] ნაკლოვანება - fault

[271] ცეცხლის კალოში ვაყენებ - idiom: reprove, rebuke

[272] ან სიარული ისწავლონ, ან თავდაჭერა - here: they should learn nice manners and be more self-mastery

[273] მეცა ვზივარ (=მეც ვზივარ) – dial: I am setting

[274] ანგარიში, ვანგარიშობ, ანგარიშობს - calculate, I (always) calculate

[275] აღიარება, აღიარეს - recognize, they recognize

[276] და ერთად ჩააწეს პურები ქონიან ტაფაში - and together dip bread into greasy pot

[277] რაღაცა, რაღაც-რაღაცები - something.

[278] აქვს ხოლმე გადანახული - he always has preserve (for her)

[279] ჯერჯერობით - as yet

[280] ვერაფერი მოაწონა - didn't make her to like anything

[281] დახლებშია გამოწყობილი - put down on the counters

[282] მიპატიჟება, მიიპატიჟოს - to invite, (wants) to invite

[283] ნახალოვკა - part of Tbilisi, not much prestigious

[284] გაბედვა, ვერ კი გაუბედავს - dare, he doesn't dare to do...

[285] ხე, ხის კიბე - wooden stair

[286] სამსაფეხურიანი (<სამი საფეხური) – with three footstep

[287] უდგას - here: he has

[288] ასე ეჩვენება - here: it seems

[289] მარმარილო, მარმარილოს - marble

[290] კიბე, კიბეები, კიბეებზე - stair, stairs, on the stairs

[291] დაბრძანდება (=დადის) – polite: walks

[292] აღმა-დაღმა - up and down

[293] მომხიბვლელი, მომხიბვლელად - charming

[294] დაქნევა, უქნევს (ხელს) – wave her hand

[295] შემხვედრი, შემხვედრებს - people who meet her

სასარგებლო ინტერნეტბმულები - useful internet links

- *http://dictionary.ge*
- *http://translate.ge*
- *http://reading.ge*
- *http://www.geofl.ge*

აუდიო დისკის სარჩევი

○ Topics - თემები
1. თემა 1
2. თემა 2
3. თემა 3, 3+
4. თემა 4
5. თემა 5
6. თემა 6
7. თემა 7
8. თემა 8
9. თემა 9
10. თემა 10
11. თემა 11
12. თემა 12
13. თემა 13
14. თემა 14
15. თემა 15
16. თემა 16
17. თემა 17
18. თემა 18
19. თემა 19
20. თემა 20

○ საკითხავი
21 ანბანი
• წყვილები
22. ფ-პ
23. თ-ტ
24. ქ-კ
25. ც-წ
26. ჩ-ჭ
27. კ-ყ
28. გ-ღ
29. ღ-ყ
30. თანხმოვნები - შეჯამება
• ანბანის შემდგომი საკითხავი
31. ბ
32. გ
33. დ
34. ვ
35. ზ
36. თ
37. კ
38. ლ
39. მ
40. ნ
41. პ
42. ჟ
43. რ
44. ს
45. ტ
46. ფ
47. ქ
48. ღ
49. ყ
50. შ
51. ჩ
52. ც
53. ძ
54. წ
55. ჭ
56. ხ
57. ჯ
58. ჰ
59. ანბანის ლექსი
• ტექსტები
60. მზე დედაა ჩემი
61. ყაყაჩოსა სიწითლითა
62. თხამ ვენახი შეჭამა
63. ქარი ქრის
64. ანა და ია
65. ღილი ხილის ყუთში
66. გიგი და ლექსო
67. ბავშვობის დღეები
68. რომელი საათია?!
69. შეხედე რა ცაა!
70. კუდიანი ქუდი
71. ფიდო პაპა და პატიკოს ფაფა
72. ბავშვობის დღეები
73. მთები
74. მე ხომ გუშინ გაგიცანი
75. ჩითის კაბა ჩიტებით
76. მირანდუხტ

გამომცემლობა "გრაფემა"
მისამართი: ნუცუბიძის 14
ტელეფონი: 555 999 170